საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 თებერვალი **ოთხშაბათი** 2010
№026(13014) ფასი 60 თეთრი




# ვოლგა, ვოლგა...

## მარცვალაძე მახაჩყალიდან ნიჟნი ნოვგოროდში გაუშვეს



გუშინ რუსულ პრესაში ჩვენთვის საკმაოდ მოულოდნელი და არცთუ სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა – **ოთარ მარცვალაძემ** მახაჩყალის „ანჟი" დატოვა და პირველი დივიზიონის ბინადარ ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" გადავიდა. ამ ინფორმაციას მეორედივიზიონური კლუბის ოფიციალური ვებგვერდიც ადასტურებს. არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მარცვალაძე ახალ სეზონსაც „ანჟიში" დაიწყებდა. შეგახსენებთ, რომ ოთარი მახაჩყალელებს წინა სეზონის მსვლელობისას შეუერთდა და 22 მატჩში 13 გოლის გატანაც მოასწრო. თავისთავად, მარცვალაძემ „ანჟის" ალზევებაში ერთობ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

25 წლის ფორვარდმა წინასასეზონო საკონტროლო მატჩებშიც მიიღო მონაწილეობა. როგორც ჩანს, „ანჟის" მწვრთნელებმა მარცვალაძესთან განშორების გადაწყვეტილება მას მერე მიიღეს, რაც პრაღის „სპარტიდან" **იან ჰოლენდა** შეიძინეს.

მოგეხსენებათ, მარცვალაძე პირველი ქართველი არ არის, ამ ზამთარს „ანჟიდან" „ვოლგაში" რომ გადავიდა. მანამდე ეს გზა **ედიკ საჯაიამ** გაიარა. მარცვალაძისა და საჯაიას გარდა, „ანჟიმ" **სანდრო იაშვილზეც** უარი თქვა. ჯერჯერობით, **ომარ თეთრაძესთან** რჩებიან **ნუკრი რევიშვილი, გიორგი ნავალოვსკი, კახა ალადაშვილი, ზურაბ არზიანი, გოჩა ხოჯავა, გიორგი ილურიძე** და **რევაზ ბარაბაძე**.

ლევან ჯანეზაშვილი

## ...ამიტომაც ვერ წარმომიდგენია სიქინავას გვერდით ყოფნა




ბოლომდე ჩვენც ყოველთვის ვერ ვაცნობიერებდით, ქვეყნისთვის რომ ვთამაშობდით...



## აბრამიძე გაიფორმეს, ნავალოვსკიც აზერბაიჯანში?

გუშინ ბაქოს „ნეფთჩიმ" სინჯებზე მყოფ ოთხ ფეხბურთელს გაუფორმა კონტრაქტი. მათ შორისაა გამოცდილი ჩვენებური მცველი **ვალერი აბრამიძეც**. აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში „ნეფთჩი" 29 ქულით მე-6 ადგილზეა. ზოგიერთი რუსული ინტერნეტწყარო იუწყება, რომ „ანჟის" კიდევ ერთი ქართველი, **გიორგი ნავალოვსკიც** დატოვებს და ერთ-ერთ ბაქოურ კლუბში („ნეფთჩი", „ბაქო" ან „ინტერი") გადავა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## ანანიძე, დარტყმა, არის!

ჯანოს ფასი გაიზარდა

>> გვერდი 2





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები

# ესტონელებთან ვაკესა და დიდუბეში

თევზე ცოტა ხანში და ჩვენში ფეხბურთი სანაკრებო დონეზეც გახურდება. ყველასათვის ცნობილია, რომ ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცის **თემურ ქეცბაიას** დებიუტი 3 მარტს, თბილისში, ესტონეთის ეროვნულ გუნდთან ამხანაგურ შეხვედრაში შედგება. ამ მატჩამდე კი ჩვენი და ესტონეთის ახალგაზრდული ნაკრებები ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ ტურში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. გასულ სექტემბერში, სასტარტო ტურში, ბალტიისპირეთში განცდილი მარცხის შემდეგ, **ოთარ გაბელიას** გუნდს რევანშის შანსი ეძლევა და იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი 21-წლამდელები იმედს გაგვიმართლებენ. მანამდე კი... ამ თამაშების ჩატარების დრო და ადგილი გადაწყვეტილია და სწორედ ეს უნდა გაცნობოთ.

როგორც გავიგეთ, საქართველო-ესტონეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი 3 მარტს ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის არენაზე ადგილობრივი დროით 13 საათზე დაიწყება. იმავე დღეს, უკვე 17 საათზე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, ჩვენი და ესტონეთის მთავარი ნაკრები გუნდები წარდგებიან ერთმანეთის წინაშე.

გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ესტონეთის ორივე ნაკრები საქართველოს პირველ მარტს, დილით ჩამოფრინდება და ვარჯიშებს იმავე და მომდევნო დღეს გამართავენ. ესტონელები ჩარტერული რეისით გვეწვევიან და როგორც გაირკვა, თან გულშემატკივრებიც მოჰყავთ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# ჯანოს ფასი 2 მილიონ ევროს გადასცდა

## ანანიძე შტურმმაც ვერ შეაჩერა

მოსკოვის „სპარტაკი" ანთალიაში შეკრებაზეა. გუშინ რუსეთის „სახალხო" გუნდმა თურქეთში ამხანაგური მატჩი გამართა. **ვალერი კარპინის** კრებული **ილია კანდელაკის** „შტურმს" ეთამაშა და მინიმალური ანგარიშით 1:0 მოუგო. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ეს ერთადერთი გოლი **ჯანო ანანიძემ** გაიტანა. ჩვენებური სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა, თუმცა მეორე ტაიმი სრულად ითამაშა, ბურთი კი 75-ე წუთზე გაიტანა.

ანანიძესთან დაკავშირებით სხვა ამბავიც გვაქვს, კერძოდ, ანანიძის აგენტ **დმიტრი გრადილენკოს** კომენტარი, რომელიც, ჯანოზე გავრცელებულ სატრანსფერო სპეკულაციების ფონზე, საინტერესო უნდა იყოს. ჩვენებურის აგენტი თვლის, რომ 17 წლის ფეხბურთელის დასავლეთ ევროპის ძლიერ კლუბში გადასვლა, ჯერჯერობით ადრეა:

*„ჯანო ანანიძისადმი უცხოური კლუბების დაინტერესების შესახებ ბევრი დაიწერა. თუმცა, ვთვლი, რომ ანანიძისთვის წასვლა ჯერჯერობით ადრეა. დღეს მის მიმართ ცნობილი კლუბების დაინტერესება მხოლოდ ავანსია. უმჯობესია, ჯანო ჯერჯერობით „სპარტაკში" დარჩეს და მომაგრდეს რუსეთის პრემიერლიგაში. მისთვის წასვლა ჯერ ადრეა. უმჯობესია საკუთარ თავზე რაც შეიძლება მეტი იმუშაოს...*

*მართალია, მან პრემიერლიგაში უკვე მოიპოვა სახელი, მაგრამ ამით არ უნდა დაკმაყოფილდეს. ჯანოს იმიჯი ნამდვილად აქვს და ამის დასტურად არაერთი მაგალითის დასახელება შემიძლია. ცოტა ხნის წინ, სპორტული ეკიპირების მწარმოებელი ერთ-ერთი კომპანიიდან დამირეკეს და მკითხეს - შეიძლება ჯანო ანანიძეს ჩვენი კომპანიის ფორმაში გადავუღოთ ფოტოებიო? ყველა ფეხბურთელისთვის საჭიროა კარგი იმიჯი, მაგრამ ამ მხრივაც არ უნდა იყოს გადატვირთვა, მით უმეტეს, როცა საქმე ახალგაზრდა ფეხბურთელს ეხება... შარშან ჯანოს ვკითხე, რომელი ფორმის ბუცები მოგწონს-მეთქი. „ნაიკის" ბუცებიო, - მითხრა. დავურეკე „ნაიკის" წარმომადგენლობას და ვკითხე - გინდათ ანანიძემ თქვენი ფირმის ბუცებით ითამაშოს-თქო. მიპასუხეს, კი, გვინდა, მაგრამ ფულს ვერ გადაგიხდითო. ფული არ გვინდა, უბრალოდ მას ბუცები მიეცით-მეთქი. რამდენიმე წყვილი მისცეს და ჯანო კმაყოფილია... ასე რომ, მან საკუთარ თავზე მუშაობა უნდა განაგრძოს და უფრო მეტად უნდა წარმოჩნდეს რუსეთის ჩემპიონატში",* - „სოვსპორტთან" საუბარში განაცხადა ჯანო ანანიძის აგენტმა დმიტრი გრადილენკომ.

ანანიძის ტრანსფერს შევეხეთ და მისი სატრანსფერო ფასიც ვნახოთ. როგორც ირკვევა, ჯანო ანანიძის ფასი ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. ავტორიტეტულ ვებგვერდ transfermarkt.co.uk-ის ინფორმაციით, ჯანოს ფასი 2.047 მილიონი ფუნტი, ანუ 2.3 მილიონი ევროა. როგორც ირკვევა, ჯანოს ფასი ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ერთბაშად 750 ათასი ევროთი გაიზარდა. „სპარტაკის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მოსკოვურმა კლუბმა ჯანოს სატრანსფერო თანხაზე ცოტა მეტი, 2.5 მილიონი გადაუხადა ჰოლანდიურ „ალკმაარს" ბრაზილიელ ფორვარდ **არის** სანაცვლოდ. შესაბამისად, თუ ჯანო ანანიძემ ასეთი ტემპით გააგრძელა პროგრესი, მაშინ მისი ფასი მალე გაორმაგდება და შესაძლოა, ყველაზე ძვირად ღირებული ქართველი ფეხბურთელიც კი გახდეს...



ჯანო ანანიძე

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ



## გოჩა ჯამარაული

# თუ ჩვენში ქვეყნის სიყვარულმა არ გაიღვიძა, არაფერი გამოვა

## აგვიხსნის ვინმე, ნემსაძე და ყიფიანი რატომ არ აწყობდათ?

**მოძრაობა „ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლები ბოლო დროს აღარ ჩანან. ორგანიზაციის წევრთა აქტიურობა გაქრა თუ ბრძოლა მობეზრდათ, ეს კითხვა გულშემატკივრებისგან გვსმენია და ამის გასარკვევად გოჩა ჯამარაულს დავუკავშირდით. ვფიქრობთ, ჯამარაულის მოსაზრებები და სხვადასხვა საკითხებისადმი მისი დამოკიდებულება საგულისხმო და დასაფიქრებელია...**

**- ბატონო გოჩა, „ჩვენი ფეხბურთი" ბოლო პერიოდში დუმს. რატომ?**

- ჩვენ არსად არ წავსულვართ და არც დავკარგულვართ. უბრალოდ, არჩევნები ჩატარდა და გვეუბნებიან, პრეზიდენტი საფეხბურთიო სამყარომ აირჩიაო. ერთი მხრივ, მართალია - ის ადამიანები არიან ამაში დამნაშავეები, რომლებიც ამ პროცესებში მონაწილეობდნენ. თუ სიჭინავა არ უნდოდათ, მაშინ ეს უნდა დაეფიქსირებინათ. თუმცა „ჩვენი ფეხბურთი" რომ ამბობს, სიჭინავა დანიშნულიაო, ერთ-ერთმა ახლობელმა, რომელიც ხელისუფლებას წარმოადგენს, მითხრა - რა ჩვენი ბრალია, საფეხბურთო სამყარომ აირჩიაო. სადღაც მართალი იყო. გავჩუმდი. საფეხბურთო სამყაროში ისინი ვეტერანებსა და სიჭინავას თანამდგომებს გულისხმობენ.

**...ბოლომდე ჩვენც ყოველთვის ვერ ვაცნობიერებდით, ქვეყნისთვის რომ ვთამაშობდით...**

**- თუ ასეა, მაშინ ხელისუფლებასაც აქვს სათქმელი - ფეხბურთი და სახელმწიფო ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ. ხომ ფაქტია, რომ ბოლო დროს ფეხბურთს აშკარად ეხმარებიან. ალბათ, ჩარევის მასშტაბებს გულისხმობთ...**

- რა თქმა უნდა, ჩარევასაც გააჩნია. დახმარება აუცილებელია, მაგრამ საპრეზიდენტო კანდიდატები საფეხბურთო სამყარომ თავად უნდა შეარჩიოს.

**- ხომ არ ჯობა, თავად უფრო აქტიურად ჩარეულიყავით მიმდინარე პროცესებში - თუ გაძლიერდებით, აზრს ვინ მოგახვევთ თავზე?**

- ახლახან, დათო ტურაშვილის მიერ თარგმნილი მარადონას ავტობიოგრაფიული წიგნი წავიკითხე. თავისი პრინციპულობით ხომ მიყვარდა დიეგო, მაგრამ ახლა ათმაგად შემიყვარდა. ნახეთ, რას წერს - როცა არგენტინის მთავრობა ფეხბურთში ჩაერია, ეს ჩვენი, ფეხბურთელების შეურაცხყოფა იყოო. მთავრობა ფინანსურად უნდა დაეხმაროს, მაგრამ არჩევნებში არ უნდა ჩაერიოს - მაინცდამაინც ეს უნდა აირჩიოთ და არა - ისო. ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ რა დამსახურებითა და ნდობით მოვიდა? ნორმალურად არც უთქვამს, რას გააკეთებდა და როგორ. არადა, საარჩევნო პროცესში ეს ყველაფერი დეტალურად უნდა განხილულიყო. ამიტომაც ვფიქრობ, რომ მთავრობის ასეთი ჩარევა ჩვენთვის შეურაცხყოფა იყო. ამ შეურაცხყოფას ნაწილი ილებს და ამბობს - ეს ასეც უნდა იყოსო. „ჩვენი ფეხბურთი" კი არ ილებს ამგვარ მიდგომას და ამიტომაც რჩება გარეთ.

» მე-3 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# თუ ჩვენში ქვეყნის სიყვარულმა არ გაიღვიძა, არაფერი გამოვა

« მე-2 გვერდიდან

- მოდი, მოვლენებს მეორე მხრიდანაც შევხედოთ - ხალხმა სიჭინავას უკან სახელმწიფოს ზურგი დაინახა, რასაც თქვენ ვერ სთავაზობდით და მხარი ამიტომაც დაუჭირეს. თუ სახელმწიფო ან სერიოზული ინვესტორები ვერ დაგეხმარებიან, ფეხბურთს როგორ განავითარებთ? ბოლოს და ბოლოს, თქვენ მიერ ნახსენები ფედერაციის მხარდამჭერებიც ქართულ ფეხბურთზე არ ფიქრობენ?

- გასაგებია, რასაც ამბობთ და ეს ნამდვილად კარგად მესმის. ანუ, ისეთი კანდიდატურაა მისაღები, ვისაც მთავრობა მხარს დაუჭერს? ჩვენ მივესალმებით იმას, რომ მთავრობა ფედერაციას მხარს უჭერს და ეხმარება. ღმერთმა ქნას, სიჭინავამ ფეხბურთისთვის ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთოს. ეს კი არ გვეწყინება, ძალიანაც გაგვიხარდება, ქართულ ფეხბურთს დღეს ბევრი საქმე სჭირდება, მაგრამ ჩვენი მიზანი მართვის მოდელის შეცვლაა. ეს უკვე მხოლოდ მთავრობაზე არ არის დამოკიდებული. ანუ, მაინც იმისკენ მივდივართ, რომ ჩვენში, ფეხბურთელებშია მენტალიტეტი შესაცვლელი - რასაც გეტყვიან, მაინცდამაინც ის კი არ უნდა გააკეთო. ისე, დარწმუნებული ვარ, მთავრობაშიც პრინციპული ხალხი უფრო მოსწონთ. თუმცა მათ წინააღმდეგობა ვერ დაინახეს და ამიტომაც თვლიან, რომ ყველაფერი ბუნებრივად მოხდა.

> ...მარადონას ავტობიოგრაფიული წიგნი ჩვენს საფეხბურთო სკოლებში ისევე უნდა ისწავლებოდეს, როგორც ჩვეულებრივ სასწავლებლებში დედაენა...

- ეს გასაგებია, მაგრამ თქვენ მიმართ პრეტენზიაც გაისმა - „ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლებმა თუნდაც ერთ საფეხბურთო სკოლას უპატრონეთო? მართალიც არის, თქვენნაირი ხალხი ქართულ ფეხბურთში უფრო აქტიურად უნდა ჩაებას...

- ჩვენი საქმიანობა ისე არ ჩანს, მაგრამ რაღაცას მაინც ვაკეთებთ. გვერდში რატომ არ უდგახართო, გვეუბნებიან და არ იცით, ფედერაციაში რაც მოხდა? სიჭინავამ გიორგი ნემსაძესა და ლევან ყიფიანს დაუძახა და გვერდში დაიყენა. გიორგიმ და ლევანმა რაღაც ბარიერს გადააბიჯეს, რადგან ქართული ფეხბურთისთვის საქმის კეთება სურდათ, მაგრამ მერე ორივეს უარი უთხრა. ეს უკვე ის საქციელია, რომელიც ნეგატიურად განმაწყობს, ჩემთვის ეს მიუღებელია.

**- თანამშრომლობის სურვილი ამიტომ გაგიქრათ?**

- მე და ყაველაშვილს? ფედერაციაში არ ვიმუშავებთ, თორემ სიჭინავასთან რატომ არ ვითანამშრომლებთ? თუ რამეში დასჭირდათ ჩვენი თანადგომა, მეც და მიშაც დიდი სიამოვნებით დავეხმარებით. „ჩვენი ფეხბურთი" კი არ ებუტება ქართულ ფეხბურთს, უბრალოდ, ჩვენ ვამბობთ იმას, რასაც ვფიქრობთ.

**- ერთად რატომ ვერ იმუშავებთ? საქმეს ფედერაციაში უფრო გააკეთებთ და მოვლენებზე მეტი ზემოქმედების საშუალება გექნებათ...**

- ვერ ვიმუშავებთ, რადგან აბსოლუტურად განსხვავებული ხედვა გვაქვს.

**- რეალურად, ორივე მხარეს ქართული ფეხბურთისა და ქვეყნის წინსვლა გადარდებთ. ხომ არ ჯობია, არაფორმალურ გარემოში, მედიის დაუსწრებლად, შეიკრიბოთ და თქვათ, რა აჯობებს ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის?**

- იცით, რა - მე და ყაველაშვილს ფედერაციასთან თანამშრომლობაზე ყიფიანისგან განსხვავებული მოსაზრება გვქონდა. სიჭინავა თავიდან ამბობდა, მოდი ძმებო, გვერდში დამიდექითო. საქმის კეთების სურვილით, ლევანი გვერდში დაუდგა და სიჭინავამაც სიხარულით მიიღო. ასევე მოიქცა ნემსაძე. თუმცა მერე ყიფიანი და ნემსაძე ვიღაცამ დაბლოკა. მაგრამ ვინ? ამას არავინ ამბობს. აგვიხსნის ვინმე, ფედერაციაში ამ ორი ადამიანის მისვლა ვის და რატომ არ აწყობდათ? სწორედ ამის გამო ვერ წარმომიდგენია სიჭინავას გვერდით დგომა და ამიტომაც ვერ ვხედავ ჩვენი შეხვედრის აზრს. თუკი ასე არ არის, მაშინ თქვას, ნემსაძესა და ყიფიანზე აზრი რატომ შეიცვალა?

**- კარგი, საქართველოს ნაკრებზე ვილაპარაკოთ, რომელიც ისეთ დაძაბუნებულ მდგომარეობაშია, ფეხზე დასაყენებლად რაღაც ძლიერმოქმედი წამალი სჭირდება. აქვს კი თემურ ქეცბაია ეს წამალი? როგორ ფიქრობთ?**

- თემური მწვრთნელია და ბევრი რამის სასიკეთოდ შეცვლა შეუძლია. თუმცა მე არ ვიცი, რა წამალი უნდა მოიფიქროს, რომ ბიჭები უცებ „გაფრინდნენ". წეღან რომ ვახსენე მარადონას ავტობიოგრაფიული წიგნი, ამასაც დავამატებდი - ეს წიგნი საფეხბურთო სკოლებში ისევე უნდა ისწავლებოდეს, როგორც იაკობ გოგებაშვილის „დედაენა" და აგიხსნით, რატომ - მარადონას მონათხრობიდან ნებისმიერი ბავშვი ისწავლის, როგორ უნდა უყვარდეს ფეხბურთი, როგორი დამოკიდებულება ჰქონდეს ეროვნული ნაკრებისადმი და როგორი პატრიოტი უნდა იყოს საკუთარი ქვეყნის! სამწუხაროა, რომ ეს წიგნი კარიერის დასრულების შემდეგ წავიკითხე. 17-18 წლისებს რომ წაგვეკითხა, სულ სხვაგვარი დამოკიდებულებით ვითამაშებდით, სხვაგვარად გვეყვარებოდა ქვეყანა და ნაკრები. ჩვენს თაობასაც აკლდა ბევრი რამ... არა, ქვეყანა როგორ არ გვიყვარდა, მაგრამ კარგად არ გვქონდა გაცნობიერებული ეს სიყვარული, ვისი გორისანი ვიყავით, რამხელა მეფეები, წმინდანები, პოეტები და მწერლები გვყავდა და ასე შემდეგ.

**-სხვათა შორის, გიორგი დევდარიანის „ფსიქოთერაპია" სწორედ ამას ეყრდნობა. ფეხბურთელებს ეკლესია-მონასტრებში ატარებს და არა - ფსიქოლოგებთან. შედეგსაც ამიტომ ხომ არ მიაღწია?**

- რა თქმა უნდა! ამ ქვეყანაზე შრომა ყველას უფასდება. ჭკუითა და მონდომებით თუ აკეთებ, წარმატებული იქნები. ქვეყანა და მისი მთავარი გუნდი ფეხბურთელში გამორჩეულ განცდებს უნდა ბადებდეს. მარადონა წერს, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, როგორ შეიძლებოდა, სხვადასხვაგვარად მეთამაშა ოფიციალურ და არაოფიციალურ შეხვედრაში, მე ხომ არგენტინის ნაკრების მაისურა მეცვაო. ან კიდევ ეს ფრაზა - თუ სანაკრებო შეკრებაზე მიდიხარ და თვითმფრინავზე დაგაგვიანდა, მატარებლით უნდა ჩახვიდე. თუ მატარებელიც არ არის, ფეხით უნდა ნახვიდეო. ხედავთ, ამ ადამიანს საკუთარი ქვეყნის რამხელა სიყვარული ჰქონდა?!

**- თუ არ მეშლება, ფეხბურთის ფედერაციის მიერ აღებული ბილეთით მგზავრობას თქვენს თაობაში ბევრი თაკილობდა და თავის ფულს ხარჯავდა ამაში, კახა ცხადაძემ გუნდისთვის ფორმები შეიძინა და ასე შემდეგ...**

- ასეთი მაგალითები ბევრი იყო, მაგრამ მაინც გვაკლდა ქვეყნის ისეთი სიყვარული, რითიც მარადონა სამაგალითო გახდა. თუკი დღევანდელ და მომავალ თაობაში ამ განცდამ არ გაიღვიძა, მიზანს ვერ მივაღწევთ - შანსი არ არის! მარადონას სამშობლოს მიმართ ასეთი დამოკიდებულება რომ არ ჰქონოდა და ცხოვრებისეულ საკითხებში პრინციპული პიროვნება არ ყოფილიყო, ამდენს ვერ მიაღწევდა. რაც არ უნდა დიდი ტალანტი იყო, თუ ამ ყველაფერს ვერ აცნობიერებ, ვერაფერსაც ვერ მიაღწევ.

**- სწორედ ეს გამოჩნდა ბულგარეთთან წაგებულ (2:6) მატჩში - ასეთი უჯიგრო და უთავმოყვარო გუნდი საქართველოს არასდროს ჰყოლია. დამრჩა შთაბეჭდილება, თითქოს ფეხბურთელებისთვის შედეგი სულ ერთი იყო...**

- ...და ეს ჩანს კიდეც. მსგავსი რამ ჩვენც ბევრჯერ მოგვსვლია. ზოგჯერ გარედან ჩანდა... ჩანდა კი არა, ასეც იყო - ბოლომდე ყოველთვის ვერ ვაცნობიერებდით, ქვეყნისთვის რომ ვთამაშობდით. ვიმეორებ, ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ვერ ხვდები, რა ქვეყნის შვილი ხარ და რომ ქვეყნის სახელს გაფრთხილება სჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ამხანაგური მატჩი

| ლოკომოტივი-სიონი | 3:0 |
| --- | --- |

1:0 ჩიკვაიძე (57), 2:0 დ. ჩაგელიშვილი (68), 3:0 ბოჭორმელი (78)

ლოკომოტივი: ქვილითაია, ვეკუა, ხუმარაშვილი, ხატიაშვილი, სარალიძე, გ. ჭელიძე, წულაძე, გ. მახარაძე, ქებაძე, კაკულია, ზ. მეტრეველი. მეორე ტაიმში შევიდნენ: გვენცაძე, ი. გადელია, ლ. ჩაგელიშვილი, ბოჭორმელი, დიაკვნიშვილი, ჩიკვაიძე, ა. შენგელია, გონაძე, დ. ჩაგელიშვილი.

სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, ლ. მერებაშვილი, დიდავა, გ. კვანტალიანი, გ. მელქაძე, დეკანოსიძე, ლ. ნოზაძე, ი. შენგელია, მაისურაძე, ლ. მელქაძე. მეორე ტაიმში შევიდნენ: ზუხბაია, ქურასბედიანი, ნაყოფია, ჯოხაძე, სილაგავა, ისიანი, რუსეიშვილი.

# ლოკომოტივმა სიონი გაიტანა

სეზონის განახლებამდე ცხრილის მეორე ნაწილში მყოფმა გუნდებმა, ბოლნისის „სიონმა" და თბილისის „ლოკომოტივმა" დასკვნითი საკონტროლო შეხვედრა გამართეს. მატჩი, რომელიც საგურამოს ბაზაზე გაიმართა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ქვემოქართლელებს ამ შეხვედრაში ტრავმირებული მცველები **რევაზ ქემოკლიძე** და **თემურ რაქვიაშვილი** აკლდათ.

პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა. არა და მეტოქეებს ბურთის გატანის არაერთი კარგი შანსი ჰქონდათ. **ირაკლი შენგელიას** დარტყმას შედეგი არ მოჰყოლია, მერე კი „ლოკომოტივის" მორიგი იერიშისას, **გიორგი ჭელიძე** ბოლნისელთა მეკარე **მინდია ბობლიაშვილთან** პირისპირ გავიდა. თბილისელთა ფეხბურთელმა ბობლიაშვილს ბურთი თავზეც გადაავლო, მაგრამ კარს ააცილა. პირველ ტაიმში ყველაზე გამორჩეული მომენტი „ნორჩი დინამოელიდან" „სიონში" გადაბარგებულ ფორვარდ **გიორგი მაისურაძეს** ჰქონდა. მაისურაძე პირისპირ გავიდა „ლოკომოტივის" გოლკიპერ **მაქსიმე ქვილითაიასთან**, მაგრამ ჩინებული შანსი ხელიდან გაუშვა. შესვენებაზე მწვრთნელებმა ტრადიციულად შეცვლებს მიმართეს და ქვემოქართლელთა უპირატესობაც გაქრა. მეორე ნახევარში **სანაიას** გუნდმა იძალა და საბოლოო ჯამში 3:0 მოიგო. დედაქალაქელთაგან ბურთები **გიორგი ჩიკვაიძემ, დავით ჩაგელიშვილმა** და **გოგა ბოჭორმელმა** გაიტანეს.

დაბოლოს, ამ გუნდებიდან სეზონს პირველები ბოლნისელები განაახლებენ. „სიონი" 5 თებერვალს ცხინვალის „სპარტაკს" რუსთავში, „ფოლადზე" უმასპინძლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდში ტრავმირებულთა რიცხვი გუშინდელი საკონტროლო მატჩის შემდეგაც გაიზარდა. ქემოკლიძისა და რაქვიაშვილის შემდეგ, მცველი **გივი დიდავა** და ძირითადი მეკარე მინდია ბობლიაშვილიც დაშავდნენ. როგორც გავიგეთ, წლის სასტარტო ტურში ტრავმირებულთა თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რაც შეეხება „ლოკომოტივს", გელა სანაიას გუნდი კვირას, 7 თებერვალს „ზესტაფონს" სტუმრად ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**

სპარტაკი

# იპოვეთ ათი განსხვავება

უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ჩემპიონატში ერთ-ერთი პირველი ცხინვალის „სპარტაკი" ჩაებმება - **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდს პარასკევს ბოლნისის „სიონთან" მოუწევს დაპირისპირება. შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის შემდეგ „სპარტაკი" სატურნირო ცხრილში მისთვის საპატიო - მეხუთე ადგილზე იმყოფება; არანაკლებ წარმატებას ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა საქართველოს თასზეც მიაღწია - „სპარტაკი" ნახევარფინალშია გასული და თბილისის „დინამოსთან" ორრაუნდიან პაექრობაში შეეცდება კიდეც სანუკვარი ფინალის საგზურის მოპოვებას.

სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში „სპარტაკმა" უცხოეთში შეკრებაზე წასვლა ვერ მოახერხა. თუმცა, ამის მიუხედავად, ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი 26 დეკემბრიდან მოყოლებული ნაყოფიერად ემზადებოდა თბილისში. ამ ხნის განმავლობაში „სპარტაკმა" ხუთი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა: „დინამოსთან" - 1:3, „ოლიმპთან" - 0:1, „ვიტ ჯორჯიას" დუბლებთან - 2:1, აზერბაიჯანულ „სიმურგთან" - 0:1 და „ავაზასთან" - 1:0. თუმცა, ამ მოსამზადებელ პერიოდში „სპარტაკის" მთავარი „საფირმო ნიშანი" მაინც გუნდში განხორციელებული ცვლილებები იყო. თავად განსაჯეთ: პირველი ეტაპის შემდეგ, სხვადასხვა მიზეზით გუნდი დატოვეს - **რევაზ გოცირიძემ, გივი დიდავამ, ბექა შეყრილაძემ, აქვსენტი გილაურმა, კობა შალამბერიძემ, პავლე დათუნაიშვილმა, ბაჩანა ცხადაძემ, ლაშა დეკანოსიძემ, ამირან გვენცაძემ, შოთა ჯიშკარიანმა, გიორგი მანწკავამ, ლაშა ჩალაძემ** და **ზონიმ**.

ასეთი სოლიდური დანაკლისი კი იმის ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომ გუნდში მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი შემცვლელები მოსულიყვნენ. და აი, გუშინ, „სპარტაკის" საკლუბო ოფისში გუნდის ათ (!) ახალწვეულს მუდმივნომრიანი მაისურები გადაეცათ. აი, ისინიც, „სპარტაკის" ახალწვეულები:

მეკარე - **ანდრე ნონოსი** (კამერუნი) მცველები - **დაჩი ფოფხაძე, ილია სარალიძე, ნიკა მგელაძე, ნოდარ მგალობლიშვილი;** ნახევარმცველები - **პატრიკ ნედ ნალო** (საფრანგეთი), **ბესიკ დეკანოიძე, გიგა ბურჯანაძე;** თავდამსხმელები - **ილია ბუზალაძე, თორნიკე უხურგუნაშვილი.**

ახალწვეულებს მაისურები სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **დიმიტრი სანაკოევმა** გადასცა, რომელიც საფეხბურთო კლუბ „სპარტაკის" პრეზიდენტი გახლავთ. ჯერჯერობით ღიად რჩება პირველ ეტაპზე გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის **თეიმურაზ შონიას** საკითხი, რომელიც უკრაინულ „ვოლინში" გადის სინჯებს.

**გია ტუხაშვილი**

ამბები

## ოდრამ შალამბერიძე გაიფორმა

წარმატებით დასრულდა **კობა შალამბერიძის** სინჯები პოლონური „ოდრას" შემადგენლობაში. 25 წლის ქართველმა ნახევარმცველმა საკონტროლო მატჩებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და გუნდის მწვრთნელებმა მასთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტეს. „ოდრამ" შალამბერიძეს წელიწადნახევრიანი ხელშეკრულება გაუფორმა. ცნობისათვის, „ოდრა" პოლონეთის 16-გუნდიან ექსტრაკლასიკაში დღეისათვის ბოლო ადგილზეა და სამშვიდობო ზონას ოთხი ქულით ჩამორჩება.

## ადამია ჩემპიონობას უმიზნებს

*„აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. „ყარაბახი" შესანიშნავი გუნდია და მჯერა, უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. აზერბაიჯანის ჩემპიონობისა და ევროთასებზე წარმატებით ასპარეზობის ძალა შეგვწევს და შევეცდები, ამ საქმეში ჩემი წვლილი შევიტანო. მზად ვარ, ჩემს ახალ გუნდს გამოვადგე როგორც თავდამსხმელის, ასევე ნახევარმცველის პოზიციაზე",* - განუცხადა ერთ-ერთ აზერბაიჯანულ სპორტულ ვებგვერდს „ბაქიდან" „ყარაბახში" რამდენიმე დღის წინ გადასულმა **გიორგი ადამიამ**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი

# სამეზობლოში ქართული ჯახით განახლდა

ზამთრის შესვენების შემდეგ განახლდა აზერბაიჯანული პრემიერლიგა. გუშინ, ორი მატჩი გაიმართა - „შაფაზე" 400 მაყურებლის თვალწინ „ოლიმპიკმა" 0:2 დათმო „გაბალასთან". ორივე გუნდში თითო ქართველმა ითამაშა, თითო კი სათადარიგოთა სკამზე დარჩა. მასპინძელ „ოლიმპიკს" ვერაფრით დაეხმარა **ნუგზარ კვირტია**, რომელმაც 90 წუთი დაყო მოედანზე. მატჩის განაცხადში იყო **რომან გოგინაშვილი**, მაგრამ მას თამაშის შანსი არ მისცემია. გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გოგა ბერაიამ**, ხოლო სკამზე **რევაზ გეწაძე** დარჩა. მეორე მატჩში „ბაქიმ" 2:1 მოუგო „თურანს". „გაბალა" 26 ქულით მე-7 ადგილზეა, შემდეგ მოდის „ოლიმპიკი", თუმცა მას 8 ქულით ჩამორჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბაია

# გამარჯვება ბოლო სპარინგში

ზუგდიდის „ბაიამ" ზამთრის მოსამზადებელი შეკრების ბოლო მატჩი გუშინ ჩაატარა. **ელგუჯა ქომეთიანისა** და **სოსო ჭედიას** გუნდმა ზუგდიდში ხობის „კოლხეთს" უმასპინძლა და 3:1 გაიმარჯვა. გოლები **ვართაგავამ, ეხვაიამ** და **ჭკადუამ** გაიტანეს.

„ბაიას" ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: **სომხიშვილი - კვეკვესკირი, კვესიეშვილი, აქუბარდია, ს. თოდუა - ჭკადუა, ჩისამბა ლუნგუ, ვართაგავა, რ. ონიანი, წურწუმია - ჭკადუა.** შეცვლაზე შევიდნენ: **გ. ქირია, ნ. შონია, გელენიძე.**

როგორც ჩანს, ბოლო საკონტროლო შეხვედრაში მწვრთნელებმა ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით გადაწყვიტეს თამაში. „ბაიას" ახალგაზრდული ნაკრების თურქული შემადგენლობიდან უკვე დაუბრუნდა ექვსი ფეხბურთელი, რომელთაგანაც ხობელთა წინააღმდეგ მხოლოდ ორმა - **აქუბარდიამ** და **ჩისამბა ლუნგუმ** ითამაშა.

სეზონის განახლებამდე რამდენიმე დღეღა დარჩა და ზუგდიდელთა დაკომპლექტების პროცესი, ფაქტობრივად, დასრულებულია. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „ბაია" არაერთი მაღალი დონის ფეხბურთელით გაძლიერდა, რითაც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი ერთიორად გაეზარდა. ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველ მატჩს „ბაია" 6 თებერვალს, რუსთავში, ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ „ოლიმპის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ




## გიორგი ციმაკურიძე
# ჩემი მთავარი მიზანი ნაკრებია

**გასულ ზაფხულს გიორგი ციმაკურიძემ რამდენიმეწლიანი უკრაინული კარიერა დაასრულა და სლოვაკეთს მიაშურა, სადაც ამ ქვეყნის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის, „ჟილინას" ღირსებას იცავს. „ლელოსთან" ინტერვიუში ქართველი მცველი საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზებზე, სლოვაკურ შთაბეჭდილებებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.**

- უკრაინაში 2001 წლიდან ვთამაშობ. ჩემი „ნამდვილი" კარიერა სწორედ იქ დაიწყო და ამ ქვეყანაში არაერთი წელიწადი გავატარე. იყო როგორც დადებითი, ასევე ცუდად გასახსენებელი პერიოდები, მაგრამ ერთი რამ ფაქტია – ფეხბურთელად უკრაინაში ჩამოვყალიბდი. შარშან კი გარემოს შეცვლა გადავწყვიტე და ჩემმა მენეჯერმა მშვენიერი გუნდი მიპოვა. რალა დაგიმალოთ და, უკრაინაში თამაში გარკვეულწილად მომბეზრდა კიდეც, მსურდა ისეთ კლუბში მეთამაშა, რომელიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებდა და ევროთასებზეც ითამაშებდა. „ჟილინა" კი ამ პირობებს სრულად აკმაყოფილებს.

**- წესით, უკრაინაში ფეხბურთელებს სლოვაკეთზე უკეთეს ფინანსურ პირობებს უნდა სთავაზობდნენ.**

- რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი სტაბილური სათამაშო პრაქტიკა იყო, რასა, მადლობა ღმერთს, „ჟილინაში" მივაღწიე. ფინანსებს რაც შეეხება, ამ მხრივაც კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, სლოვაკურ ფეხბურთში კოლოსალური თანხები არ ტრიალებს, მაგრამ აქ მაინც საკმაოდ წელგამართული კლუბები არიან.

**- „ჟილინაზე" უფრო ვრცლად რისი თქმა შეგიძლიათ?**

- „ჟილინა" სლოვაკეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, ყოველ წელს ჩემპიონობისთვის იბრძვის და საერთაშორისო ასპარეზზეც ანგარიშგასაწევი ძალაა. „ჟილინამ" შარშან საუკუნოვანი იუბილე იზეიმა. აქ შესანიშნავი ატმოსფეროა, ძალიან მეგობრული გუნდია, თბილად მიმიღეს და ამის გამო ადაპტაციის პროცესი მალე დასრულდა. მე და ჩემი ოჯახი აქ თავს იდეალურად ვგრძნობთ. ჩემი გუნდი სლოვაკეთის ოთხგზის ჩემპიონია და ყველა ეს ტიტული ბოლო წლებში მოიპოვა. ბოლოს ჩემპიონი 2007 წელს გახდა და ახლა შესანიშნავი შანსი გვაქვს, ქვეყნის საუკეთესო გუნდის წოდება დავიბრუნოთ. ბრატისლავის „სლოვანს" ერთი ქულით ვუსწრებთ, „დუკლას" კი ორით. სწორედ ეს ორი გუნდია ჩვენი კონკურენტი, დანარჩენები კი უკვე საგრძნობლად ჩამოვიტოვეთ.

**- უკრაინისა და სლოვაკეთის ჩემპიონატებს შორის რა სხვაობაა?**

- შეიძლება ზოგს ეგონოს, რომ სლოვაკეთის ჩემპიონატი უკრაინისას ჩამორჩება, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. ამ ორ ქვეყანას დაახლოებით ერთი დონის ლიგები აქვს, სლოვაკეთში თამაში კი თუნდაც იმიტომ მირჩევნია, რომ აქედან მაღალი დონის ევროპულ კლუბში გადასვლის გაცილებით მეტი შანსი მაქვს.

**- საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

- ნორმალურ ფორმაში ვარ. „ჟილინას" მატჩების უმეტესობა ძირითად შემადგენლობაში ჩავატარე და გუნდის წარმატებაში საკუთარი წვლილი შევიტანე. ხან დაცვის ცენტრში მათამაშებენ, ხანაც მარჯვენა ფლანგზე.

**- „ჟილინასთან" რა ხანგრძლივობის კონტრაქტი გაქვთ გაფორმებული?**

- ხელშეკრულება ორწლიანია და არა მგონია, ამ პერიოდის განმავლობაში გუნდი შევიცვალო. შემდეგ კი ვნახოთ რა იქნება, მე ყველანაირად ვეცდები, რომ უფრო ძლიერი გუნდების ყურადღებაც მივიქციო.

**- თავის დროზე ისეთი ძლიერი კლუბის წევრი იყავით, როგორიც დონეცკის „შახტიორია". იქ დამკვიდრება რატომ ვერ მოახერხეთ?**

- თავიდან ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის კარგი შანსი მქონდა, მაგრამ მთავარი მწვრთნელის შეცვლამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. იტალიელი ნევიო სკალა კარგი თვალით მიყურებდა, მისი წასვლის შემდეგ კი ჩემი საქმეც უკან წავიდა. მერე ალჩევსკის „სტალში" გადავედი და სწორადაც მოვიქეცი, საფეხბურთო ოსტატობა იქ უფრო დავხვეწე.

**- თავის დროზე ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყავით, ეროვნულ გუნდში კი ერთხელაც არ გითამაშიათ...**

- ეს ფაქტი სერიოზულად მაწუხებს და ნაკრებში მოხვედრაზე ყოველთვის ვოცნებობ. ნაკრები ჩემი მთავარი მიზანია და შევეცდები, ჩემი თამაშით მისი მწვრთნელების ყურადღება დავიმსახურო და თუ ერთი შანსი მაინც მომცეს, მას აუცილებლად გამოვიყენებ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

## გიორგი დემეტრაძე
# რაც ახლა ხდება, არც ვიცი, რა ვუწოდო...
### ჯერ რუსეთი ან უკრაინა, მერე ისევ საქართველო. ტოშაკი? დიდი შებერტყილი ვინმე იყო...

**აზერბაიჯანიდან წამოსვლის შემდეგ გიორგი დემეტრაძე უგუნდოდ დარჩა. თუმცა საქართველოს ნაკრების ყოფილ ფორვარდს კვლავ უცხოეთისკენ უჭირავს თვალი. გიორგი ყოველთვის საინტერესო და გულწრფელი მოსაუბრე იყო და ვფიქრობთ, არც ეს ინტერვიუ იქნება უინტერესო. კარიერა, საქართველოს ნაკრები და მომავალი - აი, ჩვენი საუბრის მთავარი თემები...**

**- გიორგი, როგორც ვიცით, ასტანის „ლოკომოტივში" აპირებდით გადასვლას...**

- ყაზახეთში წასვლა ჯერ არ გადამიწყვეტია. სხვა ვარიანტებიც მაქვს, მაგრამ ახლა დაკონკრეტება არ მინდა. რამდენჯერაც წინასწარ ვილაპარაკე, იმდენჯერ ჩამეშალა ტრანსფერი. ახლა ყოველდღე ცხინვალის „სპარტაკში" ვვარჯიშობ და უკეთესობას ვგრძნობ. გუნდის მთავარ მწვრთნელ ვოვა ხაჩიძეს მადლობა მინდა გადავუხადო, რადგან კარგად მამზადებს.

**- უცხოეთმოვლილი ფეხბურთელისთვის საქართველოში კარგად მომზადება შესაძლებელია?**

- რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ერთი კვირაც და სადმე წავალ - რუსეთში, უკრაინაში ან ყაზახეთში.

**- რუსეთსა და უკრაინაში რა დონის კლუბები გიწვევენ?**

- ორივეგან უმაღლესი ლიგის კლუბებზეა ლაპარაკი. მიხარია, რომ ამ ქვეყნებში ჩემი დღემდე სჯერათ.

**- თქვენი ასაკის ფეხბურთელს უკეთეს პირობებს, ალბათ, უფრო ყაზახები შესთავაზებენ...**

- ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი... შეიძლება, უფრო უკეთესი პირობები რუსებმა შემომთავაზონ... რა გითხრათ, გააჩნია, მოლაპარაკება როგორ დასრულდება.

**- იყო პერიოდი, რუსეთსა და უკრაინაში კარგი სახელი გქონდათ, მაგრამ ახლა კლუბს ეძებთ. გულახდილად თქვით, რატომ წაგივიდათ საქმეები ცუდად? მოეშვით?**

- შეიძლება, სადღაც მართლაც მოვეშვი, მაგრამ იყო წლები, როცა ძალიან კარგად ვთამაშობდი. კარიერას ჩავარდნის გარეშე ვერც გაივლი.

**- გაცილებით მაღალ დონეზე უნდა გეთამაშათ, მაგრამ ვერ მოახერხეთ...**

- ყველაფრის გათვალისწინებით, ჩემი კარიერით მაინც კმაყოფილი ვარ. თუმცა გეთანხმებით, უფრო მეტიც შემეძლო. ალბათ, საქმეს მეც დავაკელი რაღაც... ან შეიძლება, გარემოებებმაც შემიშალა ხელი. რას ვიზამ, ასე გამოვიდა...

**- „რეალ სოსიედადში" უელსელი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი არ გათამაშებდათ...**

- ის მხოლოდ თავისიანებს ათამაშებდა, დიდი შებერტყილი ვინმე იყო. „მისი ფეხბურთელი" თუ არ იყავი, გასაქანს არ მოგცემდა. არადა, კარგად დავიწყე... ლეგიონერებზე ლიმიტმაც იმოქმედა, მხოლოდ სამ არაევროკავშირელს ათამაშებდნენ, ამდენად, ძირითადში მოხვედრა ასე ადვილი არ იყო. არადა, რა ლეგიონერები გვყავდა, ყველა უმაღლესი კლასის - კოვაჩევიჩი, ხოხლოვი, თაიფუნი, კარპინი... ბევრ მათგანთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს. ერთხელ შეკრებაზე კარპინი ვნახე და ძმასავით ჩამეხუტა. სამწუხაროდ, წელიწადში ოც ტელეფონს მაინც ვკარგავ და ბევრის ნომერი აღარ მაქვს.

**- საქართველოში რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი დაბრუნდა - აფციაური, კორღალიძე, გამეზარდაშვილი, კვარაცხელია, ლონლაძე... თუმცა თქვენნაირი სახელის მქონე მოთამაშე ჩემპიონატს სხვაგვარ ელფერს შესძენდა. ამაზე არ გიფიქრიათ?**

- საქართველოს ჩემპიონატში ვითამაშებ, მაგრამ ახლა უცხოეთში მიწვევენ და სანამ შემიძლია, აუცილებლად წავალ. სამშობლოში კი ნამდვილად დავბრუნდები, ამის დროც მოვა. ოღონდ მთავარია, იმ დროისთვის 45 წლის არ ვიყო (იცინის).

**- 7 თებერვალს ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვევა. თქვენი აზრით, ჩვენი გუნდისთვის თუ აქვს მნიშვნელობა სასურველ და არასასურველ მეტოქეებს?**

- სასურველი და არასასურველი? როგორ არ აქვს მნიშვნელობა?! საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და გერმანია ჩვენთვის ძალზე არასასურველია, დანარჩენები კი მეტ-ნაკლებად მისაღებია. თუმცა ახლა თამაში ყველამ ისწავლა და ძველებურად ადვილად ვერ გაუმკლავდები. ფარერების ნაკრებიც კი ყველას ეომება და უბრძოლველად ქულასაც არავის უთმობს. თუ არ მეშლება, ჩვენ შემდეგ ფარერებისთვის 6:0 არავის მოუგია...

**- ევროპის პირველობაზე ჩვენი ნაკრების მოხვედრის მხოლოდ მეოცნებეებს სჯერათ. თქვენი აზრით, რა მიზანი უნდა დაისახოს გუნდმა?**


გიორგი დემეტრაძე

- ძალიან მინდა, თემურ ქეცბაიამ წარმატებას მიაღწიოს. მისი, როგორც მწვრთნელის, მჯერა. თემურმა „ანორთოსისსა" და „ოლიმპიაკოსში" დაამტკიცა, რომ ნიჭიერი სპეციალისტია. თუმცა მას ქვეყანამ და ფეხბურთელებმა უნდა შეუწყონ ხელი. ვფიქრობ, უფრო რეალური მიზანი მესამე ადგილისთვის ბრძოლა იქნება. რაც მთავარია, ბრძოლისუნარიანი გუნდი უნდა ჩამოყალიბდეს.

**- მართლა გჯერათ, რომ დღევანდელ შემადგენლობას თუნდაც მესამე ადგილის დაკავება შეუძლია?**

- ორი აზრი არ არის, რომ ფეხბურთელებს მეტი შეუძლიათ. რაც შეეხება ქვეყანას, ჩვენ ბოლო წლებში გაგვიჭირდა, ომმა და კრიზისმა კვალი დაგვატყო და ბუნებრივია, ეს ჩვენს ფეხბურთზეც აისახა. ფეხბურთის განვითარების წინა პირობა ეკონომიკური სტაბილურობა და ეროვნული ჩემპიონატის ბევრად უკეთესი დონე უნდა გახდეს. გუნდებს შეკრებებზე წასვლა არ უნდა უჭირდეთ, არადა, ბევრი ვერსად მიდის მოსამზადებლად.

**- თქვენს დროს გაცილებით უკეთესი ფეხბურთელებიც თამაშობდნენ...**

- მაღალი დონის ფეხბურთელებიც ბევრნი იყვნენ და ატმოსფეროც განსხვავებული იყო. გუნდებსაც მეტი ფინანსები ჰქონდათ, ახლა ფიზიკურად არ აქვთ კარგი პირობები და რა უნდა ქნან, გუნდებს ხომ არ დაშლიან?

**- პირადად თქვენ თბილისის „დინამოში" როგორი პირობები გქონდათ?**

- დღევანდელთან შედარებით, გაცილებით უკეთესი, ხელფასებიც კარგი იყო, გვქონდა პრემიებიც, აღდგენითი პროცესებიც, შეკრებები, სპარინგპარტნიორები და, რაც მთავარია, მაშინდელი ხელმძღვანელები თავის საქმეს პროფესიულად უდგებოდნენ. ეს მერე დაიწყეს ამ ხალხის გინება, მაგრამ ჩვენს დროს თავს კარგად ვგრძნობდით. სხვა გუნდებშიც არ იყო ნაკლები პირობები და ეს ზოგად გარემოზე აისახებოდა. სამწუხაროდ, მერე და მერე ყველაფერი აირია. არა მგონია, ახლა რომელიმე კლუბს მაშინდელი ბიუჯეტი ჰქონდეს. რაც ახლა ხდება, არც ვიცი, რა ვუწოდო...

**- საქართველოს ნაკრებს თქვენნაირი ფეთქებადი, „მოხეტიალე" ფორვარდი აშკარად დააკლდა. ასეთი თავდამსხმელი სხვა გეგულებათ?**

- ვის დააყენებ ფლანგებზე, მწვრთნელების გადასაწყვეტია. პირადად მე, ანანიძე და ყენია ძალიან მომწონს და მათ ამ დეფიციტის შევსება შეუძლიათ. ალბათ, ჩემი ამპლუის ფეხბურთელებიც წამოვლენ, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ზუსტად ჩემნაირი სტილის ფეხბურთელს ვერ ვიხსენებ...

**მერაბ მამულაშვილი**

# ბორის პაიჭაძე 95

**ქართული** ფეხბურთის ლეგენდას, ყველა დროის ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულ ბორის პაიჭაძეს დღეს 95 წელი შეუსრულდებოდა... ის სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გასული საუკუნის 30-40-იანი წლების თბილისის „დინამო" და, საერთოდ, ქართული ფეხბურთი სწორედ ბორის პაიჭაძესთან ასოცირდებოდა. სამწუხაროდ, სხვა ეპოქაში მოუხდა ცხოვრებაც და თამაშიც, თორემ უპრობლემოდ შეეძლო, იმდროინდელი მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების გვერდით დამდგარიყო...



ბორის პაიჭაძე (მარჯვნივ)

# ფეხბურთის კარუზო!

...ბორის პაიჭაძე შთამბეჭდავად თამაშობდა, რომ მის სიდიადეს ყველა აღიარებდა, ცნობილი ქართველი და რუსი პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ; აღარაფერს ვამბობთ იმდროინდელი სპორტისა თუ ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებზე, რომელთა ზოგიერთ შეფასებასაც ახლა შემოგთავაზებთ:

**ანდრო ჟორდანია** (ცნობილი ქართველი მწვრთნელი): *„ჩვენს დროში რომ ეთამაშა, ბორის პაიჭაძე არანაკლებ დიდებას მოიმკიდა, ვიდრე... პელე ან დი სტეფანო".*

**მარტინ მერჟანოვი** (ცნობილი რუსი ჟურნალისტი): *„პაიჭაძე ბუნების ისეთივე იშვიათობა გახლდათ, როგორც თვითნაბადი ოქრო".*

**ნიკოლაი ოზეროვი** (პოპულარული კომენტატორი): *„ვწუხვარ, რომ მაშინ არ იყო იმის შესაძლებლობა, დიდ არენაზე ენახათ ამ ჯადოქრის ცეცხლოვანი თამაში, თორემ ახლანდელი ფეხბურთის ვარსკვლავთა სიაში უეჭველად უპირველესთა შორის დაასახელებდნენ".*

**ბორის არკადიევი** (ცნობილი რუსი მწვრთნელი): *„პაიჭაძე სწრაფი და ამტანი იყო. იგი ფლობდა ბურთის დამუშავების მაღალ ტექნიკას, მისი დარტყმა ძლიერი და ზუსტი იყო, ხოლო მუდამ წინ წარმართული ფინტების ხელოვნება ტრიბუნების აღტაცებას იწვევდა".*

**ლევ კასილი** (ცნობილი საბჭოთა მწერალი): *„ვისაც ერთხელ მაინც უნახავს პაიჭაძე მოედანზე, იგი მას ვერასდროს დაივიწყებს"...*

ვაღიაროთ - დაუსრულებლად შეიძლება ამ მართლაც ბუმბერაზ ფეხბურთელზე გამოთქმული ციტატების მოშველიება; თუმცა, ალბათ, ჯობს სიტყვა გადავცეთ ბორის პაიჭაძის ჯადოსნური ბურთაობის თვითმხილველს, ბატონ **გულბათ ტორაძეს**. ცნობისათვის: გულბათ ტორაძე მუსიკათმცოდნე გახლავთ, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მუშაკი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, გამოცემული აქვს არაერთი წიგნი ქართული მუსიკის ისტორიაზე, ჭადრაკსა და ფეხბურთზე. აღსანიშნავია, რომ ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ბორის პაიჭაძის ყველა თბილისურ შეხვედრას დასწრებია, 1937-დან 1950 წლამდე რაც ჩატარებულა!..

*„ჩემთვის, ბორის პაიჭაძე ქართველი ფეხბურთელების თანავარსკვლავედში უცილობელ ლიდერს, ფლაგმანსა და სიმბოლოს წარმოადგენს. მეტსაც ვიტყვი - იგი ქართული ფეხბურთის გენერალისიმუსია! მთელი თავისი კარიერის განმავლობაში ბორის პაიჭაძემ ქართველ ხალხს უდიდესი სპორტული, ფსიქოლოგიური და ესთეტიკური სიხარული მიანიჭა. თაობათა გმირი იყო, სათაყვანებელი კერპი, - აღტაცებულ სტრიქონებს არა მხოლოდ სპორტული ჟურნალისტები, პოეტებიც რომ უძღვნიდნენ...*

*...ბედნიერება მხვდა წილად, მისი თამაშის ცქერით დავმტკბარიყავი წლების განმავლობაში; დღეს, როცა დამშვიდებით ვაანალიზებ ჩემს დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს, კიდევ ერთხელ მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ბორის პაიჭაძე არაფრით ჩამოუვარდებოდა მსოფლიოში აღიარებულ ტყავის ბურთის დიდოსტატებს; ეგ კი არა, თავისი ხალასი ინდივიდუალობით, ალბათ, ბევრ მათგანზე მაღლაც იდგა...*

*...ნებისმიერ მატჩში და ნებისმიერ მეტოქესთან, როგორც წესი, მოწინააღმდეგის ორი ან სამი ფეხბურთელი მეურვეობდა.* **„Держите Паичадзе"**!

*წლების განმავლობაში ისმოდა რუსეთის ყველა სტადიონის ტრიბუნიდან;*

*ვერაფრით დავივიწყებ 1947 წლის ივლისში მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" მატჩის რადიორეპორტაჟს; ეს ის მატჩია, ბორის პაიჭაძისთვის საბედისწერო რომ აღმოჩნდა - მეტოქის ფეხბურთელმა მძიმე ტრავმა მიაყენა, მაგრამ პაიჭაძეს მოედანი არ დაუტოვებია; სწორედ მაშინ თქვა ცნობილმა კომენტატორმა ვადიმ სინიავსკიმ ის ცნობილი სიტყვები:* **„Паичадзе как лебедь, стоит на одной ноге, но его все-таки сторожат"**. *წლების შემდეგ ბორისს ის მატჩი რომ გავახსენე, დიდსულოვნად მომიგო - მეტოქეს განზრახ ნამდვილად არ დავუშავებივარ, ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყოო. სხვათა შორის, ის „მეურვე" ნიკოლაი მოროზოვი გახლდათ, საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რომ იყო 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.*

*...სამწუხაროდ, ბორის პაიჭაძეს დიდ საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლამ არ მოუწია; მაგრამ, 1945 წელს, რუმინეთში „დინამოს" ტურნეს დროს, ადგილობრივმა სპორტულმა ჟურნალისტებმა „კონტინენტური მასშტაბის ფორვარდი" უწოდეს და უაღრესად მეტაფორული წოდებითაც შეამკეს - „ფეხბურთის კარუზო"!*

*...მაინც, რაში მდგომარეობდა პაიჭაძის ფენომენი? მისი უპირველესი „კოზირი", რა თქმა უნდა, ბურთის ტარების (დრიბლინგის) უბადლო ოსტატობა იყო. იგი პირდაპირ, უმოკლესი გზით მიქროდა მეტოქის კარისკენ და თვალშეუვლები ფინტებით (რომელთა დროსაც მეურვეები მარჯვნივ თუ მარცხნივ მოწყვეტილებივით ცვიოდნენ) გადიოდა „ცეცხლის ხაზზე".*

*ბორისი სწრაფად და მოხდენილად დარბოდა, ვირტუოზულად ფლობდა თავის პლასტიკურ ტანს, ჰქონდა საოცრად ღონიერი მხრები, შეტევა გახლდათ მისი სტიქია. იგი მშვენივრად იყო შეთამაშებული თავის ღირსეულ პარტნიორებთან - ჯეჯელავასთან, ხარბედიასთან, ბერეჟნოისთან, ღოღობერიძესთან. სწორედ ჯეჯელავასა და ხარბედიასთან კავშირში შემუშავდა ადგილების შენაცვლების ნოვატორული ტაქტიკა, რომლის პიონერადაც თბილისის „დინამო" მოგვევლინა (მწვრთნელი - მ. ბუტუსოვი) 1939 წლის 18 ნოემბერს, ლეგენდად ქცეულ მატჩში მოსკოვის ცდკა-სთან.*

*ეს მატჩი ჩემთვის და, ალბათ, სხვებისთვისაც, მთელი ცხოვრების ყველაზე ძლიერ საფეხბურთო შთაბეჭდილებად დარჩა. პირველი ტაიმი წავაგეთ 1:4 (ერთადერთი გოლი ბორისმა გაიტანა), მეორეში კი ნამდვილი სასწაული მოხდა და საბოლოოდ გავიმარჯვეთ 5:4 (მიხეილ ბერძენიშვილის, ასლან ხარბედიას - 2 და გაიოზ ჯეჯელავას გოლებით).*

*ამ წლებში შეარქვეს პაიჭაძეს ფეხბურთის სპეციალისტებმა „მოხეტიალე ფორვარდი", რითაც ხაზი გაუსვეს მისი „შეტევის ფრონტის" ფართო ამპლიტუდას. მაგრამ ბორისის ძირითად სამოქმედო ასპარეზს მაინც მოედნის შუაგული და მარცხენა ფლანგი წარმოადგენდა.*

*ბორის პაიჭაძის უნიკალობა იმითაც გამოვლინდა, რომ მთელი საფეხბურთო კარიერის მანძილზე მას არც ერთი გაფრთხილება და შენიშვნაც კი არ მიუღია მსაჯებისაგან.*

*ქართულ ფეხბურთში მას რომ ვერავინ გაუტოლდება - ეს აქსიომაა. თავისი ნიჭითა და თამაშის მანერითაც ყველაზე ახლოს მასთან იდგა ჩვენი დაუვიწყარი ბასა ღოღობერიძე.*

*ბორისის პირველი საკავშირო სეზონი (1936 წლის შემოდგომა) დიდი წარმატებით აღინიშნა. იგი საუკეთესოთა რიცხვში დაასახელეს. სწორედ მაშინ, მოსკოვის „სპარტაკთან" სათასო თამაში სენსაციური გამარჯვების (6:3) შემდეგ, უწოდეს მოსკოველმა ჟურნალისტებმა თბილისელებს „დიდი ურუგვაელები", ხოლო პაიჭაძეს - „ბრწყინვალე ფორვარდი". ამ დროიდან იწყება ისტორიული პაექრობა ქართულ (თბილისის „დინამოს") და მრავალრიცხოვან რუსულ გუნდებს შორის, რაც ათეული წლების მანძილზე საბჭოთა ჩემპიონატების მთავარ ინტრიგას, ხოლო ჩვენთვის - ეროვნული თვითდამკვიდრების ერთადერთ ლეგალურ ფორმას წარმოადგენდა!*

*ცნობილი რუსი საფეხბურთო ჟურნალისტი და სტატისტიკოსი* **კონსტანტინ ესენინი** *(სერგეი ესენინის ვაჟიშვილი) წერდა: „აი, ეს იყო თამაში... ყველა დამსწრეს ახსოვს. ოცდაათი წელი გავიდა - მაინც ახსოვთ, კიდევ ოცი გავა და მაინც, ვინც კიდევ ცოცხალი იქნება - ემახსოვრებათ. არადა გავიდა წლები - ომების, იმპერიებისა და სახელმწიფოების დიდებისა და დაქცევისა - თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა".*

...1950 წლის თებერვალში ბორისს 35 წელი შეუსრულდა. სწორედ ამ სეზონმა დიდი სიხარული მოუტანა მის თაყვანისმცემლებს, 21 თამაშში მან 9 გოლი გაიტანა, მათ შორის, ერთი - უნიკალური, ვარდნით, ბრწყინვალე თავური დარტყმით (რიგის „დაუგავასთან"). ძმები პაიჭაძეების ბენეფისად იქცა „დინამოს" მატჩი თბილისის „სპარტაკთან", რომელიც წარმატებით თამაშობდა იმ წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, შედეგი იყო 3:1 „დინამოს" სასარგებლოდ და ოთხივე ბურთი ბორის და **ავთო პაიჭაძეებმა** გაიტანეს...

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ გარკვეული პერიოდი თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელად მუშაობდა; წლების განმავლობაში იყო სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ხელმძღვანელი და „დინამოს" სტადიონის დირექტორი. ბევრს, შესაძლოა, უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ბორის პაიჭაძე ერთი ხანობა... რაგბის ფედერაციის სათავეშიც იყო; ხოლო 1952 წელს თბილისის „დინამოს"... კალათბურელთა გუნდის უფროსიც გახლდათ. სწორედ მაშინ იყო, ჩვენი კალათბურთელები კიევში კალენდარულ მატჩზე რომ გამოვიდნენ და როცა დიქტორმა სტუმართა გუნდის უფროსის სახელი და გვარი გამოაცხადა, ტრიბუნებზე მჯდომი ხალხი ფეხზე წამოუდგა ბორის პაიჭაძეს და რამდენიმე წუთი მქუხარე ტაში არ ცხრებოდა...

ბორის პაიჭაძე, საუკუნის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი, უდიდესი სპორტსმენი, პიროვნება, სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. 1995 წლის 29 მარტს თბილისში ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ლეგენდარული ფეხბურთელის ძეგლი.

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რობინიო თვით პელემ წარადგინა

ტრანსფერი

# გმირი ვერტმფრენიდან

**რობინიო** „რეალიდან" „მანჩესტერ სიტიში" 18 თვის წინ დიდი ხმაურით გადავიდა - თანხა, რომელიც მაშინ ისტლენდელებმა მადრიდელებს გადაუხადეს, ფეხბურთელთა ბრიტანული ბაზრისთვის დღემდე სარეკორდოა და 32,5 მილიონ ფუნტს უდრის. თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, პრემიერლიგაში გადაბარგების შემდეგ ბრაზილიელის საქმეები მთლად კარგად ვერ წავიდა. პირდაპირ ვთქვათ: თავდამსხმელმა „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე" ვერ ივარგა და შედეგად, ისტლენდელებმა, ცოტა ხნის წინ, იგი თავიდან მოიშორეს - ექვსი თვით გააქირავეს. თუმცა, ამ ისტორიას მეორე მხარეც აქვს. „მანჩესტერ სიტიმ" რობინიო თავის ყოფილ გუნდს, „სანტოსს" მიაქირავა, სადაც ფეხბურთელს, „ვია ბელმიროს" სტადიონზე, გმირს რომ შეშვენის, ისეთი შეხვედრა მოუწყვეს. თავად განსაჯეთ, ათეულობით ათასი გულშემატკივრის წინაშე ის მოედანზე ვერტმფრენით დაეშვა, რომლის ტრაპთანაც, არც მეტი არც ნაკლები, **პელე** შეეგება.

*„მშობლიურ გუნდში დაბრუნებით თავს საოცრად ბედნიერად ვგრძნობ,* - მიმართა რობინიომ ფანებს, - *მე „სანტოსი" საოცრად მიყვარს და ყველა ღონეს ვიხმარ, რომ ჩვენს გუნდს ყოველ შეხვედრაში მოვაგებინო. მინდა სიხარული მოგგვაროთ და თავი ბედნიერ გულშემატკივრებად გაგრძნობინოთ".*

სიტყვით, რასაკვირველია, პელეც გამოვიდა: *„რობინიოს გამოცდილება „სანტოსისთვის" გადამწყვეტი მნიშვნელობისა იქნება. მის გვერდით გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელები საოცრად დაიხვეწებიან".*

რიოში დაბრუნებული ფორვარდი ძველ-ახალ გუნდში მეშვიდე ნომერი იქნება. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ „სანტოსში" დაბრუნების მიზანი ნაკრების მწვრთნელისთვის **დუნგასთვის** თავის მოწონება და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაა.

*„ჩემი ერთ-ერთი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებაა. „სანტოსში" თავის გამოჩენა „სელესაოსკენ" გამიხსნის გზას. მინდა მსოფლიოს ჩემპიონატზე გავემგზავრო და იქ კარგად ვითამაშო".*

რობინიოს მიერ „მანჩესტერ სიტიში" გატარებული შეხვედრების თვალსაჩინო სტატისტიკა კი ასეთია: ინგლისში ჩატარებულ პირველ 19 შეხვედრაში ბრაზილიელმა 12 გოლი გაიტანა, მიმდინარე სეზონში კი ერთადერთი გოლის შეგდება შეძლო და ისიც ფეხბურთის ასოციაციის თასზე „სკანთორპთან" შეხვედრაში.

სკანდალის კვალდაკვალ

# ტერის სამკლავური კაპელოს ხელშია

ინგლისის ნაკრების თავკაცმა **ფაბიო კაპელომ ჯონ ტერის** ამბავზე დუმილი დაარღვია - ასე უთქვამს, მაგ ბიჭის კაპიტნად დატოვება-არდატოვების საკითხს მე თვითონ გადავწყვეტო. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღეა, რაც ბრიტანელ საზოგადოებაში სკანდალი ატყდა. მოწმენდილ ცაზე მეხივით გავარდა: თურმე, ინგლისელთა ეროვნული გუნდის კაპიტანი ნაკრებში თანაგუნდელისა და „ჩელსიში" 6 წლის განმავლობაში მხარდამხარ ნაბრძოლი **უეინ ბრიჯის** სატრფოს, ფრანგ მოდელ **ვანესა პერონსელს** ხვდებოდა - ქალს აბორტიც კი ჰქონია გაკეთებული. ამბავმა ბრიტანული მასმედიის ყველა საშუალება მოირბინა, რამაც ტერი აიძულა ნაცნობ-მეგობრებისთვის რჩევა ეკითხა: უნდა დარჩეს თუ არა ნაკრების ლიდერად? ქვეყანაში ბევრმა ხომ მისი გადადგომა მოითხოვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჯონ ტერი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის მავან მაღალჩინოსანს უკვე შეხვდა, კაპელო კი ლონდონში ჩასვლას ხუთშაბათს აპირებს და ამ საკითხსაც მაშინ მოაგვარებს - რა თქმა უნდა, „მისტერ ჩელსისთან" პირისპირ ლაპარაკის შემდეგ. გაზეთმა „დეილი მეილმა" ინგლისელთა თავკაცს შინ, იტალიაში, ლუგანოში დაურეკა, სადაც ის მუხლის ოპერაციის შემდეგ ისვენებდა. კაპელომ განაცხადა, რომ ხუთშაბათამდე ლონდონში ვერ დაბრუნდება, რადგან დღეს ექიმმა უნდა ნახოს, შემდეგ კი დასძინა: *„მე ყველაფერი ვიცი. გადაწყვეტით ამწუთას ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩამოვალ ლონდონში და გარწმუნებთ, ყველაფერი გაირკვევა".*

გაირკვა, რომ ამ დღეებში კაპელო ტელეფონით ელაპარაკა როგორც ასოციაციის თავმჯდომარე ლორდ **ტრიესმენს,** ასევე ალმასრულებელ შეფს **იან უეტმორს.** ამ საუბრებისას გამოკვეთილა, რომ სამივენი ერთსა და იმავე პოზიციაზე დგანან: ტერის ამბავი მხოლოდ და მხოლოდ საფეხბურთო პლუს-მინუსების ანალიზის შედეგად უნდა გადაწყდეს. საქმეს ისე ეტყობა, რომ კაპელო თავის ვერდიქტს შაბათამდე იტყვის. ყველაფერი ხომ რაც შეიძლება მალე უნდა გაირკვეს, რათა ინგლისის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას ხელი არაფერმა შეუშალოს. ფეხბურთის ასოციაციის მავანმა თანამშრომელმა „დეილი მეილს" განუცხადა:

*„ფაბიო აშკარად ჩქარობს, რომ ტერის საკითხი რაც შეიძლება მალე გაარკვიოს. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მას ჯონი როგორც ფეხბურთელი და როგორც კაპიტანი ძალიან მოსწონს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ სხვა ფაქტორებსაც გაითვალისწინებს. ფაბიო, რასაკვირველია, არანაირ ზეწოლას არ გრძნობს, რადგან ზეწოლა მისთვის ჩვეულებრივი ამბავია. ის, როგორც მწვრთნელი, ძალიან გამოცდილია, კარიერაში უამრავი რამ უნახავს და ამ პრობლემასაც თავისებურად გაუმკლავდება".*

ინგლისის ნაკრების უახლოესი შეხვედრა 3 მარტს „უემბლიზეა" დანიშნული. ლონდონში, ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ეგვიპტის ნაკრები ჩამოდის. რასაკვირველია, კაპელო არ დაუშვებს, რომ იანვრის ბოლო დღეებში აგორებულმა სკანდალმა მარტის დასაწყისში მის გუნდს რაიმე ავნოს.

საკუთრივ ჯონ ტერიმ კი გუშინ თავი დაადო და დუბაიში გაფრინდა - ოჯახის შენარჩუნებას ცდილობს. გუშინდელ „ლელოში" ვწერდით, რომ როდესაც ქმრის ღალატის შესახებ შეიტყო, „მისტერ ჩელსის" მეუღლე, სამი წლის ტყუპის დედა **ტონი** დუბაიში გაფრინდა, ჯონს კი გამოუცხადა, რომ მათ შორის ამიერიდან ყველაფერი დამთავრებულია. „სანმა" შეიტყო, რომ მისტერ და მისის ტერებს ორშაბათს ჰქონდათ სატელეფონო კავშირი, რომელიც, ბუნებრივია, მშვიდი და დამტკბარი ვერაფრით იქნებოდა.

ინგლისის ნაკრების ჯერ კიდევ კაპიტნის მავანმა მეგობარმა ხსენებული გაზეთის ჟურნალისტებს ასე უთხრა: *„ჯონს არ დაუკარგავს იმედი, რომ ტონისა და ბავშვებს დაიბრუნებს. ის ყველა ღონეს იხმარს, ოჯახი რომ შეინარჩუნოს. ის უკიდურეს ნაბიჯზე წავიდა - გადაწყვიტა ცოლთან შეურიგებლად დუბაიდან არ დაბრუნდეს. ჯონს კარგად მოეხსენება, რომ ტონის ძალიან ატკინა გული. იგი იმედოვნებს, რომ ქალის გულის მოლბობას ლაპარაკით შეძლებს და ამისათვის განსაკუთრებული სიტყვების პოვნა დასჭირდება. რასაკვირველია, ჯონი საფეხბურთო სამყაროს ეკუთვნის, მაგრამ ოჯახი ფეხბურთზე გაცილებით მეტია. მას უკან დასახევი გზა არ აქვს. ტერის სურს, ვალენტინობა დღესაც დუბაიში იყოს და იმედოვნებს, რომ სიყვარულის დღე ცოლთან შეარიგებს".*



რას მოიფიქრებს დიდი მაესტრო?

ინციდენტის შემდეგ...



ემანუელ ადებაიორი

# ადებაიორი: მზად ვარ, ყველაფერი დავივიწყო

აფრიკის ერთა თასიდან დაბრუნებული, გაოგნებული **ემანუელ ადებაიორი** ამბობს, რომ მზად არის ის კოშმარი, რომელიც ტოგოს ნაკრებს გადახდა, დაივიწყოს. რასაკვირველია, ყველამ იცის, მაგრამ მაინც გავიმეოროთ: სამი კვირის წინ, უფრო ზუსტად კი 8 იანვარს, ანგოლის პროვინცია კაბინდაში მიმავალ ტოგოს ნაკრების ავტობუსს თავს ამ პროვინციის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი შეიარაღებული რაზმი დაესხა და ცეცხლი გაუხსნა. სამი ადამიანი - მძღოლი, მწვრთნელის ასისტენტი და მედიაოფიცერი - გარდაიცვალა.

თუმცა ინგლისში დაბრუნების შემდეგ ადებაიორის საქმეები მყისვე კარგად წავიდა. „მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავმა პრემიერლიგის პირველსავე შეხვედრაში „პორთსმუტის" კარში გოლი გაიტანა. ისტლენდელებმა ის შეხვედრა 2:0 მოიგეს. ადებაიორმა განაცხადა, რომ გაოცებულია იმ სითბოთი და მხარდაჭერით, რომელიც მის მიმართ „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელებმა თუ თანამშრომლებმა გამოიჩინეს. გარდა ამისა, მან გაიხსენა ის წუთები, როდესაც ეჭვიც კი ეპარებოდა, შეძლებდა თუ არა ოდესმე ისტლენდზე დაბრუნებას.

ადებაიორმა თქვა: *„რა კარგია შინ (ინგლისში!) დაბრუნება და პრემიერლიგაში ფეხბურთის თამაში. იქ ერთ მომენტში ეჭვიც კი გამიჩნდა, რომ ოდესმე კიდევ ვნახავდი ამ სტადიონსა და „მანჩესტერ სიტის" ფანების გუგუნს მოვისმენდი. მშვენიერია, როდესაც ადამიანი თავს ფორმაში გრძნობს. რამდენი ხანია 90 წუთი არ მითამაშია. ახლა, როდესაც მთელი შეხვედრა თავიდან ბოლომდე ჩავატარე თავს გაცილებით უკეთესად ვგრძნობ. განსაკუთრებით გოლის გატანამ გამახარა, თუმცა ყველაზე მეტად მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს გულშემატკივარსა და კლუბს, რომელიც ძალიან რთულ დროს მხარში ამომიდგა. „სიტის" ფანებს ჩემი მხარდაჭერა ერთი წუთით არ შეუწყვეტიათ და ამას ისე აკეთებდნენ, რომ მე აღფრთოვანებული ვარ".*

სამშვიდობოს გასული ადებაიორი ახლა უკვე „მანჩესტერ სიტის" პრემიერლიგის ოთხეულში გაყვანაზე ფიქრობს. მან განაგრძო: *„ყველაფერზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელებსა და კლუბს, ფეხბურთელებსა და გულშემატკივარს შორის ურთიერთობაა. მე ვხედავ, რომ „მანჩესტერ სიტიში" ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ის ადამიანები, ვინც „სიტიში" მუშაობს და „სიტის" გულშემატკივრობს, პირადად მე მაგრძნობინებენ, რომ ჩემი სწამთ და ეს დიდი სტიმულია. ისტლენდზე, ჩვენს დიდ ოჯახში დიდი ურთიერთპატივისცემა და სიყვარულია".*

ისტლენდელთა ირლანდიელმა ნახევარმცველმა **სტივენ აირლენდმა** კი ჟურნალისტებს უამბო, რომ 10 დღის წინ, როდესაც მათი ტოგოელი თავდამსხმელი „აფრიკის თასიდან" დაბრუნდა, თანაგუნდელები შემოეხვიენ, მაგრამ საბედნიეროდ აღმოაჩინეს, რომ მეგობარი დათრგუნვილი არ იყო.

*„გვეგონა გაწბილებულსა და დატანჯულს ვნახავდით, მაგრამ მშვენივრად ხუმრობდა და ფსიქოლოგიურად კარგ ფორმაში იყო. რასაკვირველია, როდესაც ფეხბურთის მოედნიდან გადის და საკუთარ თავთან მარტო რჩება, მძიმე ფიქრები ეძალება, მაგრამ ჩვენთან მხნედ არის. ბიჭები მას ძალიან ეხმარებიან".*

„მანჩესტერ სიტიში" გასულ ზაფხულს, „არსენალიდან" 25 მილიონ ფუნტად გადაყვანილი ფორვარდისთვის კეთილი სიტყვა არც მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** დაიშურა: *„დაბრუნდა თუ არა, ემანუელმა გოლი გაიტანა, თან ძალიან მნიშვნელოვანი გოლი. ვიცი, ეს შეხვედრა მისთვის რთული იყო. ვფიქრობ, ამ კვირაში ივარჯიშებს და ძველებურ ფორმაში ჩადგება. ის ჩემი გუნდის ტოპფეხბურთელია".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანური ტრანსფერები

# ლა ლიგას მხოლოდ სალვიო შერჩა

## მშვიდი იანვარი პირენეებზე

იანვრის სატრანსფერო ფანჯარა უჩვეულოდ მშვიდად დაიხურა ესპანეთში - მაშინ, როცა ესპანეთსა და იტალიაში ბოლო დღეს რამდენიმე სერიოზული ტრანსფერი განხორციელდა, ლა ლიგამ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეიმატა. პორტუგალიელი ცენტრალური მცველის, **ენრიკე სერენოს** ტრანსფერს „ვიტორიადან" „ვალიადოლიდში" ვერ ჩავთვლით სერიოზულ შენაძენად. სხვათა შორის, ზამთრის სატრანსფერო სეზონის განმავლობაში ესპანეთში სიმშვიდე იყო, ტრანსფერების დიდი ნაწილი კი იჯარის წესით განხორციელდა. ზამთრის სეზონი ახლოსაც ვერ მოვა ზაფხულის სეზონთან, როცა მადრიდის „რეალმა" ლამის ნახევარი მსოფლიო იყიდა მეორე ნახევრის ფასად...

ამჯერად, პირველ რიგში, გრანდებმა იპასიურეს - თუკი „ბარსელონას" არც ზაფხულში გამოუდვია თავი, „რეალის" ხელმძღვანელობამაც ჩათვალა, რომ გუნდის დაკომპლექტება დასრულებულია. პრინციპში, შედეგები **ხოსეპ გვარდიოლას** და **მანუელ პელეგრინის** სიმართლეში გვარწმუნებს. ამ გუნდებს სერიოზული საკადრო ცვლილებები ნამდვილად აღარ ესაჭიროებათ. „ბარსამ" ბრაზილიელ **კეირისონს** პირდაპირ ლისაბონიდან აუღო თვითმფრინავის ბილეთი და ისე გაუშვა ფლორენციაში, „რეალმა" კი **რუუდ ვან ნისტერლოის** წარსული დამსახურებებისთვის პატივი სცა და თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვა „ჰამბურგში". ბოლო დღეს მადრიდელებს საკმაოდ გვარიანი თანხის აღება შეეძლოთ, მაგრამ „მანჩესტერ სიტიმ" ვერ მოასწრო **ფერნანდო გაგოს** გაფორმება და „რეალმა" 18 მილიონი ევრო დაკარგა.

თავი არც მაინცდამაინც ლიდერთა კვალში ჩამდგარ კლუბებს გამოუდვიათ, „ვალენსიას" უსასყიდლოდ შეხვდა რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი არგენტინელი **ალეხანდრო დომინგესი**. თავის მხრივ „ლოს ჩემ" 2-3 ფეხბურთელი იჯარით გაასხვისა. „სევილია" მხოლოდ ერთი ფეხბურთელით, ლიტველი მცველით **მარიუს სტანკევიჩიუსით** გაძლიერდა, რადგან ანდალუსიურ კლუბში დაცვის ცენტრში პრობლემები შეექმნათ. „სანჩეს პისხუანს" კი **არუნა კონე** დაემშვიდობა სეზონის ბოლომდე. თავდამსხმელს **ნეგრედოს**, **კანუტეს** და **ლუიშ ფაბიანოს** კონკურენციაში სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის მცირე შანსი ჰქონდა, ამიტომაც ის „ჰანოვერისთვის" გაიტანს. სატრანსფერო სეზონი გამოტოვეს „დეპორტივომ" და „მალიორკამაც".

სატრანსფერო ციებ-ცხელება უფრო ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ გუნდებს შეეხო. ასეთთა რიცხვში მოულოდნელად „ატლეტიკოც" აღმოჩნდა. **კიკე ფლორესის** გუნდი ზამთრის „ჩემპიონია", გუნდმა ყველაზე მეტი დახარჯა ესპანურ კლუბებში და ამავდროულად ყველაზე მეტიც მიიღო. სეზონის ტრანსფერი კი უთუოდ 19 წლის არგენტინელი შემტევის **ედუარდო „ტოტო" სალვიოს** ყიდვაა. „ატლეტიკომ" „ლანუსს" არგენტინის ნაკრების ფორვარდის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაუხადა. სამაგიეროდ, „ატლეტიკომ" პორტუგალიაში **ფლორენ სინამა პონგოლი** 6,5 მილიონად, ხოლო ინგლისში **მაქსი როდრიგესი** 1,5 მილიონად გაუშვა.

საინტერესო ტრანსფერი გამოუვიდა ხიხონის „სპორტინგს". ასტურიულმა კლუბმა სარფიანად (3,3 მლნ. ევრო) მიჰყიდა „ბირმინგემს" ნახევარმცველი **მიგელ მარკოს მადერა (მიჩელი)**.

ფაქტობრივად თავიდან ააწყვეს გუნდი „სარაგოსაში". არაგონელები წარმატებით დაუბრუნდნენ პრიმერას, მაგრამ სეზონისთვის კარგად ვერ მოემზადნენ და ახლა გზადაგზა უწევთ გადაწყობა. „სარაგოსამ" შვიდი საკმაოდ სერიოზული დონის ფეხბურთელი დაიმატა. ჩვენ მათ შორის 33 წლის ბრაზილიელ **ედმილსონს** გამოვარჩევთ - მსოფლიოს ჩემპიონია ბოლო-ბოლო...

**ალმერია**

**მივიდნენ:** მოდესტე მბამი (უგუნდო)

**წავიდნენ:** არავინ

**ატლეტიკო**

**მივიდნენ:** ედუარდო სალვიო (ლანუსი, 10 მლნ), ტიაგო მენდეში (იუვენტუსი, იჯარა).

**წავიდნენ:** მაქსი როდრიგესი (ლივერპული, 1,5 მლნ), კლებერ სანტანა (სან პაულუ, თავ. აგენტი), რობერტო ბატრესი (შანხაი შენხუა, იჯარა), რობერტო ხიმენესი (სარაგოსა, იჯარა), კეკო გონტანი (ვალიადოლიდი, იჯარა), სინამა პონგოლი (სპორტინგი ლ, 6,5 მლნ)




ედუარდო სალვიო

**ბარსელონა**

**მივიდნენ:** კეირისონი (ბენფიკა, იჯარა დაუსრულდა)

**წავიდნენ:** კეირისონი (ფიორენტინა, იჯარა)

**ბილბაო**

**მივიდნენ:** არავინ

**წავიდნენ:** ჩაბიერ ეტჩეიტა (კარტახენა, იჯარა)

**დეპორტივო**

**მივიდნენ:** არავინ

**წავიდნენ:** არავინ

**ესპანიოლი**

**მივიდნენ:** პაბლო დანიელ ოსვალდო (ბოლონია, იჯარა)

**წავიდნენ:** მილან სმილიანიჩი (სპორტინგი ხ, იჯარა)

**ვალენსია**

**მივიდნენ:** ალეხანდრო დომინგესი (რუბინი, თავ. აგენტი)

**წავიდნენ:** მიკუ (ხეტაფე, თავ. აგენტი), მანუელ ფერნანდეში (ინტერი, იჯარა), ასიერ დელ ორნო (ვალიადოლიდი, იჯარა)

**ვალიადოლიდი**

**მივიდნენ:** კეკო გონტანი (ატლეტიკო, იჯარა), ასიერ დელ ორნო (ვალენსია), ენრიკე სერენო (ვიტორია, თავ. აგენტი)

**წავიდნენ:** ასიერ არანსი (ნუმანსია, თავ. აგენტი), ბორხა ფერნანდესი (ხეტაფე, თავ. აგენტი)

**ვილიარეალი**

**მივიდნენ:** არავინ

**წავიდნენ:** ხონათან პერეირა (ბეტისი, 2,5 მლნ), ფაბრისიო ფუენტესი (ატლასი, იჯარა), სებასტიან ეგურენი (ლაციო, იჯარა)

**მალაგა**

**მივიდნენ:** ფელიპე კაიშედუ (მანჩესტერ სიტი, იჯარა)

**წავიდნენ:** ედინიო (პაოკ, იჯარა), ივან კუადრადო (რაიო ვალეკანო, თავ. აგენტი)

**მალიორკა**

**მივიდნენ:** ოსკარ დიასი (უელვა, იჯარა), ხავი კასტელანო (ალბასეტე, იჯარა დაუსრულდა)

**წავიდნენ:** არავინ

**ოსასუნა**

**მივიდნენ:** არავინ

**წავიდნენ:** ხავიერ პორტილიო (ერკულესი, თავ. აგენტი)

**რასინგი**

**მივიდნენ:** ბრიან სარმიენტო (ხირონა, იჯარა დაუსრულდა)

**წავიდნენ:** ლასლო სეპსი (ბენფიკა, იჯარა დაუსრულდა), ალეხანდრე გეიხო (უდინეზე, თავ. აგენტი)

**რეალი**

**მივიდნენ:** არავინ

**წავიდნენ:** რუუდ ვან ნისტერლოოი (ჰამბურგი, თავ. აგენტი)

**სარაგოსა**

**მივიდნენ:** ადრიან კოლუნგა (უელვა, იჯარა), ირჟი იაროშიკი (კრილია სოვეტოვი, თავ. აგენტი), უმბერტო სუასო (მონტერეი, იჯარა), ელიზეუ პერეირა (ლაციო, იჯარა), რობერტო ხიმენესი (ატლეტიკო, იჯარა), მატეო კონტინი (ნაპოლი, იჯარა), ედმილსონი (პალმეირასი, თავ. აგენტი)

**წავიდნენ:** ბრაულიო ნობრეგა (უელვა, იჯარა), ფრანკ სონგოო (რეალ სოსიედადი, იჯარა), ხავიერ ლოპეს ვალეხო (ლევადიაკოსი, თავ. აგენტი)

**სევილია**

**მივიდნენ:** მარიუს სტანკევიჩიუსი (სამპდორია, იჯარა)

**წავიდნენ:** არუნა კონე (ჰანოვერი, იჯარა)

**სპორტინგი**

**მივიდნენ:** მილან სმილიანიჩი (ესპანიოლი, იჯარა)

**წავიდნენ:** მიჩელი (ბირმინგემ სიტი, 3,3 მლნ), ანდრეუ ჟერაუ (პოლონია, თავ. აგენტი)

**ტენერიფე**

**მივიდნენ:** არავინ

**წავიდნენ:** არავინ

**ხერესი**

**მივიდნენ:** გუსტავო ალუსტისა (ჩაკარიტა ხუნიორსი, იჯარა), ნიკოლას ვინერი (პუებლა, იჯარა)

**წავიდნენ:** ჯანკარლო მალდონადო (ატლანტე, იჯარა დაუსრულდა)

**ხეტაფე**

**მივიდნენ:** მიკუ (ვალენსია, თავ. აგენტი), ბორხა ფერნადესი (ვალიადოლიდი, თავ. აგენტი)

**წავიდნენ:** ფრანკ სინორინო (კარტახენა, იჯარა), კოსმინ კონტრა (ტიმიშოარა, იჯარა)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თავდამსხმელი




მიმდინარე სეზონში კევინ კურანის ანგარიშზე 11 გოლია

# კურანი მოედანს უგოლოდ არ ტოვებს!

## დროა, ლიოვი კევინის ნაკრებში დაბრუნებაზე დაფიქრდეს

**კევინ კურანი** ბოლო წლებში ყოველთვის კარგ თავდამსხმელად მიიჩნეოდა, მაგრამ ისეთ ფორმაში, როგორშიც მიმდინარე სეზონშია, აქამდე ფაქტობრივად არასდროს ყოფილა. დღეს უკვე 27 წლის კევინი, „შტუტგარტში" რომ გამოჩნდა და მთელი საფეხბურთო გერმანია აალაპარაკა, მაშინაც კი არ იყო ისეთ ფორმაში, როგორშიც დღესაა. ამ უქმეებზე კურანიმ კიდევ ერთი, მიმდინარე სეზონში მე-11 გოლი გაიტანა, გახსნა რა ანგარიში „ჰოფენჰაიმთან" მატჩში, რომელიც გელზენკირხენელებმა 2:0 მოიგეს. 11 გოლი 20 ტურში - კევინს თავის კარიერაში 20 ტურის შემდეგ ამდენი გოლი არასდროს ჰქონია გატანილი. ამასთან, **გერდ მიულერისა** და **მანფრედ ბურგსმიულერის** შემდეგ, კურანი ერთადერთი თავდამსხმელია, რომელმაც ზედიზედ რვა სეზონში ათზე მეტი გოლის გატანა შეძლო.

დაგვეთანხმებით, ეს ყველაფერი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ კურანი, მინიმუმ წელს, მაღალი დონის ფორვარდად ჩამოყალიბდა. ეს კი „შალკეს" მწვრთნელისა და მენეჯერის, **ფელიქს მაგათის** დამსახურებაა, რომელმაც მოახერხა და პუბლიკისგან მუდმივად დასტვენილი კევინისგან გოლეადორი „გამოთალა". მიუხედავად ამ ყველაფრისა, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** „შალკეს" ფორვარდს ყურადღებას არ აქცევს. არადა, კურანის სტატისტიკამ ბუნდესმწვრთნელი, როგორც მინიმუმ, ღრმად უნდა ჩააფიქროს.

გაგახსენებთ: კევინს გერმანიის ნაკრებში 2008 წლის ოქტომბრის შემდეგ აღარ უთამაშია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ იმ დროს, რუსეთთან შეხვედრისას, შესვენებაზე მან სტადიონი დატოვა, რადგან ლიოვმა განაცხადში არ შეიყვანა. ბუნდესმწვრთნელმა კევინი ამისათვის ძალიან მკაცრად დასაჯა - გერმანიის ნაკრებიდან მოკვეთა და მას მერე ზედაც არ უყურებს. ამასთან, ლიოვი კურანის ნაკრებში დაბრუნებას კატეგორიულად გამორიცხავს - სანამ გერმანიის ნაკრების მწვრთნელი მე ვარ, კევინს ბუნდესგუნდში ვერ ნახავთო. არადა, კურანიმ უკვე დიდი ხანია, მოიხადა ბოდიში. „შალკეს" თავდამსხმელის ასე მკაცრად დასჯა ორმაგად გასაოცარია იმის ფონზე, რაც არც ისე დიდი ხნის წინ **ლუკას პოდოლსკიმ** გააკეთა: პოლდიმ შუა თამაშის დროს გერმანიის ნაკრების კაპიტან **მიხაელ ბალაკს** სილა გააწნა (!), მაგრამ ამისათვის არავის დაუსჯია - პოდოლსკი ნაკრებში დარჩა და ლიოვს მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი წაყვანა გადაწყვეტილი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ლუკასი ძალიან ცუდად გამოიყურება, „კიოლნმა" კი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო თამაშების მოგება, რაც პოდოლსკი დაშავდა და ვეღარ ასპარეზობს. მოკლედ, პოდოლსკის ყველაფერი ეპატია და მიუხედავად იმისა, რომ საშინლად თამაშობს, სამხრეთ აფრიკაში გამგზავრება განაღდებული აქვს, კურანის კი, რომელიც ბრწყინვალე ფორმაშია და რუსეთთან მატჩის დროს სტადიონის დატოვების გამო უკვე ოცჯერ მაინც მოიხადა ბოდიში, გერმანიის ნაკრებში დაბრუნების შანსი არ აქვს.

*„დიახ, მე შეცდომა დავუშვი, მაგრამ უშეცდომო არავინაა. ცხადია, ძალიან მინდა ბუნდესგუნდში დაბრუნება. მიმაჩნია, რომ მიმდინარე სეზონში არავისზე ნაკლები არ ვარ,"* - აცხადებს კურანი და მართლაც: კევინი ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა, ჩამორჩება რა მხოლოდ **შტეფან კისლინგს**, ერთი გოლით.

თუმცა ფაქტია, რომ კურანის გერმანიის ნაკრებზე მეტად, „შალკეზე" საუბარი ხიბლავს, სადაც მაგათის ხელში ფაქტობრივად თავიდან დაიბადა. *„ჩვენ შევთანხმდით, რომ „ჰოფენჰაიმთან" ორ გოლს გაიტანდა. ასე რომ, კევინი ყურადღებით უნდა იყოს. მან დაპირება ვერ შეასრულა და შეიძლება დავსაჯო,"* - ხუმრობს „დესპოტი ფელიქსი". *„იმედი მაქვს, რომ ამის გამო სამედიცინო ბურთებით არ მავარჯიშებს,"* - ასეთია კურანის პასუხი.

მოკლედ, კევინი კარგ ხასიათზეა. მას აშკარად სიამოვნებს ასეთ როლში ყოფნა - როდესაც კლუბისთვის გოლები გააქვს, ნაკრებში კი მისი კარი ჩაკეტილია. სიამოვნებს იმიტომ, რომ პრესამ ნელ-ნელა გაამძაფრა ზეწოლა ლიოვზე, რომელსაც არაფრით არ სურს კევინის შენდობა.

*„შალკეს" პროგრამა მინიმუმი ამ სეზონში საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაა და გელზენკირხენელები მეექვსე ადგილზე მყოფ „ვერდერს" უკვე 13 ქულით უსწრებენ. „ეჭვი არ მეპარება, რომ ევროპის ლიგის საგზურს მოვიპოვებთ. ჩემი აზრით, კურანი ამ სეზონში 20-25 გოლს გაიტანს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ჩემპიონობისთვის გაბრძოლებაც შეგვიძლია,"* - ეს კურანის მეწყვილის, **ჯეფერსონ ფარფანის** სიტყვებია.

ზამთარში კურანის „სანდერლენდში" ეპატიჟებოდნენ და მაგათიც თანახმა იყო, კარგ ფულად გაეყიდა, რადგან „შალკეს" ფინანსურად უჭირს. მაგრამ კურანიმ ინგლისში გადასვლაზე უარი თქვა, ხელფასის შემცირებას დათანხმდა და ახლა შეუძლია, იმედი იქონიოს, რომ მომავალ სეზონში „შალკესთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. იქნებ ლიოვიც მოლბეს და კევინს დაურეკოს...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლა ლიგა. ტურის სიმბოლური ნაკრები

# მუდმივი ბინადრები და ორი მაჩანჩალა

სამშაბათობით goal.com-ი ესპანეთის ლა ლიგის მორიგი ტურის სიმბოლურ ნაკრებს აქვეყნებს. ამჯერად მე-20 ტურის სიმბოლური ნაკრები კლასიკური, 4-4-2 სქემის მიხედვით შეადგინეს და ისტორიაში პირველად რჩეულთა შორის მაჩანჩალა „ხერესის" ფეხბურთელი მოხვდა, თანაც ერთბაშად ორი...


რენანი ხერესის მთავარი მხსნელია

**რენანი** (ხერესი): ბრაზილიელ კიპერს ამ სეზონში ბევრჯერ გადაურჩენია „ხერესი" აშკარა გოლისგან, მაგრამ პირველად სეზონში, რენანის თანაგუნდელები აღარ იყვნენ შეუბრალებელნი საკუთარი გოლკიპერის მიმართ და მას გმირობა დაუფასეს „მალიორკას" წინააღმდეგ. მე-40 წუთზე რენანმა პენალტი მოიგერია და კუნძულელებს ორგოლიანი უპირატესობით დაწინაურების საშუალება არ მისცა.

**მარიუს სტანკევიჩიუსი** (სევილია): ლიტველმა მცველმა, რომელიც „სამპდორიადან" ანდალუსიის დედაქალაქში გაანათხოვრეს, ესპანური კარიერა მთლად საუკეთესოდ ვერ დაიწყო, მაგრამ კვირას „ვალენსიას" წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშა. თავისი ფლანგი ხომ საიმედოდ „ჩაკეტა", დაცვის ცენტრშიც გვარიანად დაეხმარა თანაგუნდელებს.

**სერხიო რამოსი** (რეალი): „დეპორტივოსთან" მატჩში რამოსმა ცენტრში შეიწია, რის გამოც „რეალს" მისი შემტევი პოტენციალი კი მოაკლდა, მაგრამ დაცვაში კლდესავით იდგა, ლამის ყველა სახიფათო ჩაწოდება გააუვნებლა.

**გრეგორი არნოლინი** (სპორტინგი): ან უბრალოდ გრეგორი, როგორც ესპანეთში ფრანგ მცველს უწოდებენ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო, რის გამოც „ბარსამ" მეტი უპირატესობით ვერ მოიგო. 29 წლის გრეგორი დაცვის ხაზის ნამდვილი ლიდერია გუნდში.

**ერიკ აბიდალი** (ბარსელონა): აბიდალი ამ სეზონში ერთიორად უკეთესად თამაშობს. 30 წლის ფრანგს დაცვაში ერთი ლაფსუსიც არ მოსვლია, ფრთაზე კი მასზე ახალგაზრდა მეტოქეებს ჯობდა.

**ხესუს ნავასი** (სევილია): კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც წინა სეზონთან შედარებით აშკარად მოუმატა. ის თითქმის ყოველთვის ხვდება ჩვენს რჩეულ ნაკრებში. „ვალენსიას" საბრალო მცველები... ისინი ხესუსის წყალობით მუდმივ ტერორში იმყოფებოდნენ. დაბოლოს, ულამაზესი საგოლე პასი, რომლითაც ნეგრედომ დუბლი შეასრულა, ცალკე აღნიშვნის ღირსია.

**გუტი** (რეალი): ამ ტურში ორი ულამაზესი საგოლე პასის მომსწრენი გავხდით, ორივე ქუსლით შესრულდა. ერთზე უკვე მოგახსენეთ, მეორე კი გუტიმ შეასრულა. გუტიმ ისე ითამაშა, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა განაცხადა, გუტი შეიძლება სამხრეთ აფრიკაში წავიყვანოო...

**ჩავი** (ბარსელონა): ნავასის არ იყოს, ჩავიც მუდამ სიმბოლურშია - ის, უბრალოდ, არ თამაშობს ცუდად. „ბარსას" ნახევარმცველი ან კარგად ირჯება, ან - დიდებულად. ჩავიმ „სპორტინგთანაც" ბევრი პასი დაარიგა, მაგრამ პარტნიორები მას ნაკლებად აჰყვნენ.

**კარლოს კალვო** (ხერესი): ის, რომ „ხერესმა" სეზონში მეორედ მოიგო, მეკარე რენანთან ერთად კალვოს დამსახურებაცაა. რენანმა პენალტის აღებით საფუძველი ჩაუყარა წარმატებას, ხოლო გარემარბმა დუბლით ეს წარმატება შექმნა.

**ქარიმ ბენზემა** (რეალი): მართალია, პირველი გოლი გუტის ბრწყინვალე საგოლე პასით დაიჩრდილა, მაგრამ ფრანგის მეორე გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა ისტორიულ გამარჯვებაში.

**ალვარო ნეგრედო** (სევილია): „ალმერიასთან" გოლს ნეგრედომ „ვალენსიასთან" დუბლი მოაყოლა. მეორე გოლი სტუმართა კარში ნამდვილი შედევრი იყო, ხესუს ნავასის ბრწყინვალე პასს ნეგრედოს ჭკვიანური დარტყმა მოჰყვა, ისეთი, საუკეთესო წლებში რაულს რომ ახასიათებდა.

სხვები, რომელთა აღნიშვნაც გვსურდა: **ხუან პაბლო** (სპორტინგი), **ალვარო არბელოა** (რეალი), **რაფა მარკესი** (ბარსელონა), **ხავი მარკესი** (ესპანიოლი), **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა), **ხუანფრანი** (ოსასუნა), **უმბერტო სუასო** (სარაგოსა).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## არის ორშაბათის პრიმერა!

ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის (ლფპ) ხელმძღვანელობამ ლა ლიგის კალენდარში ცვლილებები დაამტკიცა. შემოთავაზებული წინადადება, რომელიც მთლიანად ტელევიზიების ინტერესებს ითვალისწინებს, ერთხმად მოიწონეს და მიიღეს. ესპანეთის ჩემპიონატში ტურის ერთი მატჩი პარასკევობით (სეგუნდა დივიზიონი) გაიმართება, ერთი (პრიმერა დივიზიონი) კი – ორშაბათობით. გადაწყვეტილება დღეიდან შევიდა ძალაში, ანუ კალენდარში სიახლე უკვე ერთი ტურის შემდეგ გვექნება. 12 თებერვალს სეგუნდა დივიზიონში გაიმართება ერთი მატჩი, ორშაბათს, 15 თებერვალს კი – პრიმერაში.

შეგახსენებთ, რომ ეს საცდელი პროექტის და სეზონის ბოლომდე იფუნქციონირებს, შემდეგ ლფპ-ს ხელმძღვანელები კიდევ ერთხელ მიუსხდებიან მრგვალ მაგიდას და გადაწყვეტენ, გაგრძელდეს თუ არა პროექტი 2014 წლამდე. ორშაბათის თამაშები იმ კვირაში არ გაიმართება, როცა ესპანეთის ეროვნულ ან ახალგაზრდულ ნაკრებებს შეხვედრები ექნებათ გასამართი.

## კანალესი ხვალ რეალელი გახდება

სანტანდერის „რასინგის" პრეზიდენტმა **ფრანსისკო პერნიამ** განაცხადა, რომ **სერხიო კანალესის** სავარაუდო ტრანსფერზე სიახლე ჯერ არ არის. კონტრაქტი კანტაბრიული კლუბის ბოსის თქმით, მაშინ გაფორმდება, როცა ფეხბურთელიც და გუნდიც ყველა დეტალს გაარკვევენ. 18 წლის კანალესი მალე მადრიდის


სერხიო კანალესს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ

„რეალის" ფეხბურთელი გახდება (ლაპარაკია, წინასწარ კონტრაქტზე, რომელსაც სატრანსფერო ფანჯრის დახურვა არ ეხება) – ესპანური მედიის ინფორმაციით, „რასინგის" ტალანტი „რეალთან" 6-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, თუმცა თავიდან განათხოვრების წესით ისევ სანტანდერულ კლუბში ითამაშებს.

ხუთშაბათს „რასინგი" სამეფო თასის ნახევარფინალში მადრიდის „ატლეტიკოს" ეწვევა და კანალესიც სავარაუდოდ ამ დღეს მოაწერს „სამეფო კლუბთან" კონტრაქტს.

## კაბანიასი გადარჩა

პარაგვაის ნაკრების ფორვარდი სალვადორ კაბანიასი სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს, როცა მეხიკოს ბარში თავში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. ფეხბურთელი კარგა ხანს ებრძოდა სიკვდილს, თუმცა მექსიკელი ექიმები ახლა უკვე დარწმუნებულნი არიან - სალვადორის ძლიერი ორგანიზმი ყველაფერს აიტანს და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. მეტიც, მისი პირადი ექიმი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშსაც არ გამორიცხავს: *„რატომ უნდა გამოვრიცხოთ ამის შანსი? ჩვენ კარგად დავაკვირდებით მის პროგრესს და 2-3 თვეში ზუსტ პასუხს გეტყვით. ვფიქრობ, მას კარგი შანსი აქვს"*, - განაცხადა დოქტორმა **სელსო ფრეტესმა**, რომელიც ფეხბურთელის ოჯახთან ერთად ფიქრობს, რომ დროა, სალვადორი სამკურნალოდ ამერიკაში გადაიყვანონ. შეგახსენებთ, რომ მეხიკოს „ამერიკის" პარაგვაელი ვარსკვლავი მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად იმყოფებოდა ღამის ბარში, სადაც მას უცნობებთან შელაპარაკება მოუვიდა, რაც სროლით დასრულდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი


დავიდ დე ხეა

# დე ხეა: მხოლოდ ატლეტიკო

მადრიდის „ატლეტიკოს" 19 წლის გოლკიპერმა **დავიდ დე ხეამ** გუშინ კლუბთან 2013 წლის ივლისამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი. დე ხეას ბოლო დროს „მანჩესტერ იუნაიტედთან" აკავშირებდნენ. ბოლო ოთხი მატჩია ახალგაზრდა მეკარემ შემადგენლობიდან **სერხიო ასენხო** ამოაგდო.

*„ეს ჩემს კარიერაში მორიგი წარმატებული ნაბიჯია. მთელი ჩემი სპორტული ცხოვრება აქ, „ატლეტიკოში" გავატარე და ჩემი ოცნებაც ეგაა, კარიერა აქვე დავასრულო. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, თუმცა ერთი წამითაც არ მოვდუნდები და გაორმაგებული ენერგიით ვიშრომებ"*, - უთხრა ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა „ატლეტიკოს" ოფიციალურ საიტს.

დე ხეა „ვისენტე კალდერონზე" პირად აგენტ **ექტორ რინკონთან** ერთად გამოცხადდა. დე ხეა 6 წლის იყო, როცა „ატლეტიკოს" სკოლა „კასარუბუელოსში" შევიდა. გასული სეზონი მან „ატლეტიკოს" სარეზერვო გუნდში გაატარა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოხმაურება

# ლაპორტა: ხაფანგს გვიგებენ

**პედროს** გოლმა, რომლის წყალობითაც „ბარსელონამ" ხიხონში „სპორტინგი" 1:0 დაამარცხა, ესპანეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ვიდეორგოლებში კარგად გამოჩნდა, რომ გოლი ოფსაიდიდან გავიდა, თუმცა „ბლაუგრანას" პრეზიდენტ **ჟოან ლაპორტას** სასაცილოდაც არ ეყო ხმები, თითქოს, „ბარსას" ჩემპიონატში მსაჯები ეხმარებიან:

*„ასეთი უსინდისო განცხადებები უკვე დიდი ხანია გვესმის. ჩვენ არ უნდა გავებათ მათ დაგებულ მახეში, გუნდმა უნდა გააგრძელოს კლუბის ისტორიაში საუკეთესო სეზონი. მადრიდელებს თვალში არ მოსდით ჩვენი კარგი თამაში და ყველაფრით ცდილობენ ჩვენს ფეხბურთელებზე მედიის საშუალებით ზეწოლა მოახდინონ. სინამდვილეში კი პრიმერაში ყველა გუნდს ერთნაირად მსაჯობენ, მიკერძოებას ადგილი არა აქვს"*.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


პედრომ თამაშგარიდან გატანილი გოლითაც გაიხარა

## პრემიერლიგა

### გამორჩეული მატჩი

**ჰალი-ჩელსი 1:1**

ჰალი: მაიპილი, გარდნერი, მუიოკოლო, დოუსონი, მაკშეინი (90. ზაიატი), კეირნი, ბოატენგი, ჰანტი, ფეგანი, ალტიდორი (86. კილბეინი), ვენეგოორი (66. ზაკი).

ჩელსი: ჩეხი, ივანოვიჩი, კარვალიო, ტერი, ჟირკოვი (81. ე. კოული), დეკუ, ლემპარდი, ბალაკი (72. ჯ. კოული), მალუდა, დროგბა, ანელკა (82. სტარიჯი).

გოლები: 1:0 მუიოკოლო (30), !:1 დროგბა (42)

გაფრთხილება: 1-3; კუთხური: 6-9; ჯარიმა: 13-14; თამაშგარე: 0-2; კარში დარტყმა: 9-22 (2-8); ბურთის ფლობა: 34%-66%.

მაყურებელი: 24 957

**ვესტ ჰემი-ვულვზი** გადაიდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# ძაკერონი ტაქტიკას ცვლის


ალბერტო ძაკერონი სადებიუტო მატჩის დროს

**ალბერტო ძაკერონის ტურინული დებიუტი წარმატებული ვერ გამოდგა - „იუვენტუსი" საკუთარ კედლებში „ლაციოსთან" მხოლოდ ფრეს დასჯერდა. ბუნებრივია, დაკარგულ ქულებში ძაკს ჯერჯერობით არავინ დაადანაშაულებს, რადგან მან სულ რამდენიმე დღეა, რაც ახალ საქმეს მოჰკიდა ხელი. და მაინც, რას აპირებს სინიორ ალბერტო? როგორი იქნება მისი ფორმაციის „იუვენტუსი"?.. ამ თემაზე, „გაძეტა დელო სპორტში" სპეციალური მასალა გამოქვეყნდა, რომელიც ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.**

## ტაქტიკა

ყველაზე საინტერესო სწორედ ეს არის: რა ტაქტიკით ითამაშებს ძაკერონის „იუვენტუსი"? - თავად მწვრთნელს ამ საკითხზე შემდეგი პოზიცია აქვს:

*„კარიერის განმავლობაში არაერთი ტაქტიკური მოდელი გამოვიყენე, თუმცა როგორც მწვრთნელთა უმეტესობას, ერთი სქემა ყველაზე უკეთ მაქვს დაცდილი. ამიტომ, თუ ჩემს მოღვაწეობას გადახედავთ, აღმოაჩენთ, რომ შეხვედრათა უმეტესობას სწორედ იმ ერთი მოდელით წარვმართავ. მეორე მხრივ, კარგად მესმის, რომ ბევრი რამე იმაზეა დამოკიდებული, როგორი ფეხბურთელები მყავს გუნდში. მაგალითად, თუ გარემარბების ნაკლებობას განიცდი, სამი ფორვარდით ვერ ითამაშებ, ეს ცხადზე ცხადია".*

ძაკერონი არ კონკრეტდება, მაგრამ პრინციპში, მეტი რაღა უნდა თქვას, გადახედეთ ჩემს სამწვრთნელო კარიერას და ნახავთ, რომელ ტაქტიკურ მოდელს ვეყრდნობიო. გადავხედოთ და აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ძაკის ხელში „იუვენტუსი" 3-5-2 ტაქტიკით იასპარეზებს. დიახ, სწორედ ამ სქემას სწყალობდა ალბერტო ყველგან, სადაც კი მუშაობდა. სწორედ ამ მოდელით მიაღწია წარმატებებს „უდინეზეში", შემდეგ კი „მილანს" მოაგებინა სკუდეტო. ალბათ გახსოვთ მისი ფორმაციის „როსონერი", **ზვონიმირ ბობანის** ბრწყინვალე გადაცემები და **ოლივერ ბირჰოფის** გოლები. სქემა, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, ერთ-ერთი ყველაზე მობილური და მანევრირებადია - 3-5-2 თავდაცვისას უმალ 5-3-2 ხდება, რაც მეტოქეს ამოცანას ერთი-ორად ურთულებს. შეგვიძლია **თომას ჰელვეგი** გავიხსენოთ, რომელიც ძაკერონის ხელში ხან ნახევარმცველი იყო, ხანაც მცველი. ასე იყო ნებისმიერ გუნდში, რომელსაც სენიორ ალბერტო წვრთნიდა. მოკლედ, საყოველთაო ვარაუდით, მინიმუმ სეზონის ბოლომდე, „იუვენტუსი" 3-5-2 ტაქტიკით იასპარეზებს.

## დაცვა

შევთანხმდით, რომ „იუვენტუსი" სამი ნომინალური მცველით იცავს თავს, თუმცა ისიც აღვნიშნეთ, რომ ხშირად სამ მცველს ორი ნახევარმცველი ემატება და შესაბამისად, ხუთ უკანახაზელს ვიღებთ. თუმცა, ეს უკვე თამაშიდან გამომდინარე ხდება, ჩვენ კი იმ სამეულზე ვიმსჯელოთ, რომლებსაც ყველაზე მეტი შანსი აქვთ, ძირითად შემადგენლობაში იასპარეზონ.

მარჯვენა მცველი - აქ ორი ძირითადი კანდიდატია, რომლებსაც დაახლოებით თანაბარი შანსი აქვთ ძირითადში დამკვიდრების. ლაპარაკია ჩეხ **ზდენეკ გრიგერასა** და ურუგვაელ **მარტინ კასერესზე**. **ჩირო ფერარა** უფრო სამხრეთამერიკელს სწყალობდა, რომელმაც 2009 წლის მიწურულს ტრავმა მიიღო და ადგილი გრიგერას დაუთმო. კასერესი გამოჯანმრთელდა და უკვე შეუძლია მოედანზე დაბრუნება, ასე რომ, ალბერტო ძაკერონის არჩევანის გაკეთება მოუწევს. ვგონებთ, ურუგვაელს მეტი შანსები აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ სეზონის პირველი ნახევარი მართლაც მაღალ დონეზე ჩაატარა.

ცენტრალური მცველი - **ფაბიო კანავარო** ულტერნატივოა, მიუხედავად იმისა, რომ „იუვენტუსში" **ნიკოლა ლეგროტალიე** ირიცხება. ამ უკანასკნელს კვლავაც სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ყურყუტი და ალბათ, მხოლოდ მაშინ მიეცემა თამაშის საშუალება, თუ ფაბიო ტრავმას მიიღებს. ასე რომ, ცენტრალურ მცველთან დაკავშირებით, ყველა კითხვა მოხსნილია.

მარცხენა მცველი - აქაც ანალოგიური ვითარებაა, რადგან **ჯორჯო კიელინის** რეალური კონკურენტი უბრალოდ არ ჰყავს. კი ბატონო, **ფაბიო გროსოს** გახსენება შეიძლება, მაგრამ მისთვის ძაკს სავარაუდოდ ნახევარდაცვაში აქვს ადგილი გამოძებნილი. თანაც, გროსო შემტევი მცველია და როდესაც გუნდი სამი უკანახაზელით თამაშობს, მისი დაცვაში დაყენება ერთობ სარისკო საქმეა. კიელინი კი ამ პოზიციისთვის ზედგამოჭრილია, თავის დროზე ჯორჯო სწორედ დაცვის მარცხენა ფრთაზე ასპარეზობდა.

ერთი სიტყვით, დაცვაში შემდეგი სურათი მივიღეთ: კასერესი-კანავარო-კიელინი.

## ნახევარდაცვა

ნახევარდაცვაში ძაკერონი ხუთ ფეხბურთელს გაამწესებს: ორ საყრდენს, ფლანგის მოთამაშეებს და გამთამაშებელს. თავდაპირველად სწორედ პლეიმეიქერზე ვთქვათ და აღვნიშნოთ, რომ **დიეგო რიბასი** ამ პოზიციას არავის დაუთმობს. ბრაზილიელის ალტერნატივად **სებასტიან ჯოვინკო** უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც მიმდინარე სეზონში რამდენიმე საკმაოდ კარგი შეხვედრა ჩაატარა. ასევე, **ანტონიო კანდრევა**, რომელიც მოედნის ხედვით და ზუსტი გადაცემებით გამოირჩევა.

საყრდენის პოზიციაზე რამდენიმე კანდიდატია, თუმცა სხვებზე მეტად **ფელიპე მელოს** და **მოჰამედ სისოკოს** შანსები ფასობს. ამ ორმა ფეხბურთელმა წესით კარგად უნდა დააბალანსონ ერთმანეთი, რადგან ბრაზილიელი შეტევაში თამაშით გამოირჩევა, აფრიკელს კი მეტოქის იერიშების ჩაშლა ეხერხება. სისოკოს **კრისტიან პოულსენი** გაუწევს კონკურენციას, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია და წესით, მალე უნდა გამოჯანმრთელდეს.

ზემოთ ვთქვით, გროსოსთვის ნახევარდაცვაშია ადგილი გადანახულიო და სავარაუდოდ, სწორედ ასეც იქნება. ფაბიო მარცხენა ფლანგს ჩაიბარებს და იქიდან შეეცდება იერიშებში ჩართვას. ბუნებრივია, დაცვითი ფუნქციების შესრულებაც მოუწევს, რაც მისთვის უცხო ხილი ნამდვილად არ გახლავთ. ამიტომ, გროსო მარცხენა ნახევარცმველის პოზიციისთვის, როდესაც 3-5-2 ტაქტიკაზე ვსაუბრობთ, მართლაც რომ ზედგამოჭრილია. მისი მთავარი კონკურენტი **პაოლო დე ჩელიე** გახლავთ, რომელმაც უკვე არაერთხელ დაამტკიცა, რომ თამაში უმაღლეს დონეზე შეუძლია.

მარჯვენა ფლანგზე **მაურო კამორანეზი** იდეალური კანდიდატი იქნებოდა, მაგრამ მძიმე ტრავმა აქვს და როდის დაუბრუნდება მოედანს, კაცმა არ იცის. უფრო სწორად, ვიცით, მაგრამ ვერდიქტია მეტად მძიმე: მაურო აპრილის ბოლოს დაუბრუნდება მწვანე მინდორს და მიმდინარე სეზონში, მხოლოდ ბოლო ოთხ-ხუთ პაექრობაში თუ მიიღებს მონაწილეობას. ამიტომ, მარჯვენა ნახევარცველის პოზიციაზე ძაკერონის სხვა ფეხბურთელის გამწესება მოუწევს - ასეთი კი სავარაუდოდ **ჰასან სალიჰამიჯიჩი** იქნება. ბოსნიელს მეორე სუნთქვა გაეხსნა და მისი შანსები საკმაოდ ძვირად ფასობს.

ნახევარდაცვაზე საუბარი **კლაუდიო მარკიზიოთი** დავასრულოთ, რომელიც უნივერსალური თვისებებით გამოირჩევა. მას მარჯვნივაც შეუძლია თამაში, მარცხნივაც და ცენტრშიც. ასე რომ, ძაკერონის მისი გამოყენება ყველგან შეუძლია.

## თავდასხმა

თითქოს **ალესანდრო დელ პიეროს** პოზიციები სხვებზე უფრო მყარია, მაგრამ არც მთლად მასე უნდა იყოს საქმე. ტრადიციულად, ძაკერონი ტარანის ტიპის ფორვარდებს ანიჭებს უპირატესობას, რომლებსაც ერთი შეხებით თამაში და შეტევების დაგვირგვინება ეხერხებათ. ამიტომ, თუ ამ ლოგიკას მივყვებით, წესით, მეტი შანსი **კარვალიო ამაურის** და **ვინჩენცო იაკვინტას** უნდა ჰქონდეთ. ეს უკანასკნელი უკვე გამოჯანმრთელდა და ვარჯიშიც დაიწყო. ასე რომ, არ არის გამორიცხული, „იუვემ" ორი ტანმაღალი ფორვარდით შეუტიოს. ბუნებრივია, ასეთი მსჯელობა პირობით ხასიათს ატარებს, რადგან თუ თავდამსხმელი ფორმაში არა არის და გოლს ვერ იტანს, რაც უნდა ჯდებოდეს ძაკის გემოვნებაში, ძირითადში მოხვედრა გაუჭირდება. თავისი დრო ექნება **დავიდ ტრეზეგესაც**, რომელმაც ზამთრის სატრანსფერო პერიოდში რამდენიმე წინადადება უარყო და „იუვეში" დარჩენა გადაწყვიტა.

ბოლოს, კვლავ ძაკერონის მოვუსმინოთ, რომელიც ოპტიმისტურად არის განწყობილი: *„ჩემს ხელთ დიდი რესურსია, რომელსაც კარგად გამოყენება სჭირდება. „ლაციოსთან" საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ სამი ქულის მოსაპოვებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა და მჯერა, დასახულ ამოცანას შევასრულებთ„.*


მიმომხილველთა აზრით, ალესანდრო დელ პიეროს შანსები არცთუ დიდია


ადრიანო გალიანი

მილანი

# რონალდინიომ ისევ აურია

## მანსინი? გალიანი არჩევანით კმაყოფილია

**სატრანსფერო** ფანჯრის ბოლო დღეს „მილანმა" ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხა და იჯარის წესით, „ინტერიდან" **ამანტინო მანსინი** აიყვანა. ამის შესახებ, გუშინდელ ნომერში დაწვრილებით ვისაუბრეთ და აღარ განვმეორდებით, თქვენს ყურადღებას კი **ადრიანო გალიანის** კომენტარზე შევაჩერებთ, რომელიც მეტად კმაყოფილი გახლავთ ბრაზილიელი გარემარბის გადაბირებით. მოვუსმინოთ „მილანის" ვიცე-პრეზიდენტს:

*„სატრანსფერო საკითხებზე საუბრისას, ლეონარდო მუდმივად იმას იმეორებდა, ერთი კარგი შემტევი ფეხბურთელი არ გვაწყენდაო. მას ფლანგის მოთამაშე სურდა და მანსინიზე ამად შევაჩერეთ არჩევანი. ძალიან მიხარია, რომ ეს გარიგება შედგა და ამანტინო „მილანის" ღირსებას დაიცავს. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

ამასობაში, „კორიერე დელა სერამ" მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. გამოცემა იუწყება, რომ მილანურ დერბიმდე, **რონალდინიო** სამი ღამე გადაბმულად ერთობოდა და შესაბამისად, თამაშს არცთუ ოპტიმალურ ფორმაში შეხვდა. „კორიერეს" ცნობით, რონიმ მილანის ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ სასტუმროში სამი დღით 1000-ევროიანი ნომერი დაჯავშნა და მეგობრებთან ერთად კარგად გაერთო. ყოველივე ამის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ დერბიში თავი ვერაფრით წარმოაჩინა და პირიქით, თერთმეტმეტრიანი დარტყმაც კი გააცუდა. ამ საკითხზე, ჯერჯერობით არც კლუბის მესვეურებს გაუკეთებიათ კომენტარი და არც თავად გაუჩოს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირება

# პრეზიდენტი: დამშოშმინდით!

## ცვანციგერმა გადამწყვეტი სიტყვა თქვა: ზამერისა და ბირჰოფის დაპირისპირებაში გამარჯვებული ბირჰოფია... ლიოვის გამო



მათიას ზამერმა (მარცხნივ) ოლივერ ბირჰოფთან და იოახიმ ლიოვთან ძალაუფლებისთვის ბრძოლა წააგო

გერმანიის საფეხბურთო კავშირში რომ დიდი დაპირისპირებაა, ამის შესახებ ამას წინათაც ვწერდით. დაპირისპირების საგანი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებია. ერთ მხარესაა საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი**, რომელიც ამტკიცებს, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში გადამწყვეტი სიტყვა მას ეთქმის, მეორე მხარეს კი გერმანიის ეროვნული ნაკრების დამრიგებელი **იოახიმ ლიოვი** და მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** დგანან. ლიოვს და ბირჰოფს სურთ, რომ გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრებში ზამერზე წონადი სიტყვა ეთქმოდეთ. ზამერი ზოგადად ბავშვთა ფეხბურთის კოორდინატორია და არც ახალგაზრდულ ნაკრებს თმობს. ზოგადად ცნობილია, რომ მას ლიოვის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, უბრალოდ, ვერ იტანს ბირჰოფს, რომელიც ლიოვის მეგობარია.

ზამერის აზრით, წესით, ლიოვს და ბირჰოფს არ უნდა ჰქონდეთ იმის დრო, რომ ახალგაზრდულ ნაკრებზეც იზრუნონ. მოარული ხმების თანახმად, უახლოეს მომავალში თვითონ ზამერს სურს გერმანიის ნაკრების გაწვრთნა. ლიოვი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ახალგაზრდულ ნაკრებშიც გადამწყვეტი სიტყვა ეთქმოდეს როგორც მას, ასევე ბირჰოფსაც, რის გამოც უარს ამბობს თავისი კონტრაქტის გაგრძელებაზე. იოგის ახალი ხელშეკრულება ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში უნდა გაეფორმებინა, მაგრამ პროცესი გაჭიანურდა, რადგან იოგი შექმნილ ვითარებას ბირჰოფის სასარგებლოდ იყენებს. მან კარგად იცის, რომ საფეხბურთო კავშირს მასთან კონტრაქტის გაგრძელება ძალიან უნდა - პრეზიდენტ **თეო ცვანციგერს** ლიოვის იქით გზა არ აქვს. შესაბამისად, ლიოვს მანამდე არ სურს კონტრაქტის გაფორმება, სანამ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები პირველ რიგში მასზე და ბირჰოფზე არ იქნება დამოკიდებული, რითაც საფეხბურთო კავშირს წნეხის ქვეშ აქცევს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დაპირისპირებაში საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი თეო ცვანციგერი ჩაერია და გადამწყვეტი სიტყვა თქვა. „ბილდის" ინფორმაციით, გუშინწინ ფრანკფურტში, გერმანიის საფეხბურთო კავშირის ცენტრალურ ოფისში დიდი შეხვედრა შედგა, რომელსაც ცვანციგერის გარდა, საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივანი **ვოლფგანგ ნირსბახი**, ზამერი, ლიოვი და ბირჰოფი ესწრებოდნენ.

საუბრის უპირველესი თემა, რა თქმა უნდა, ახალგაზრდული ნაკრები და მისი მართვის კომპეტენცია იყო. ცვანციგერმა უპირატესობა ლიოვს მიანიჭა. ამიერიდან მკაფიოდაა გადაწყვეტილი, რომ 21-წლამდელთა ბუნდესგუნდს ლიოვი და ბირჰოფი მიხედავენ: ვარჯიშები, ტაქტიკა-სტრატეგია, ფეხბურთელების გამოძახება - ამ ყველაფერში პირველი სიტყვა ლიოვსა და ბირჰოფს ეთქმით, ზამერი კი მხოლოდ მათი დამხმარე იქნება.

კონტრაქტის გაგრძელებამდე ლიოვის მეორე მოთხოვნა არის ის, რომ ახალი ხელშეკრულებები გაუფორმონ მისი შტაბის სხვა წევრებსაც: **ანდრეას კიოპკეს, ჰანს ფლიკს** და ბირჰოფს. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, ცვანციგერი იოგის ამ მოთხოვნასაც უსრულებს.

ვერდერი

# ბრემენში მუსიკა შეწყდა

## შააფი და ალოფსი აგონიაში არიან



ვერდერის მწვრთნელი თომას შააფი და სპორტული დირექტორი კლაუს ალოფსი

**„ვერდერმა" ზედიზედ ხუთი თამაში წააგო. შესაბამისად, ბრემენიდან მუსიკის ხმა აღარ ისმის. ამრიგად, ბრემენელები უკვე შეეგუვნენ იმას, რომ ჩემპიონობაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლება. გუნდის მთავარ მწვრთნელ თომას შააფს ჯერჯერობით ყველა მხარში უდგას - „მუსიკოსები" გერმანიის თასზე გადაერთვებიან და ამ ტურნირის მოგებას შეეცდებიან, რათა საგაისოდ ევროტურნირების მიღმა არ დარჩნენ.**

„ვერდერში" ზოგადად ორი დაუწერელი კანონი არსებობს. პირველი: ფეხბურთის თამაშით პირველ რიგში სიამოვნება უნდა მიიღო! მეორე: **თომას შააფი** „ვერდერისთვის" ზედგამოჭრილი მწვრთნელია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი კანონი „ვერდერში" უკვე აღარ კანონობს - თუ შედეგი არ გაქვს, სიამოვნების მიღებაზე საუბარი ზედმეტია. აი, მეორე წესი კი წესად რჩება. შააფის გათავისუფლება აბსოლუტურად ტაბუდადებული თემაა. ბუნდესლიგაში ნებისმიერი მწვრთნელის გაგდებას უნდა ველოდოთ, მაგრამ არა შააფისა. თომასი ხელშეუხებელია, რადგან ბოლო ათწლეულში მისი ღვაწლი „ვერდერში" ძალიან დიდია. თუმცა, „ვერდერის" ხელმძღვანელებმა წლების განმავლობაში მწვრთნელთან დაკავშირებით პირველად ახსენეს სიტყვა „შეცვლა". მართალია, მხოლოდ ის თქვეს, რომ შააფი კვლავ ხელშეუხებელია, მაგრამ ესეც უკვე რაღაცას ნიშნავს, რადგან აქამდე ბრემენში ამაზე არავინ ლაპარაკობდა და თუ კითხვას დაუსვამდნენ, სპორტულ დირექტორ **კლაუს ალოფსს** უბრალოდ ეღიმებოდა ხოლმე.

ფაქტი ერთია: „ვერდერი" კრიზისშია. ბრემენულმა ციხესიმაგრემ, რომელსაც შააფი წლებია აშენებს, ნგრევა გასული წლის 31 ოქტომბერს დაიწყო, ბუნდესლიგის მე-11 ტურში, როცა „მუსიკოსებმა" ელიტაში დარჩენისთვის მებრძოლ „ნიურნბერგთან" სტუმრად 2:2 ითამაშეს და ისიც იმიტომ, რომ ძალიან გაუმართლათ. იმ შეხვედრაში „ვერდერის" ნახევარმცველმა **აარონ ჰანტმა** ანგარიში მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაათანაბრა და მაშინ, რა თქმა უნდა, ვერავინ მიხვდა, რომ „ვერდერისთვის" უმძიმესი, კრიზისული პერიოდი იწყებოდა. „ნიურნბერგთან" ფრის შემდეგ ყველანი კმაყოფილები იყვნენ - რაც უნდა იყოს, მანამდე „ვერდერს" ბოლო 9 მატჩიდან 6 მოგებული (მხოლოდ ერთი მარცხი) ჰქონდა. ბრემენულ კლუბს ბრწყინვალე თავდასხმა და სოლიდური დაცვა ჰყავდა.

მე-11 ტურის შემდეგ კი შააფის ბიჭებმა მხოლოდ ერთი შეხვედრის მოგება შეძლეს, სამაგიეროდ, 4 ოფიციალური მატჩი ფრედ დაასრულეს და 5-ში დამარცხდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის ხარისხი ტურიდან ტურამდე ეცემოდა, შედეგები კი უარესდებოდა, „ვერდერში" განგაშის ზარებს მხოლოდ ახლახა შემოჰკრეს, როცა უკვე ფაქტობრივად ყველაფერი დაკარგულია. მართალია, ჯერ კიდევ არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ „მუსიკოსები" თუნდაც გერმანიის ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ ცხადია, ამის არავის სჯერა. „ვერდერის" წამყვანი ნახევარმცველები **მესუთ იოზილი, მარკო მარინი** და აარონ ჰანტი იმდენად ბედნიერები იყვნენ შემოდგომით, როცა მათზე ბრწყინვალე სტატიები იწერებოდა და როცა ჩვენი გერმანელი კოლეგები გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** მათი გამოძახებისკენ მოუწოდებდნენ, რომ როგორც ჩანს, თავში აუვარდათ, რადგან მეორე წრეში არც იოზილი ვარგა, არც ჰანტი და აღარც მარინი.

თუმცა იოზილი, ჰანტი და მარინი ახალგაზრდები არიან და ასეთ ასაკში ფორმის ვარდნა და არასტაბილურობა აბსოლუტურად ჩვეულებრივი, ყველა მოთამაშისთვის დამახასიათებელია. სამაგიეროდ, ვერავინ გაიგო, რატომ აურია ასე ძალიან დაცვის ხაზმა, სადაც წლებია, ისეთი გამოცდილი მოთამაშეები ასპარეზობენ, როგორებიც არიან გერმანიის ნაკრების დაცვის ბურჯი **პერ მერტეზაკერი** და ბრაზილიელი **ნალდო.** „ვერდერს" დაცვის მარცხენა ფლანგზეც გაუჭირდა, რადგან **სებასტიან ბიონიშმა** ტრავმა მიიღო, იანვარში მისი შემცვლელის რანგში შეძენილი ტუნისელი **აიმენ აბდენური** კი ამაზრზენად გამოიყურება. თუმცა „ვერდერის" ქომაგები აბდენურისგან სასწაულებს არც ითხოვენ, მათ უფრო მერტეზაკერისა და ნალდოს წყვილის აჭრა აღელვებთ - რაც უნდა იყოს, უკვე წლებია, რაც „ვერდერის" დაცვის ცენტრს სწორედ ეს ორი ფეხბურთელი ამაგრებს.

ზოგადად, „ვერდერის" შემადგენლობას რომ გადავხედოთ, იქ ბევრ ისეთ ფეხბურთელს აღმოვაჩენთ, რომლებიც უკვე წლებია, ბრემენული კლუბისთვის იღვწიან და ბევრი დამსახურებაც აქვთ. ეს ერთი მხრივ კარგია, მეორე მხრივ კი ძალიან ცუდი, რადგან ასეთებს მოტივაციის პრობლემები ექმნებათ. მერტეზაკერთან და ნალდოსთან ერთად, ასეთი მოთამაშეები არიან მარჯვენა მცველი **კლემენს ფრიტცი**, საყრდენი ნახევარმცველები **ტიმ ბოროვსკი** და **ტორსტენ ფრინგსი**, თავდამსხმელები **უგო ალმეიდა** და **მარკუს როზენბერგი**. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ბოლო დროს კლუბის შეფი კლაუს ალოფსი (რომელსაც გუშინწინ მეუღლე გარდაეცვალა) აბსოლუტურად გაუგებარ ტრანსფერებს ახორციელებს. როგორც ჩანს, წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა ალოფსს ბრწყინვალე ყნოსვა ჰქონდა (გავიხსენოთ თუნდაც **დიეგოს** ტრანსფერი). მაგალითად, ბრემენელებმა ზაფხულში დიდი ზარზეიმით აიყვანეს ბრაზილიელი თავდამსხმელი **მარსელო მორენო**, რომელიც დღეს ბრემენში უკვე აღარავის ახსოვს. აღარაფერს ვამბობთ წელიწად-ნახევრის წინ განხორციელებულ ტრანსფერზე, როცა „ვერდერმა" დაახლოებით ათი მილიონი ევრო გადაიხადა ბრაზილიელ ფორვარდ **კარლოს ალბერტოში**, რომელიც ბრემენულ კლუბს არათუ არაფერში გამოადგა, პირიქით, ავნო კიდეც „ვერდერს". ცოტაც და, ექსპერტები „დიდ შეცდომად" მონათლავენ აბდენურის ტრანსფერსაც, რომელიც უკვე ზედიზედ ორი ტურია, ამაზრზენ შეფასებებს იღებს, შაბათს კი, მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" მატჩში გაშვებული ოთხი გოლიდან სამი სწორედ ამ უკანასკნელის სინდისზე იყო.

იანვრის ბოლოს „ვერდერმა" გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **სანდრო ვაგნერი** იყიდა. რამდენად სწორი ნაბიჯია ეს, ამას დრო გვიჩვენებს. ექსპერტებს ამ ტრანსფერის აზრიანობაში იმთავითვე ეჭვი ეპარებათ, რადგან სანდრო ვაგნერი ტრავმირებულია და „ვერდერს" მინიმუმ მარტამდე ვერ დაეხმარება.

ამასობაში, გერმანულმა პრესამ უკვე დაიწყო „ვერდერის" ხელმძღვანელების კრიტიკა. „გლადბახთან" მარცხის შემდეგ „ბილდი" წერდა, ალოფსმა და შააფმა იმდენი ქნეს, რომ „ვერდერი", რომელიც ბოლო წლებში მუდმივად ჩემპიონობისთვის იბრძოდა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა, საშუალო დონის კლუბი გახდაო. სხვა გაზეთებიც „სამარცხვინო ვერდერზე" წერენ, რომელსაც უკვე ორი წელია, წინ არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს და თუ ნაბიჯებს დგამს, მხოლოდ უკუმიმართულებით. აი, „ვერდერის" გულშემატკივრები ჯერჯერობით თავს იკავებენ შააფის ან ალოფსის კრიტიკისგან, რადგან ჯერ კიდევ ემადლიერებიან მათ ყველაფრისთვის, რაც ამ ორმა პიროვნებამ „ვერდერისთვის" გააკეთა და მხოლოდ ასეთი შინაარსის მქონე ტრანსპარანტებით შემოიფარგლებიან: *„ყელში ამოგვივიდა!"*

ფანებს აზრი ვერც მუდმივად სათადარიგოთა სკამის მხეხავი ფეხბურთელების, **დუშკო ტოშიჩისა** და **იურიცა ვრანიეშის** აჯანყების მცდელობამ შეაცვლევინა. ამ ფეხბურთელებმა თქვეს, შააფს გუნდში უკვე უარყოფითი აურა შემოაქვსო. თომას შააფი აქამდე ყოველთვის ახერხებდა, რომ 2-3 მნიშვნელოვანი მატჩისთვის გუნდისთვის ისეთი მოტივაცია მიეცა, რომ „ვერდერს" სეზონი საბოლოოდ საუკეთესო სამეულში ან ხუთეულში მაინც დაესრულებინა. მაგალითად, „მუსიკოსებმა" წინა სეზონი მაინც გადაარჩინეს და ევროტურნირებს მიღმა არ დარჩენილან, ამჯერად კი იმავეს გამეორება ძალიან ძნელი იქნება.

ჩემპიონობაზე რომ ველარ იოცნებებენ, ეს უკვე ფაქტია. მეხუთე ადგილამდე კი „ვერდერს" შვიდი ქულა აშორებს, ევროპის ლიგაში კი შააფის გუნდი საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფ „ტვენტეს" ხვდება. რაც შეეხება გერმანიის თასს: მომავალ კვირაში ბრემენელები „ჰოფენჰაიმს" ხვდებიან. „მუსიკოსებს" იმედი აქვთ, რომ როგორმე ევროტურნირის საგზურის გარეშე არ დარჩებიან. „როგორმე" - ეს არის ერთადერთი სიტყვა, რომელსაც „ვერდერში" უკვე ყველა ხშირად იმეორებს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ძიუდო

ინტერვიუ ვალერი ლიპარტელიანთან

# სტილის შეცვლა მომიწევს




თამამად შეიძლება ითქვას, ბოლო თვეებში ქართული ძიუდოს ქომაგთა ერთი უმთავრესი თავსატეხი ვალერი ლიპარტელიანის (90) წაგებებია. თვით ლეგენდარული იამასიტას მიერ მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონად შერაცხილი ახალგაზრდა ტალანტი ზედიზედ მესამე ტურნირს ტოვებს უჩემპიონოდ – საქართველოს პირველობას, „მასტერსის ტურნირს" და თბილისის მსოფლიოს თასს. მაგრამ პირველ შეჯიბრებაზე თუ ბრინჯაო მაინც მოიპოვა, ბოლო ორში პირველივე წრიდან გავარდა. მისი თბილისური წაგება უკრაინელ დმიტრო ბერეჟნისთან დღემდე საკამათოა. შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში ლიპარტელიანი მსაჯებმა ფეხში ხელით შესვლისთვის მოხსნეს, მაგრამ არის მოსაზრება, რომ ეს უკვე დაწყებულ ილეთზე სავსებით დასაშვები გაგრძელება იყო.

ასეა თუ ისე, ლიპარტელიანი შინაურ ტურნირზეც უმედლოდ დარჩა და მოსალოდნელი სიხარულის ნაცვლად ქომაგს დიდი გულისტკივილი დაუტოვა. რა ხდება მის თავს, რითი ხსნის ბოლოდროინდელ წარუმატებლობას და რას აპირებს მომავალში, ამ თემებზე გუშინ თვითონ ლიპარტელიანს ვესაუბრეთ.

**- როგორ ფიქრობთ, ბოლო ორი ტურნირის წაგება რისი ბრალია, რა მიგაჩნიათ მარცხის მიზეზად?**

- სუვონის ტურნირზე არ ვიყავი სათანადოდ მომზადებული - შეხვედრები და საახალწლო დღეების გამო ცოტა სპარინგებიც მაკლდა. თან კორეაში ბაკურიანიდან ჩამოსულები ნავედით. ფიზმომზადებიდან პირდაპირ ტატამზე გადართვა კი ძნელია. ამიტომ ვერც ფიზიკურად ვიყავი მზად, რუს კირილ დენისოვთან შეხვედრაში მოძრაობაც მიჭირდა და რაღაც შენელებული კადრივით ვიყავი. კორეაში რუსები იაპონიიდან ჩავიდნენ, სადაც კანოს ტურნირის შემდეგ დარჩნენ და ერთთვიანი შეკრება გაიარეს.

ახლანდელ წაგებას რაც შეეხება, ეს უფრო მსაჯთა არასწორი გადაწყვეტილება მგონია. ამ ტურნირზე ძალიან ბევრი ანალოგიური ფაქტი მოხდა, მაგრამ ყველა არ დაუსჯიათ.

**- ყოველ შემთხვევაში, თქვენ შეხვედით ფეხში?**

- ფეხში ხელი მხოლოდ მას შემდეგ მოვკიდე, როცა მეტოქემ მოძრაობა დაიწყო. მოძრაობა მე არ დამიწყია, ხელის ჩავლება ჩემი ინიციატივა არ ყოფილა. იმ შეხვედრის ჩანაწერი რამდენჯერმე ვნახეთ მეც, მწვრთნელებმაც და მოძრაობა იმან დაიწყო. ტელევიზორში ითქვა, რომ თითქოს ორჯერ მოვკიდე ხელი, მაგრამ არაფერი ამგვარი, საკამათო მეორე ეპიზოდი იყო.

**- ანუ ამ სამ წაგებას შორის საერთო კავშირს არ ხედავთ...**

- არა, არ ვხედავ. რაღაც ცუდად ამეწყო ყველაფერი – ის არეულობა, მერე გლანდების ოპერაცია, შემდეგ პატარა ტრავმები და ვერ დავლაგდი, ვერ ავაწყვე პროცესები.

**- ალბათ, აჩქარების მომენტი სამივე შემთხვევას აერთიანებს. თქვენთვის ეს კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება.**

- მინუსები ყველა სპორტსმენს აქვს. შეცდომას მე კი არა, ოლიმპიური ჩემპიონები უშვებენ. მეც ბევრი რამის სწავლა მჭირდება თუნდაც პირველ ჩავლებაზე, იმავე ანგარიშის შენარჩუნებაზე... სააწავლი და სამუშაო კვლავაც ბევრია. გარკვეულწილად, ახალმა წესებმაც იმოქმედა.

**- როგორ იმოქმედა - დადებითად თუ უარყოფითად?**

- ადრე ჩემსავით მემარცხენეებთან ვერა, მაგრამ მემარჯვენეებთან ძირითადად ფეხში შევდიოდი, ახლა კი ამ სტილის შეცვლა და ჩავლებაზე გადართვა მომიწევს. იქნებ ძნელი სამუშაო არ იყოს, მაგრამ მაინც გასაკეთებელია. მემარცხენეებთან ადრეც ჩავლებით მიწევდა ჭიდაობა და ამ მხრივ არაფერი იცვლება. ახალმა წესებმა რაღაცაში კი შემზღუდა, მაგრამ, მთლიანობაში, ჩემთვის უკეთესია. მაგალითად, უკვე ფეხში ველარ შევალ, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო თავისუფლად გადავავლებ, ასომულსაც ბევრად უშიშრად შევასრულებ და სხვა.

**- თბილისის ტურნირზე წაგების შემდეგ დაგელაპარაკათ, დაგეკონტაქტათ ვინმე?**

- არავინ. არც იმ სადავო ეპიზოდზე მილაპარაკია ვინმესთან.

**- ფიზიკურად როგორ ხართ მომზადებული, როგორ აფასებთ საკუთარ თავს - ხართ ფორმაში?**

- ნორმალურად ვგრძნობ თავს, მაგრამ კორეაში დენისოვმა მოძრაობით მაჯობა – ჩემზე მეტი იმოძრავა. ფიზიკურად არც ახლა გამჭირვებია უკრაინელთან. უბრალოდ, მას დიდი უპირატესობით ვუგებდი და ანგარიშს ვინარჩუნებდი. არადა, შეტევა აჯობებდა. ამის შანსი მქონდა კიდეც და წმინდად მოგებაც შემეძლო, მაგრამ ვიფიქრე, პირველი შეხვედრაა და ბოლომდე ვიჭიდავებ, გავიხსნებიმეთქი. უბრალოდ, ყოველთვის არ გამოდის ისე, როგორც ჩვენ გვინდა.

**- ცოტა ზედმეტად თავდაჯერებულიც ხომ არ გახდით? თითქოს ირწმუნეთ, რომ იოლად შეიძლება ყველაფრის მოგება.**

- შესაძლოა, რაღაც დოზით ეგ ფაქტორიც იყოს, მაგრამ უფრო მეტად სიჩქარეს და ზედმეტ მოძრაობას დავაბრალებ. იმავე გავაშელიშვილთან საქართველოს ჩემპიონატზე ვაზარი-იუკოს ვიგებდი და უნდა შემენარჩუნებინა ის ანგარიში, შეტევა აღარ იყო საჭირო. მაგრამ უფრო მეტი მოვინდომე. თან მანამდეც მალევე მოვიგე და ახლაც ისე მოვინდომე, მაგრამ დავისაჯე. ასე იყო იმ ორ შეხვედრაშიც.

**- წაგებებმა ფსიქოლოგიურად ხომ არ იმოქმედა?**

- არა, განწყობა ისევ ისე საბრძოლოა. უბრალოდ, ასეთი წაგებები სპორტში ადება. მეც ვატყობ, არ ვარ ისეთ ფორმაში, როგორშიც შემიძლია ვიყო. ახლა რამდენიმე დღით დავისვენებ და იქნებ ქალაქიდანაც გავიდე, ვარჯიშებს, დარბაზს და ამ ატმოსფეროს რომ მოვწყდე. ორშაბათიდან გავაგრძელებ ვარჯიშს და ალბათ, ავსტრიის ტურნირში ვიჭიდავებ. არ ვიცი, ეს ჯერ კიდევ არ შემითანხმებია მწვრთნელთან.

**- როგორ ფიქრობთ, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ისევ გაქვთ?**

- ეგ მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვის დააყენებს ევროპის პირველობაზე, მე ვერაფერს გეტყვით. ვეცდები კი, რომ ჩემი შესაძლებლობები ტურნირებზე დავამტკიცო. როგორც ამბობენ, ერთი შეჯიბრებით არ გადაწყდებაო ეს საკითხი.

**- ამჟამად ვისთან ვარჯიშობთ?**

- ისევ გურამ მოდებაძესთან, თუმცა კონსულტაციებს შოთა ხაბარელიც მიწევს. ამ მხრივ ისევ ისეა ყველაფერი, როგორც მანამდე – არაფერი შეცვლილა. ხაბარელსა და მოდებაძეს შორის რაც მოხდა, ეს მე არ მეხება, ჩემთან ურთიერთობაში ყველაფერი ძველებური დაა. ვარჯიშით ძირითადად დილომში, ძიუდოს აკადემიაში ვემზადები ნაკრებთან ერთად.

**ირაკლი თავაძე**

პარიზის დიდი მუზარადი

# პარიზული უქმეები




ამ უქმეებზე პარიზი სეზონის პირველ „დიდ მუზარადს" უმასპინძლებს, ანუ მოდის დედაქალაქი მსოფლიო ძიუდოს ცენტრიც გახდება. ეს ტრადიციულად ძლიერი ტურნირია და, სავარაუდოდ, ამჯერადაც უძლიერესი შემადგენლობა შეიკრიბება. ყოველ შემთხვევაში, ამის წინასწარი მონაცემები არსებობს – რამდენიმე ფედერაციამ უკვე განაცხადა, რომ იქ უძლიერეს გუნდს გაგზავნის. ტურნირში ოპტიმალური შემადგენლობით გამოვა ჩვენი ნაკრებიც: **დავით ასუმბანი, პაატა მერებაშვილი** (60), **უჩა ხუციშვილი, ნესტორ ხერგიანი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, გიორგი დილებაშვილი** (73), **ლევან წიკლაური, იოსებ წელაური** (81), **საბა გავაშელიშვილი** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ნოდარ მეტრეველი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი** (+100).

გუნდის თავკაცმა **ყმირან ტოტიკაშვილმა** მთლად უძლიერესი შემ დგენლობა ვერ შეკრიბა. კერძოდ, როგორც ვხედავთ, 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მხოლოდ ერთი მონაწილე გვყავს – რომ არა თბილისის ტურნირის გამარჯვებულ **მინდია ბოდაველის** ტრავმა, პარიზში ისიც იჭიდავებდა. კუნთის ტრავმა ჯერაც ვერ მოიშუშა მძიმეწონოსანმა **ლაშა გუჯეჯიანმა** და ტურნირს ისიც გამოტოვებს.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



მერვე ტურის მეტოქეები: ნანა ძაგნიძე და ტანია საჩდევი

## ფინიშამდე ორი ტურით ადრე

გიბრალტარში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა ტრადიციული მერვე საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სახელოვანი დიდოსტატები მონაწილეობენ. მეშვიდე ტურში **ლელა ჯავახიშვილი** არგენტინელ **რუბენ ფელგაერს** დაუზავდა, ხოლო **ნანა ძაგნიძემ** იტალიელ **ელენა სედინასთან** გაიყო ქულა.

ლიდერთა ჯგუფში ყაიმზე შეთანხმდნენ **მაიკლ ადამსი** და **ნატალია ჟუკოვა, ჩანდა სანდიპანი** და **იან გუსტაფსონი, სებასტიან მაზე** და **ეტიენ ბაკრო**, რამაც 4.5-ქულიანების ერთ ნაწილს საშუალება მისცა, მეწინავეებს გათანაბრებოდა. ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 5,5-5,5 ქულა 11 მოჭადრაკეს აქვს. შეჯიბრების 24 მონაწილე მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება. მათ შორისაა ლელა ჯავახიშვილი, რომელიც მერვე ტურში თეთრებით ესპანელ დიდოსტატ **იოსებ ლოპეს მარტინესს** დაუპირისპირდება. ნანა ძაგნიძეს 4,5 ქულა აქვს. მის მეტოქეა ინდოელი **ტანია საჩდევი**.

ქალებში ინდოელი **ჰამფი კონერუ** ლიდერობს. მეორე ადგილზეა — უკრაინელი ევროპის ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა, მესამე-მეოთხე ადგილებს ლელა ჯავახიშვილი და პერუელი **დეიზი კორი** ინაწილებენ.

**ვაჟა დანელია**

## ნახევარ-ნახევარი ქულა დაკარგეს

მოსკოვის საჭადრაკო ფესტივალის ქალთა ტურნირში მესამე ტურის პარტიები გათამაშდა. **ნაზი პაიკიძე** შავი ფიგურებით ასპარეზობაზე პირველ ნომრად განთესილ ჩინელ **ვენიუნ იუს** დაუზავდა. **სალომე მელიამაც** ყაიმით დაამთავრა შეხვედრა **სანდუგაჩ შაიდულინასთან.**

სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 7 მოჭადრაკე მეწინავეობს. 19 მოჭადრაკეს 2,5-2,5 ქულა აქვს. ლიდერთა ასეთი სიმრავლე არც არის გასაკვირი, რადგან ეს მხოლოდ შეჯიბრების დასაწყისია. გათამაშების ცხრილის ზედა ნაწილში მყოფთ მომდევნო ტურებში უფრო ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ და ქულების მოპოვებაც გაძნელდება.

მეოთხე ტურში ქართველი მოჭადრაკეები თეთრი ფიგურებით ითამაშებენ. სალომე მელია **ირინა პეტრუხინას**, ნაზი პაიკიძე კი **ალექსანდრა შუმილინას** შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

სამთო თხილამურობა

## ბოლო რეპეტიციები

ბრწყინვალე დეკემბრის და უცუდესი იანვრის შემდეგ **იასონ აბრამაშვილმა** თებერვალი საშუალოდ დაიწყო - ვანკუვერის ოლიმპიადის მომავალმა მონაწილემ 1 და 2 თებერვალს იტალიაში ფის-ის ეგიდით გამართულ ორ სლალომში ისრიალა კურორტ სან კანდიდოში. პირველ დღეს 21 წლის ქართველმა 24-ე ადგილი დაიკავა, გუშინ კი - 23-ე ადგილი ხვდა. **ალექსი ბენიანიძეს** ორივე შეჯიბრებაში მოეცარა ხელი. **კოტე ვახტანგიშვილმა** კი პირველი სლალომი ვერა, მაგრამ მეორე დაასრულა და 42-ე პოზიციაც დაიკავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტი და განათლება

## არის სასპორტო კოლეჯი

ეს უკვე რეალობაა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა სასპორტო კოლეჯი. ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაიდო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

კოლეჯი ორი მიმართულებით მოამზადებს სპეციალისებს. ესაა: გუნდური/ინდივიდუალური სპორტის სახეობების მწვრთნელი და მეორე — ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი (საბაკალავრო პროგრამით).

მომავალი მწვრთნელები დაეუფლებიან სპორტული წვრთნის საფუძვლებს, წვრთნის პროცესის მეთოდებს და ტექნოლოგიებს, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევებს, წვრთნის პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვას, საერთაშორისო სპორტული სივრცის მოთხოვნის შესაბამისად ეროვნული ნაკრები გუნდების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების პროგრამული მიზანია, მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისთვის ფიზაღზრდის მასწავლებელი, რომელიც შეძლებს წარმართოს პედაგოგიური პროცესი ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი, ჯანმრთელი მომავალი თაობის ფორმირების, მათი შრომისუნარიანობისა და სიცოცხლის გახანგრძლივების გზით.

ცურვა



გიორგი მთვრალაშვილი

## შორია სინგაპურამდე?

წლეულს სინგაპურში მსოფლიო ახალგაზრდობის პირველი ოლიმპიური თამაშები გაიმართება. ამ კომპლექსურ შეჯიბრებაში საასპარეზოდ ბევრი ქართველი სპორტსმენი ემზადება. ზოგს უკვე განაღდებული აქვს ლიცენზია, ზოგიც საგზურის მოსაპოვებლად იბრძვის. თამაშებზე გამგზავრების ერთ-ერთი კანდიდატია მოცურავე **გიორგი მთვრალაშვილი**, რომელიც **ირინა მინჟულინას** ხელმძღვანელობით წყალთა სახეობების სასპორტო ცენტრ „ტონუსში" ემზადება.

გიორგიმ შარშან რამდენიმე ტურნირში წარმატებით იასპარეზა. უკრაინის ღია ჩემპიონატში 400 და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, შესაბამისად, მეორე (4.39,6) და მეოთხე (2.11,3) ადგილები დაიკავა. რაც მთავარია, ახალგაზრდებში საქართველოს რეკორდები გააუმჯობესა. რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრი 2.10.19-ში დაფარა, რითაც პირველი თამაშების სალიცენზიო ნორმატივი (2.11.93) შეასრულა და სინგაპურის საგზურიც განაღდებული გვეგონა, მაგრამ ორიოდე კვირის წინათ საწყლოსნო სახეობების ფედერაციაში **ფინა**-დან (წყალთა სახეობების საერთაშორისო ფედერაცია) შეტყობინება მოვიდა, რომ თამაშების სალიცენზიო ნორმატივი ბევრმა სპორტსმენმა შეასრულა, რითაც მონაწილეთა რაოდენობამ კვოტას გადააჭარბაო.

— ფინა-ს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, სინგაპურის თამაშებზე 140-140 გოგონა და ვაჟი მოცურავე დაუშვას, ანუ თითოეულ დისციპლინაში 16-16 მონაწილე იბრძოლებს მედლებისთვის, — გვითხრა მინჟულინამ. — ამიტომ სარეიტინგო ქულების გასამდიდრებლად 30 მარტამდე რამდენიმე სალიცენზიო ტურნირი გაიმართება, რომლებშიც ნებისმიერ მოცურავეს შეეძლება მონაწილეობა. თბილისის მერიის სპორტის სამსახურის თანადგომითა და ფინანსური დახმარებით მთვრალაშვილი მარტში ლიტვის ღია ჩემპიონატში იასპარეზებს, რომელიც, ასევე, სალიცენზიოა. ვეცდებით, შედეგები იქაც გავაუმჯობესოთ და ქულები მოვიმატოთ, რათა სინგაპურში გამგზავრება რეალური გახდეს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

კალათბურთი

პირველი წრე. სტატისტიკა. საუკეთესონი

# ციფრები მოგვითხრობენ...

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე ბათუმში გასულ უქმეებზე გაიხსნა, თუმცა რადგან თქვენ წინაშეა პირველი წრის ზოგადი მიმოხილვა, ბათუმური თამაშის ციფრები ცხრილებში არ შევიყვანეთ. არადა, **დავით იმნაძემ** პირველივე მატჩში რეკორდი დაამყარა - 23-ჯერ მოხსნა.

თუ ლიდერების ჩამონათვალს გადახედავთ, 224 სმ სიმაღლის **სერგო ათუაშვილის** გვარს ამოიკითხავთ. სერგო პირველ წრეში სიმაღლის გარდა თამაშითაც გამოირჩეოდა, თუმცა ერთხელაც არ დასახელდა ტურის საუკეთესოდ. ამის მიზეზი ისაა, რომ „ავიამშენმა“ ლიდერებთან ყველა დაპირისპირება წააგო... „ავიამშენი“ უფულობის გამო იანვარში დაიშალა და კალათბურთის ფედერაციამ ამ ფაქტთან დაკავშირებით ყველა გუნდს განაცხადში მეჩვიდმეტე კალათბურთელის შეყვანის ნება მისცა. ასე მოხვდა ათუაშვილი შსს-ში. მეორე წრეში იგი გაცილებით ძლიერ კლუბში ითამაშებს და აღიარების მეტი შანსიც ექნება...

„ავიადან“ **ვახტანგ მინაშვილი** თსუ-მ წაიყვანა და საგრძნობლადაც გაძლიერდა, ხოლო ორი „ავიატორი“ **ანატოლი ბოისა და გიორგი პირველაშვილი** „ენერჯიში“ გადავიდნენ. რაც შეეხება **თორნიკე ნინიაშვილს**, იგი „აგრარულმა“ მიიწვია.

ასე და ამგვარად, მეორე წრეში რამდენიმე გუნდი საკმარისად გაძლიერდა, რაც ჩემპიონატს უფრო საინტერესოს გახდის.

დავუბრუნდეთ პირველ წრეს. როგორც წესი, გუნდები ამ ეტაპს გასახურებლად იყენებენ. მაგალითად, შარშან და შარშანწინ „ავიამშენმა“ მძიმედ დაიწყო და საბოლოოდ, ისეთ ფორმაში შევიდა, რომ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად იქცა.

ასევე მძიმედ დაიქოქა შსს, რომელიც ამჟამად მეხუთე ადგილზეა.

საპირისპიროდ, მობილიზებული შეხვდა პირველ წრეს რუსთავის „ენერჯი“, რომელმაც მტკიცე დაცვისა და სწრაფი შეტევის წყალობით წრე დაუმარცხებლად დაასრულა.

ერთადერთი წაგებით მეორე ადგილზეა თსუ, რომელმაც „ენერჯი“ თასის ნახევარფინალიდან გამოთიშა. ასე რომ, მეორე წრეში ეს სტუდენტური გუნდი კიდევ უფრო საინტერესო გახდება.

იგივე შეიძლება ითქვას სსაუ-ზე, რომელმაც იანვრის ბოლოს საქართველოს თასი მოიგო.

ტურის საუკეთესოთა ჩამონათვალში ორი კალათბურთელი ორ-ორჯერ წერია. **დავით ბარბაქაძე და ჟულივეტ ტუჯანი** ორჯერ ვაღიარეთ. თუმცა მეექვსე ტურში ბარბაქაძის მესამედ დასახელება გვქონდა გადაწყვეტილი (თსუ-ს „აგრარულთან“ მოაგებინა, 25 ქულა ჩააგდო), თუმცა იმავე საღამოს დავით იმნაძემ 46 ქულა ჩააგდო და ჟურნალისტთა აზრი ორად გაიყო. საბოლოოდ, მე-6 ტურის MVP-ედ იმნაძე ვაღიარეთ.


სერგო ათუაშვილი

ასე რომ, დათო ბარბაქაძემ **ჟულივეტ ტუჯანს** წრის საუკეთესო კალათბურთელთა „რბოლაში“ მცირე უპირატესობით გაასწრო. თსუ-ელის სტატისტიკას ქვემოთ იხილავთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. სერგო ათუაშვილი | ავიამშენი | 9 | 199 | 22.11 |
| 2. გიორგი ნიკოლაძე | შსს | 9 | 197 | 21.89 |
| 3. ბესიკ ლეჟავა | ბათუმი | 9 | 196 | 21.78 |
| 4 დავით ბარბაქაძე | თსუ | 7 | 140 | 20 |
| 5. დავით იმნაძე | ბათუმი | 9 | 175 | 19.44 |
| 6. დავით ბერიშვილი | შსს | 7 | 134 | 19.14 |
| 7. ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 9 | 166 | 18.44 |
| 8. მერაბ ბოძოლიშვილი | სამედ/აკადემია | 8 | 139 | 17.38 |
| 9. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 9 | 154 | 17.11 |
| 10. თორნიკე ნინიაშვილი | ავიამშენი | 9 | 147 | 16.33 |
| 11. კოტე ტულუში | ენერჯი | 7 | 106 | 15.14 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | მ.ფ. | ს.ქ. | ჯ | საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერგო ათუაშვილი | ავიამშენი | 9 | 38 | 71 | 109 | 12.11 |
| 2. დავით იმნაძე | ბათუმი | 9 | 34 | 70 | 104 | 11.56 |
| 3. პლასიდე როდუმტა | ბათუმი | 8 | 35 | 52 | 87 | 10.88 |
| 4. ჟოლივეტ ტუჯანი | ენერჯი | 9 | 30 | 64 | 94 | 10.44 |
| 5. დავით ბარბაქაძე | თსუ | 7 | 26 | 34 | 60 | 8.57 |
| 6. ილია ლონდარიძე | დინამო | 6 | 24 | 27 | 51 | 8.5 |
| 7. რევაზ ათანელიშვილი | სსაუ | 8 | 26 | 40 | 66 | 8.25 |
| 8. ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 9 | 26 | 48 | 74 | 8.22 |
| 9. ირაკლი კეიდია | თსუ | 8 | 23 | 38 | 61 | 7.63 |
| 10. გიორგი პირველაშვილი | ავიამშენი | 5 | 13 | 25 | 38 | 7.6 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ | პასი | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა წიწქივაძე | სსაუ | 9 | 64 | 7.11 |
| 2. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 6 | 34 | 5.67 |
| 3. კოტე ტულუში | ენერჯი | 7 | 39 | 5.57 |
| 4. შიო ხეცურიანი | თსუ | 6 | 32 | 5.33 |
| 5. ზურა ბადრიძე | ავიამშენი | 9 | 44 | 4.89 |
| 6. ნოდარ სიგუა | დინამო | 9 | 39 | 4.33 |
| 7. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 9 | 39 | 4.33 |

### რეკორდები

**ქულა**
დავით იმნაძე (ბათუმი) – 46
12.12.09 ქიათურა-ბათუმი

**მოხსნა**
დავით იმნაძე (ბათუმი) – 20
28.12.09 ბათუმი-სოხუმი

**პასი**
გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ) – 11
19.12.09 თსუ-მერანი; 28.12.09 აკადემია-თსუ

**ჩაჭრა**
ნოდარ სიგუა (დინამო) – 7
28.12.09 შსს-დინამო

**დაფარება**
შიო ხეცურიანი (თსუ) – 5
28.11.09 თსუ-ენერჯი
პლასიდე როდუმტა (ბათუმი) – 5
18.12.09 ბათუმი-სამედ/აკად
სერგო ათუაშვილი (თსუ) – 5
19.12.09 თსუ-ენერჯი
ბექა ბექაური - 5
28.12.09. სამედ/აკად-თსუ

**შეცდომა**
ფარნაოზ გურული (ქიათურა) – 10
19.12.09 თსუ-მერანი
ლაშა ეძგვერაძე (დინამო) – 10
26.12.09 დინამო-ენერჯი

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბუბა ბერიშვილი | სოხუმი | 8 | 26 | 3.25 |
| 2. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 6 | 17 | 2.83 |
| 3. ფარნაოზ გურული | მერანი | 8 | 21 | 2.63 |
| 4. კოტე ტულუში | ენერჯი | 7 | 18 | 2.57 |
| 5. ნოდარ სიგუა | დინამო | 9 | 23 | 2.56 |
| 6. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 9 | 23 | 2.56 |
| 7. შალვა კოხრეიძე | თსუ | 8 | 20 | 2.5 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ | დ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. პლასიდე როდუმტა | ბათუმი | 8 | 16 | 2 |
| 2. სერგო ათუაშვილი | ავიამშენი | 9 | 17 | 1.89 |
| 3. ბექა ბექაური | სამედ/აკადემია | 9 | 16 | 1.78 |
| 4. გიორგი კვეტენაძე | სოხუმი | 5 | 7 | 1.4 |
| 5. შიო ხეცურიანი | თსუ | 6 | 8 | 1.33 |
| 6. დავით იმნაძე | ბათუმი | 9 | 12 | 1.33 |
| 7. სოსო შერმადინი | შსს | 9 | 11 | 1.22 |
| 8. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 9 | 11 | 1.22 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | შ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ფარნაოზ გურული | მერანი | 8 | 49 | 6.13 |
| 2. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 9 | 46 | 5.11 |
| 3. ბესიკ ლეჟავა | ბათუმი | 9 | 43 | 4.78 |
| 4. ნოდარ სიგუა | დინამო | 9 | 40 | 4.44 |
| 5. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 9 | 38 | 4.22 |
| 6. ირაკლი ბერიშვილი | შსს | 6 | 24 | 4 |
| 7. ბექა წიწქივაძე | სსაუ | 9 | 35 | 3.89 |
| 8. გიორგი პირველაშვილი | ავიამშენი | 5 | 19 | 3.8 |

*მეორე წრის „ბათუმი“-„დინამოს“ მატჩის შედეგი გათვალისწინებული არ არის.

### I წრის MVP

**I ტური**
დავით ბარბაქაძე (თსუ-შსს 88:83):
37 წუთი, 30 ქულა, 8 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 4 დაფარება

**II ტური**
ჟულივეტ ტუჯანი (ენერჯი-ბათუმი 75:61 დ.დ.):
38 წუთი, 12 ქულა, 17 მოხსნა, 1 პასი, 2 დაფარება

**III ტური**
მიხეილ ფანჩულიძე (თსუ-ბათუმი 100:86):
36 წუთი, 31 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება

**IV ტური**
ჟულივეტ ტუჯანი (თსუ-ენერჯი 62:89):
35 წუთი, 24 ქულა, 13 მოხსნა, 4 პასი, 4 დაფარება, 2 ჩაჭრა

**V ტური**
დავით ბარბაქაძე (თსუ-ავიამშენი 85:80):
32 წუთი, 20 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება

**VI ტური**
დავით იმნაძე (მერანი-ბათუმი 51:129):
38 წუთი, 46 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი, 2 დაფარება

**VII ტური**
ზვიად ბაბიაშვილი (შსს-ენერჯი 81:90):
34 წუთი, 29 ქულა, 9 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება

**VIII ტური**
პლასიდე როდუმტა (ბათუმი-შსს 94:83):
29 წუთი, 24 ქულა, 13 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა

**IX ტური**
კოტე ტულუში (ენერჯი-სსაუ 76:69):
31 წუთი, 23 ქულა, 2 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა

**I წრის საუკეთესო**
დავით ბარბაქაძე (თსუ):
7 მატჩი, 26.6 წუთი, 20 ქულა, 8.6 მოხსნა, 1 პასი, 1.9 ჩაჭრა, 1.1 დაფარება

ხელბურთი

# შანსი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ

ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის წილისყრის შედეგები უკვე გაგაცანით. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეები ლატვია, იტალია და ფინეთია. ისიც გეხსომებათ, რომ წილისყრამ ჩვენს ქვეყანას ჯგუფის მასპინძლობის პრიორიტეტული უფლებაც მიანიჭა და ამ შანსის ხელიდან გაშვებას ჩვენი ფედერაცია არ აპირებს.

გუშინ ვენიდან დაბრუნდა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **ზურაბ კაკაბაძე**, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ფედერაცია ტურნირის სამასპინძლოდ მზადაა. *"სპორტის დეპარტამენტმა ამ საქმეში თავიდანვე დახმარება აღგვითქვა. წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესარჩევი ტურნირის სამასპინძლო თანხები და რაკი წილისყრაში გაგვიმართლა; არა მგონია, ტურნირის ჩვენს ქვეყანაში ჩატარებას რამემ შეუშალოს ხელი. ეს საქართველოს ნაკრების შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებს ერთიორად გაზრდის. სამასპინძლოდ ფინელებიც მზად არიან და მათთვის ამ კოზირის დათმობას არ ვაპირებთ. სამწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველო ნამდვილ საერთაშორისო ასპარეზს უბრუნდება და წინსვლის გასაგრძელებლად ყველაფერი უნდა ვილონოთ. რამდენიმე დღეში უკვე ზუსტად შეგვეძლება იმის თქმა, რომ ჩვენი მეტოქეები საქართველოში ჩამოვლენ"*, - გვითხრა კაკაბაძემ.

პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სამ ჯგუფად გაყოფილი 12 ნაკრები იასპარეზებს, საიდანაც შემდეგ რაუნდში მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ. მომდევნო ეტაპი შემოდგომაზე ჩატარდება, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს კი 2012 წლის 17-29 იანვარს სერბეთი უმასპინძლებს.

ჩვენი ჯგუფის კალენდარი კი უკვე საბოლოოდ დამტკიცდა.

11 ივნისი: **ლატვია-ფინეთი**
**საქართველო-იტალია**
12 ივნისი: **საქართველო-ლატვია**
**ფინეთი-იტალია**
13 ივნისი: **ფინეთი-საქართველო**
**ლატვია-იტალია**

აქვე დანარჩენი ორი ჯგუფის შემადგენლობასაც გაგაცნობთ.

A ჯგუფი: **ესტონეთი, კვიპროსი, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი.**

C ჯგუფი: **ისრაელი, ბელგია, თურქეთი, ლუქსემბურგი.**

ორიოდე სიტყვა ჩვენი მეტოქეების შესახებ: საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით, სამივე მათგანი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშია ჩართული, სადაც განსაკუთრებული წარმატებით ვერ დაიკვეხნიან. ფინეთს იქ სამი მატჩი აქვს ჩატარებული, სადაც ბოსნიასა (28:30) და რუმინეთთან (23:32) დამარცხდა და მხოლოდ ბრიტანეთს სძლია (35:21). ლატვიამ და იტალიამ დღემდე ორ-ორი შეხვედრა გამართეს. ლატვიამ ლუქსემბურგთან (31:34) და პორტუგალიასთან (30:31) წააგო, იტალიამ კი თამაშები საბერძნეთსა (22:34) და ჩერნოგორიასთან (26:28) დათმო.

ისევ უნდა მივუბრუნდეთ ფინეთის ნაკრების თემას, რომელთანაც ჩვენი გუნდი 23 იანვარს ევროპის "ჩელენჯ ტროფის" ფინალში დამარცხდა. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მერაბ მეტრეველი** მიიჩნევს, რომ ფინელებს ჩვენზე ძლიერი გუნდი არ ჰყავთ და სათანადოდ მომზადების შემთხვევაში, მათი ძლევაც შეგვიძლია და ჯგუფის მოგებაც.

*"თანაბარი ჯგუფია, ჩვენი მეტოქეები დაახლოებით თანაბარი დონისანი არიან. განსაკუთრებით ფინელებთან შეხვედრამ გამახარა. "ჩელენჯ ტროფის" ფინალს მოუმზადებლები შევხვდით, რადგან ჩვენს ლეგიონერებს დასვენების პერიოდი ჰქონდათ და არ იყვნენ ოპტიმალურ ფორმაში. პოტენციალით ფინელებსაც ალვემატებით და დანარჩენ მეტოქეებსაც. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ნაკრებს გაცილებით მეტი შეუძლია და სათანადო მომზადების შემთხვევაში, ამას აუცილებლად დავამტკიცებთ. დროა, ქართულმა ხელბურთმა საერთაშორისო სარბიელზე კვლავ თქვას თავისი სიტყვა"*, - ამბობს მეტრეველი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩოგბურთი

# მარცხი ხორვატ ანისთან

27 წლის **მაკა ჩახნაშვილს** (212) კარიერაში დაღმასვლა რომ დაეწყო, ცხადია. ეს ახლა ფრანგული ბელფორის (25 ათასი $) ხალიჩის კორტებზეც გამოჩნდა, როცა მე-4 ნომრად განთესილმა ქართველმა 22 წლის ხორვატ **ანი მიაჩიკასთან** (257) უშანსოდ წააგო - 3:6, 2:6. მაკამ უამრავი შეცდომა დაუშვა, ერთი-ორჯერ კი ნერვებმაც უმტყუნა და კორტზე ჩოგანი მოისროლა. ჩახნაშვილმა ბოლოს ნოემბერში მოიგო ოპოლეს (პოლონეთი) საერთაშორისო ტურნირის პირველ წრეში. შეგახსენებთ, რომ თანამედროვე ქართველ ჩოგბურთელ ქალთაგან მაკა ყველაზე ახლოს იყო მსოფლიოს საუკეთესო ასეულთან - 2007 წელს მსოფლიოს 134-ე ჩოგანი იყო, მაგრამ ელიტაში შეღწევა ვერ შეძლო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წყალბურთი

# კვირის ბოლოს ისევ უკრაინაში

დნეპროძერჟინსკში გუშინ დამთავრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის **ალექსეი ბარკალოვის** ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებაში ოთხი გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის — საქართველოს ნაკრები, რომელმაც, როგორც გაუწყეთ, პირველი შეხვედრა თურქეთთან დათმო (8:15), შემდეგ პოლონელებს სძლია (13:6), ასპარეზობის ბოლო დღეს კი უკრაინელებთან წააგო ორი ბურთის სხვაობით (8:10) და მესამე ადგილზე გავიდა. პირველობა 5 ქულით წილად ხვდათ თურქებს, რომლებიც მეორე ტურში მასპინძლებს დაუზავდნენ (6:6), გუშინ კი პოლონელები დაამარცხეს — 14:9. ამდენივე ქულით, მაგრამ ბურთების უარესი შეფარდებით მეორე ადგილზე უკრაინელები გავიდნენ.

საქართველოს ნაკრები ერთკვირიანი „შესვენების“ შემდეგ 9 თებერვალს მარიუპოლში გაემგზავრება და უკრაინის XIX ლია ჩემპიონატის მეორე ტურში ჩაებმება. 10 თებერვალს ხარკოვის „ბმკ“-ს დაუპირისპირდება, 11-ში ჩვენების მეტოქე ლვოვის „დინამო“ იქნება, 12 თებერვალს კი ხარკოვის „ხპი“-ს ეთამაშება.

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში ქართველმა წყალბურთელებმა ხუთიდან ოთხი შეხვედრა მოიგეს და ერთიც მარიუპოლის „ილიჩევეცთან“ წააგეს.

**ვაჟა დანელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ერთა თასი | საქართველო-გერმანია. 6 თებერვალი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# ვამბობთ გერმანიას, ვგულისხმობთ პორტუგალიას

საქართველოს ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრისთვის მზადებას განაგრძობს. „ბორჯღალოსნებმა“ თბილისის „ლოკომოტივის“ სარაგბო ბაზაზე ისევ არასრული შემადგენლობით ივარჯიშეს.

დიდთოვლობის გამო პარიზიდან თბილისის ავიარეისი გადაიდო და დროულად ჩამოსვლა ვერ შეძლეს **თედო ზიბზიბაძემ** (პერიგო), **მალხაზ ურჯუკაშვილმა** (ფიჟაკი), **ლევან დათუნაშვილმა** (ორიაკი) და **დიმიტრი ბასილაიამ** (ლე ბუგე). მაღალი ტემპერატურა ჰქონდა და არ უვარჯიშია „ლელოს“ მესამეხაზელ **ვიქტორ კოლელიშვილს**.

თბილისში დღეს გამთენიისას ჩამოვა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ტიმ ლეინი**. შესაბამისად, წვრთნას ისევ **ჯონი ნამუ, დენიელ კამინსი** და **ილია მაისურაძე** ხელმძღვანელობდნენ.

ბორჯღალოსნებმა ჯერ მოკლე დისტანციაზე ხელდახელ შეტევაში ივარჯიშეს. მერე დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადაწყობას ცდილობდნენ, დერეფნის მოგების შემდეგ რამდენიმე ფაზიანი შეტევის ორგანიზებას ხვეწდნენ. ჯერ წინააღმდეგობის გარეშე, მერე კი წინააღმდეგობას, სავარაუდოდ, სათადარიგო მოთამაშეები უწევდნენ. პირობითად ძირითადი შემადგენლობა კი ასე გამოიყურებოდა:

(15-9) *მერაბ კვირიკაშვილი, ალექსანდრე თოდუა, დავით კაჭარავა, ირაკლი გიორგაძე, ირაკლი მაჩხანელი, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი აბუსერიძე,*

(1-8) *დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, დავით ზირაქაშვილი, ილია ზედგინიძე, გიორგი ნემსაძე, გიორგი ჩხაიძე, გია ლაბაძე, ბესო უდესიანი.*

**ბესო უდესიანი:** *„გუნდში ძალიან კარგი განწყობაა. ეროვნულ ნაკრებში დიდი ხანია არ მითამაშია და ძალიან მიხარია, კიდევ ერთხელ რომ მეძლევა შანსი, გუნდში ადგილი დავიმკვიდრო. ყველანაირად ვეცდები ეს შანსი გამოვიყენო. დიდი ხანია ამისთვის ვემზადები.*

*მთავარი მატჩი პორტუგალიაში გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვებთან გასეირნება გვექნება. ყველა თამაშს, ყველა ქულას ამ შესარჩევ ტურნირში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მსოფლიო თასზე აუცილებლად უნდა გავიდეთ.“*

**გიორგი ნემსაძე:** *„ვცდილობთ, გადამწყვეტი მატჩებისთვის ყველანაირად, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად მზად ვიყოთ. გუნდში საბრძოლო განწყობაა. უმთავრესი ბრძოლა პორტუგალიაში გვექნება. ლისაბონში გამარჯვება მსოფლიო თასზე თამაშის უფლების მოპოვებას ნიშნავს. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. „ლობუშებს“ აუცილებლად უნდა მოვუგოთ.“*

**ილია ზედგინიძე:** *„ჩვენი მიზანია მაქსიმალური შედეგი ვაჩვენოთ. მსოფლიოს შესარჩევ ტურნირში სუსტი გუნდები არ არიან. მორაგბეები ყველასთან მაქსიმალურად უნდა დაიხარჯონ.*

*მცდარია მოსაზრება, რომ გერმანიასთან ნახევარი ძალით შეიძლება წარმატების მიღწევა. ყველასთან ერთნაირად რთული ბრძოლის გადატანა მოგვიწევს. იოლად არავინ არაფერს დათმობს, არც გერმანია და არც პორტუგალია.“*

**ირაკლი გიორგაძე:** *„დიდი ხანია, ნაკრებში არ მითამაშია. ფეხის ოპერაცია გავიკეთე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ. წლეულს კლუბში ყველა მატჩში ვითამაშე და სათანადო ფორმას ვიბრუნებ.*

*ნაკრების მიზანი, ცხადია, მსოფლიო თასზე თამაშის უფლების მოპოვებაა. ამას რაც შეიძლება სწრაფად უნდა მივაღწიოთ. გერმანელებთან მატჩი 13 თებერვალს ლისაბონში გასამართი შეხვედრისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ. პორტუგალია კი აუცილებლად უნდა დავამარცხოთ.“*

**გია ლაბაძე:** *„ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მომავალი უმნიშვნელოვანესი მატჩებისთვის კარგად მოვემზადოთ. გერმანიის ნაკრები საკმაოდ საინტერესო, კარგი გუნდია. შარშან მათთან შეხვედრაში, დასაწყისში გაგვიჭირდა. ის კი არა, პირველი ლელო გაგვიტანეს და ანგარიში გახსნეს.*

*ეს ამჯერად აღარ უნდა განმეორდეს. მეტოქეს საკმაოდ სერიოზულად ვუდგებით. ვიცით, რომ მთავარი თამაში პორტუგალიასთან გვაქვს, ამიტომ გერმანელებთან მატჩში ისეთი კომბინაციები უნდა დავხვეწოთ, რომლებითაც ერთი კვირის თავზე პორტუგალიელებს დავამარცხებთ“.*

საქართველოს ნაკრები: შერკინება: **დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული), ილია ზედგინიძე (კარკერენი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (მასი), გია ლაბაძე (მარსელი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ბესო უდესიანი (სენტ ეტიენი), ლაშა თავართქილაძე (ფარული), ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო), დიმიტრი ბასილაია (ლე ბუგე), რატი ურუშაძე(ენისეი).**

უკანა ხაზი: **ბიძინა სამხარაძე (ფარული), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ირაკლი გიორგაძე (შამბერი), დავით კაჭარავა (ნიცა), ალექსანდრე თოდუა (ლელო), მალხაზ ურჯუკაშვილი ფიჟაკი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ლაშა ხმალაძე (ლელო).**



აქვსენტი გიორგაძე და რატი ურუშაძე





ირაკლი გიორგაძე

## ამბები

### მსოფლიო თასს სლავა მეტრეველზე წარადგენენ

ვებ ელისის სახელობის თასი, რომლის მოსაპოვებლად სარაგბო ბატალიები 2011 წელს ახალ ზელანდიაში გაიმართება, 6 თებერვალს სოჭს ეწვევა.

რუსეთისა და პორტუგალიის ნაკრებების დაპირისპირება სოჭში სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე გაიმართება. მსოფლიო თასს, სწორედ ამ შეხვედრისას წარუდგენენ სტადიონზე მისულ ქომაგებს.

### რუბენ კრუხერი გარდაიცვალა

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილი ფლანკერი **რუბენ კრუხერი**, რომელიც 1995 წელს მსოფლიო თასის მფლობელი გახდა, სიმსივნესთან დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა.

კრუხერი მსოფლიო თასზე „ბოკეს“ მესამე ხაზში **ფრანსუა პინართან** და **მარკ ენდრიუსთან** ერთად თამაშობდა. 1995 წელს ის სამხრეთ აფრიკის საუკეთესო მორაგბედ აღიარეს.

რუბენ კრუხერი სიმსივნეს 2000 წლიდან ებრძოდა. მან ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას გონი დაკარგა და სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ საშინელი დიაგნოზი დაუსვეს.

*„რუბენ კრუხერი სამხრეთაფრიკული რაგბის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი იყო. თავდადებული, შეუპოვარი მოთამაშე თანაგუნდელების დიდი იმედი გახლდათ. როცა ის თამაშობდა, დარწმუნებული ვიყავით, რომ უბრძოლველად „ბოკე“ არაფერს დათმობდა,“* - თქვა სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ორგენ ხოსკინსმა**.

### თამაში, რომელმაც ერი გააერთიანა



ფრანსუა პინარი (მარცხნივ) და მეთ დეიმონი

ლონდონში **ჯონ კარლინის** ფილმის „ინვიქტუსის“ პრემიერა შედგა. ფილმი, რომელიც **ნელსონ მანდელას** წიგნის, „მტრის თამაში“ მიხედვითაა გადაღებული, 1995 წლის ამბებზე მოგვითხრობს.

თამაში, რომელმაც სამხრეთაფრიკელი ერი გააერთიანა, რაგბია. სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიო თასზე პირველობა მასპინძლებმა არავის დაუთმეს. „ქურციკების“ კაპიტნის, **ფრანსუა პინარის** როლი ჰოლივუდის პოპულარულმა მსახიობმა **მეთ დეიმონმა** შეასრულა. მანდელას განსახიერება **მორგან ფრიმენმა** ითავა.

„ინვიქტუსი“ უკვე გამოვიდა აშშ-ისა და სამხრეთ აფრიკის კინოთეატრების ეკრანებზე. ევროპელ მაყურებელს კი, ამ შესანიშნავი ფილმის ნახვის საშუალება 5 თებერვლიდან ექნება.

### ტულონი შეინ ვილიამსს ელაპარაკება

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი“ მომავალი სეზონისთვის თადარიგს აქედანვე იჭერს. ტულონელთა მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალამ** თვალი მსოფლიოს რამდენიმე ნამყვან მორაგბეს დაადგა.



დღეისათვის „ტულონის“ მენეჯერები მოლაპარაკებას აწარმოებენ უელსის ნაკრების გარემარბთან, 2008 წლის მსოფლიიოს საუკეთესო მორაგბედ აღიარებულ **შეინ ვილიამსთან**.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ჩვენებურის გუნდს მომავალი სეზონიდან „სეილ შარქსის“ 31 წლის კაპიტანი **დენ შოფილდი** შეუერთდება.

*„ახლახან 31 წლის გავხდი. მალე, ალბათ, რაგბის გამოვეთხოვები. ამიტომ „ტულონის“ შემოთავაზება შესანიშნავი შანსია, ჩემი შესაძლებლობები ისეთ ძლიერ ტურნირშიც გამოვცადო, როგორიც საფრანგეთის ჩემპიონატია,“* - თქვა მან.

### ფრანგებს შაბალი დააკლდათ

ექვსი ერის გათამაშების პირველი ტურის შეხვედრაში საფრანგეთის ნაკრებს ტრავმის გამო ექსტრავაგანტური **სებასტიან შაბალი** ვერ დაეხმარება.

საფრანგეთის ნაკრები ექვსი ერის პირველ შეხვედრას ედინბურგში, „მერიფილდზე“ შოტლანდიის ნაკრებთან გამართავს. შაბალთან ერთად ფრანგთა ლაზარეთში შერკინების პირველხაზელი **რომენ მიო-შლუსკიც** (ტულუზი) აღმოჩნდა.

შაბალმა ტრავმა 27 იანვარს „მეტრო რასინგის“ მიერ **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონის“ ძლევისას მიიღო და ნაკრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე ყოფნისას ერთხელაც არ უვარჯიშია.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი–ბოსტონი 88:99**

23:24, 31:24, 24:26, 10:25

ვ: ბატლერი (20+11 მოხსნა), ბოიკინსი (14), მილერი (13+7 მოხსნა), ჰეივუდი (12+5 მოხსნა), იანგი (10).

ბ: გარნეტი (19+6 მოხსნა), რონდო (17+12 პასი), ალენი (17+5 მოხსნა), უოლასი (14+5 მოხსნა), პირსი (12+7 მოხსნა), დევისი (10+6 მოხსნა).

**მაიამი–მილუოკი 81:97**

17:21, 21:33, 21:22, 22:21

მაი: უეიდი (23+6 პასი+4 ჩაჭრა), ბიზლი (16+5 მოხსნა), ჰასლემი (12+10 მოხსნა), აროიო (10).

მილ: ბოგუტი (22+11 მოხსნა), დელფინო (16+10 მოხსნა), უორიკი (12+6 მოხსნა), ბელი (12).

**მემფისი–ლეიკერსი 95:93**

24:24, 28:26, 18:21, 25:22

მ: გეი (25), რენდოლფი (22+17 მოხსნა), ჰადსონი (13), მ. გასოლი (11+13 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (44), არტესტი (18+5 მოხსნა), პ. გასოლი (10+9 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი–ფინიქსი 100:109**

31:30, 15:29, 24:26, 30:24

ნ-ო: ტორნტონი (25), უესტი (20+8 მოხსნა), კოლისონი (16+14 პასი), ოკაფორი (12), სტოიაკოვიჩი (11).

ფ: სტაუდმაიერი (25+11 მოხსნა), ფრაი (20+6 მოხსნა), ნეში (18+12 პასი), ლოპესი (18+6 მოხსნა), ჰილი (13), დადლი (12+5 მოხსნა).

**დენვერი–საკრამენტო 112:109 (ო)**

26:26, 24:38, 23:14, 26:21, 13:10

დ: მარტინი (24+12 მოხსნა), ბილაპსი (23+9 პასი), ლოუსონი (15), ნენე (14+6 მოხსნა), აფლალო (12), ანდერსენი (11).

ს: ჰაუსი (23+7 მოხსნა), მარტინი (22+6 პასი+5 მოხსნა), კასპი (14), ბროკმანი (11+11 მოხსნა), ნოჩიონი (11).

**იუტა–დალასი 104:92**

24:26, 29:20, 24:30, 27:16

ი: მილსეპი (25+9 მოხსნა+4 დაფარება), უილიამსი (18+15 პასი+7 მოხსნა), მაილზი (17+5 მოხსნა), კირილენკო (13+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), ოქური (11+6 მოხსნა), ბრიუერი (11).

დ: ნოვიცკი (28+8 მოხსნა), ტერი (19+8 პასი+4 ჩაჭრა), ბარეა (12), კიდი (11+9 პასი), მერიონი (10+7 მოხსნა).

**პორტლენდი–შარლოტი 98:79**

29:19, 22:24, 21:22, 26:14

პ: ოლდრიჯი (17+8 პასი), ბატუმი (15+9 მოხსნა), ფერნანდესი (11+5 პასი), უებსტერი (10+5 მოხსნა), კანინგემი (10), მილერი (8+10 პასი).

შ: ჯექსონი (23), უოლასი (17+10 მოხსნა), მიური (13).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. კლივლენდი* | 49 | 38 | 11 | 77.6 |
| 2. ორლანდო* | 48 | 32 | 16 | 66.7 |
| 3. ბოსტონი* | 46 | 30 | 16 | 65.2 |
| 4. ატლანტა | 46 | 30 | 16 | 65.2 |
| 5. ტორონტო | 48 | 26 | 22 | 54.2 |
| 6. ჩიკაგო | 45 | 23 | 22 | 51.1 |
| 7. შარლოტი | 47 | 24 | 23 | 51.1 |
| 8. მაიამი | 48 | 24 | 24 | 50.0 |
| 9. მილუოკი | 46 | 21 | 25 | 45.7 |
| 10. ნიუ იორკი | 47 | 18 | 29 | 38.3 |
| 11. ფილადელფია | 47 | 16 | 31 | 34.0 |
| 12. ვაშინგტონი | 47 | 16 | 31 | 34.0 |
| 13. ინდიანა | 48 | 16 | 32 | 33.3 |
| 14. დეტროიტი | 46 | 15 | 31 | 32.6 |
| 15. ნიუ ჯერსი | 46 | 4 | 42 | 8.7 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი* | 49 | 37 | 12 | 75.5 |
| 2. დენვერი* | 48 | 33 | 15 | 68.8 |
| 3. დალასი* | 48 | 30 | 18 | 62.5 |
| 4. იუტა | 47 | 29 | 18 | 61.7 |
| 5. სან ანტონიო | 46 | 27 | 19 | 58.7 |
| 6. პორტლენდი | 50 | 29 | 21 | 58.0 |
| 7. ფინიქსი | 50 | 29 | 21 | 58.0 |
| 8. მემფისი | 47 | 26 | 21 | 55.3 |
| 9. ოკლაჰომა | 47 | 26 | 21 | 55.3 |
| 10. ნიუ ორლეანი | 48 | 26 | 22 | 54.2 |
| 11. ჰიუსტონი | 47 | 25 | 22 | 53.2 |
| 12. კლიპერსი | 47 | 20 | 27 | 42.6 |
| 13. საკრამენტო | 47 | 16 | 31 | 34.0 |
| 14. გ. სტეიტი | 46 | 13 | 33 | 28.3 |
| 15. მინესოტა | 49 | 11 | 38 | 22.4 |

**ქულა**

| | |
|---|---|
| კარმელო ენტონი (დენ) | 29.7 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 29.6 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 29.5 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.3 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 27.0 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.4 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 12.2 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 12.0 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.7 |
| დევიდ ლი (ნ-იორ) | 11.5 |

**პასი**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.2 |
| სტივ ნეში (ფინ) | 11.1 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.7 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 9.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 9.2 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.4 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.2 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 1.9 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.9 |
| სტივენ კარი (გ-სტე) | 1.9 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.7 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.2 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.2 |
| სამუელ დალემბერი (ფილ) | 2.2 |
| ბრუკ ლოპესი (ნ-ჯერ) | 2.1 |

# ლეიკერსის ახალი რეკორდსმენი




"ლეიკერსის" ლიდერ **კობი ბრაიანტისთვის** ისტორიული აღმოჩნდა გუშინდელი შეხვედრა "მემფის გრიზლისის" წინააღმდეგ. კალიფორნიელმა ვარსკვლავმა ამ მატჩში 44 ქულა დააგროვა და ლეგენდარული კლუბის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა.

ამ მომენტისთვის ბრაიანტის ანგარიშზე 25 208 ქულა მოდის. "ლეიკერსის" წინა რეკორდსმენის **ჯერი უესტის** მონაგარი კი 25 192 ქულას შეადგენს. კალიფორნიელთა საუკეთესო ბომბარდირების სიას აგრძელებენ - **კარიმ აბდულ-ჯაბარი** (24 176), **ელჯინ ბეილორი** (23 149) და **მეჯიქ ჯონსონი** (17 707). მართლაც შთამბეჭდავი კამპანიაა.

*"ეს უდიდესი პატივია ჩემთვის. ამ კლუბში ხომ უდიადესი კალათბურთელები თამაშობდნენ,* - ამბობს ბრაიანტი სააგენტო AP-სთვის მიცემულ ინტერვიუში. - *17 წლის ვიყავი, როცა უესტის თამაშმა მომაჯადოვა. მან ბევრი მომცა თამაშის აღქმის მხრივ. ნახტომში სროლები, მოძრაობა და ბევრი სხვა... მართალია, ჯერის რეკორდების წიგნში გავუსწარი, მაგრამ თავს მასზე დიად კალათბურთელად არ მივიჩნევ".*

# ისევ ომი იქნება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კალათბურთელები არ დაეთანხმებიან კლუბების მფლობელთა ახალ გეგმას, რომელიც მოთამაშეებისთვის ჯამაგირის შემცირებას ითვალისწინებს.

დღეისთვის კალათბურთელთა ხელფასებისთვის განკუთვნილი თანხა საკლუბო ბიუჯეტის 57 პროცენტს შეადგენს. NBA-ის მოთამაშეთა კავშირის პრეზიდენტმა **დერეკ ფიშერმა** განაცხადა, რომ ანალიტიკოსთა პროგნოზებით, მფლობელები ამ მაჩვენებლის 43 პროცენტამდე დაყვანას აპირებენ, რაც საშუალოდ კალათბურთელთა ხელფასს 20 პროცენტით შეამცირებს.

*"თუ ამ პროექტის განხორციელებას მართლა აპირებენ, მე ვერ ვხედავ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც ჩვენმა კავშირმა მხარი უნდა დაუჭიროს ხელფასების ასეთ მკვეთრ დაწევას. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ კომპრომისის მიღწევის უამრავი ვარიანტი არსებობს",* - დიპლომატიურად განაცხადა დერეკ ფიშერმა.

სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში კლუბების მფლობელები ოფიციალური წინადადებით მიმართავენ NBA-ის მოთამაშეთა კავშირს.

# კვირის სიმბოლური

გამთამაშებელი. **დერიკ როუზი (ჩიკაგო)**

*სტატისტიკა: 23.7 ქულა+6.0 პასი+3.3 მოხსნა*

***გუნდური შედეგი: 3-0***

ამ პოზიციაზე "დენვერის" პლეიმეიკერი **ჩონსი ბილაპსიც** იმსახურებდა აღიარებას, მაგრამ **როუზი** და მისი გუნდი იმდენად კარგად გამოიყურებოდნენ, რომ "ბულზის" ერთ-ერთი ლიდერის ყურადღების მიღმა დატოვება შეუძლებელი იყო. არავის ეგონა, რომ "ხარები" ასე ბრწყინვალედ წარმართავდნენ დასავლურ ტურნეს - მათ ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს "ფინიქსი", "ჰიუსტონი", "სან ანტონიო", "ოკლაჰომა" და "ნიუ ორლეანი". როგორც ხვდებით, ამ წარმატებული გასვლითი სერიის მთავარი გმირი გასული სეზონის დრაფტის პირველი ნომერი გახდა.

შემტევი მცველი. **კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)**

*სტატისტიკა: 24.5 ქულა+6.0 პასი+5.0 მოხსნა*

***გუნდური შედეგი: 4-0***

"ლეიკერსმა" გასულ კვირას გაიხსენა გამარჯვებების გემო და წარმატებით დაასრულა ტურნე აღმოსავლეთში. "კლივლენდთან" და "ტორონტოსთან" დასანანი წაგებების შემდეგ, მოქმედმა ჩემპიონმა საქმეს მიხედა და ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო. ისევე როგორც ყოველთვის, ამ მატჩებშიც კალიფორნიელთა უდავო ლიდერი **კობი ბრაიანტი** იყო. მოტეხილი თითის მიუხედავად, "შავი მამბა" პარტნიორებს წინ მიუძღვის და "ლეიკერსიც" ინარჩუნებს პირველ ადგილს დასავლეთ კონფერენციაში. რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით მატჩს "ბოსტონთან". მთელი მატჩი "კელტები" უნარიანად მეურვეობდნენ "ლეიკერსის" 24-ე ნომერს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ბრაიანტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყველაზე კარგად ეხერხება ბოლო წამებზე გამარჯვების ტყორცნის შესრულება.

მსუბუქი ფორვარდი. **ლებრონ ჯეიმსი (ლეიკერსი)**

*სტატისტიკა: 24.5 ქულა+9.8 პასი+6.8 მოხსნა*

***გუნდური შედეგი: 4-0***

**მო უილიამსის** გარეშეც "კლივლენდი" უპრობლემოდ მიიწევს წინ და "ლეიკერსს" რეგულარულ ჩემპიონატში ლიდერობისთვის ებრძვის. "კავალიერზის" წარმატებაში **ლებრონ ჯეიმსის** წვლილი შეუფასებელია. გასულ კვირას "მეფე" მხოლოდ საკუთარ შედეგიანობაზე არ ზრუნავდა - მან მოხსნებშიც ივარგა და ბლომად შედეგიანი გადაცემებიც ჩამოარიგა. გამარჯვებათა სერიის რვა მატჩამდე აყვანის შემდეგ, ლებრონი და კომპანია პირველად ჩაუდგა სათავეში რეგულარული ჩემპიონატის გათამაშების ცხრილს.

მძიმე ფორვარდი. **კრის ბოში (ტორონტო)**

*სტატისტიკა: 25.7 ქულა+16.0 მოხსნა+3.7 პასი*

***გუნდური შედეგი: 3-0***

კვლავინდებურად გვაოცებს **კრის ბოში** და მისი "ტორონტო". კანადელებმა, როგორც ჩანს, მოაგვარეს პრობლემები, რისი წყალობითაც **ჯეი ტრაიანოს** გუნდი უკვე მეხუთე ადგილს იკავებს აღმოსავლეთ კონფერენციაში. ბოშის გარშემო სათამაშო ტაქტიკის აწყობის შემდეგ, "რეპტორზი" მაქსიმალურ სარგებელს ნახულობს თავისი მძიმე ფორვარდის ბრწყინვალე ფორმით. ხუთმატჩიანი მოგებათა სერია და პლეი ოფის ზონაში ადგილი - დამსახურებული ჯილდოა გაწეული სამუშაოსთვის. ასე რომ, "ტორონტოს" გენერალურ მენეჯერ **ბრაიან კოლანჯელოს** ზაფხულში კრისის შენარჩუნების საკმაოდ კარგი შანსი გაუჩნდა.

ცენტრი. **დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)**

*სტატისტიკა: 23.4 ქულა+14.8 მოხსნა+4.5 დაფარება*

***გუნდური შედეგი: 4-0***

ფორმაში შედის "ორლანდო მეჯიქი". გასულ კვირას ფლორიდელებმა ორი მატჩი მოიგეს უშუალო კონკურენტებთან - "ბოსტონთან" და "ატლანტასთან". ზედიზედ მეორე კვირაა საკუთარი გულშემატკივრებს ახარებს **დუაიტ ჰოვარდი**. "სუპერმენი" არ დაღლილა ორივე ფართან დომინირებით და დაცვაში საიმედო თამაშით. **ვინს კარტერისა** და **ჯამირ ნელსონის** საშინელი ფორმის ფონზე, სწორედ დუაიტს უწევს თავისი პარტნიორების სანაცვლოდ თამაში.

# მარბერის ჩინური დებიუტი



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილმა ვარსკვლავმა **სტეფონ მარბერიმ** პირველი მატჩი ჩაატარა ჩინეთის ლიგაში. როგორც უკვე ვწერდით, ვეტერანი მცველი "შანსი ჩოგოუში" გადავიდა და მისი დებიუტი გუშინ შედგა. მარბერისთვის სამწუხაროდ, მისი ჩინური კარიერა დამარცხებით დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა ძალიან კარგი მაჩვენებლებით (15 ქულა+8 პასი+4 მოხსნა+4 ჩაჭრა) დაასრულა შეხვედრა, "შანსის" გულშემატკივრები უკმაყოფილონი დარჩნენ სტეფონის მოქმედებით. საქმე ისაა, რომ მან გადამწყვეტ შეტევაში NBA-ის კიდევ ერთ ყოფილ მოთამაშეს - **მორის ტეილორს** გადააბარა სროლა. ამ უკანასკნელის ტყორცნა კი არაზუსტი გამოდგა და "შანსიმ" 101:102 წააგო.

ამ დასანანი მარცხის გამო მარბერიმ თავისი ვებგვერდის საშუალებით უკვე მოუხადა ბოდიში ადგილობრივ გულშემატკივრებს და დაპირდა მათ, რომ მომავალში კიდევ უფრო უკეთ ითამაშებს...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი.

**პიტსბურგი–ბაფალო 5:4**

1:2, 4:1, 0:1

გოლები: 1:0 ლეტესტუ-1 (ტაილერ კენედი-8, ლეტანგი-17), 1:1 დ. როი-12 (სტეფორდი-14, მონტადორი-12), 1:2 ვანეკი-17 (ლეტანგი-27, ტალინდერი-11), 1:3 ტიმ კენედი-6 (გრირი-8, მაკარტური-11), 2:3 კროსბი-35 (გოლიგოსკი-19, მალკინი-37), 3:3 ჯ. სტაალი-14 (მალკინი-38, დუპუი-12), 4:3 კროსბი-36, 5:3 კროსბი-37 (ლეტანგი-18), 5:4 პომინვილი-15 (კონოლი-37, ვანეკი-18).

**ფლორიდა–ანაჰაიმი 0:3**

0:0, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 გეტცლაფი-14, 0:2 სელიანე-17 (ვიშნიევსკი-21, ს. ნიდერმაიერი-26), 0:3 პერი-20 (გეტცლაფი-38).

**კალგარი–ფილადელფია 0:3**

0:0, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 მ. რიჩარდსი-21 (საიმონ განიე-15, ბრიერი-17), 0:2 ჟირუ-12 (ეშემი-12, ბარტულისი-7), 0:3 მ. რიჩარდსი-22 (საიმონ განიე-16, პრონგერი-30).

**ედმონტონი–კაროლინა 4:2**

2:1, 2:1, 0:0

გოლები: 0:1 ალბერტსი-2 (ბ. სუტერი-11), 1:1 ჟაკი-4 (პუიო-2, პლანტი-1), 2:1 ბრული-12 (ო'სალივანი-19, კოლიანო-8), 2:2 ი. იოკინენი-18 (პიტკანენი-29, ე. სტაალი-26), 3:2 პუიო-1 (სტორტინი-6, ჟაკი-6), 4:2 სემ გაიე-14 (კომრი-4, ო'სალივანი-20).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის სამი საუკეთესო ჰოკეისტი გამოავლინა. პირველი ვარსკვლავი გახდა "ფინიქს კოიოტზის" კაპიტანი **შეინ დოუნი**, რომლის გუნდმაც გასულ შვიდ დღეში ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. ამ შეხვედრებში დოუნმა 3 შაიბა გაიტანა და 6 საგოლე პასი გააკეთა. შეინმა განსაკუთრებით "დეტროიტთან" მატჩში გამოიჩინა თავი, სადაც მან ოთხ ქულას მოუყარა თავი.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო "ოტავა სენატორზის" მეკარე **ბრაიან ელიოტმა**. კანადურმა კლუბმაც ასპროცენტიანი შედეგი აჩვენა - სამიდან სამი მოგება. ამასთან საკლუბო რეკორდიც დაამყარა: 9 მატჩამდე აიყვანა გამარჯვებათა სერია. საერთო ჯამში, ელიოტმა 84-დან 81 დარტყმა მოიგერია. სხვათა შორის, წინა კვირას "ოტავას" გოლკიპერი პირველი ვარსკვლავი იყო.

საუკეთესო სამეულში მოხვდა "ვაშინგტონ კეპიტალზის" ფორვარდი **ნიკლას ბექსტრიომი**. მის ანგარიშზე ოთხ მატჩში 7 ქულა (2+5) მოდის.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვაშინგტონი* | 55 | 37 | 12 | 6 | 80 |
| 2. ნიუ ჯერსი* | 54 | 35 | 17 | 2 | 72 |
| 3. ბაფალო* | 54 | 32 | 15 | 7 | 71 |
| 4. პიტსბურგი | 57 | 35 | 21 | 1 | 71 |
| 5. ოტავა | 56 | 31 | 21 | 4 | 66 |
| 6. ფილადელფია | 54 | 28 | 23 | 3 | 59 |
| 7. რეინჯერსი | 56 | 25 | 24 | 7 | 57 |
| 8. ფლორიდა | 56 | 24 | 23 | 9 | 57 |
| 9. ატლანტა | 54 | 24 | 22 | 8 | 56 |
| 10. მონრეალი | 56 | 25 | 25 | 6 | 56 |
| 11. ბოსტონი | 53 | 23 | 21 | 9 | 55 |
| 12. ტამპა ბეი | 54 | 22 | 21 | 11 | 55 |
| 13. აილენდერსი | 56 | 23 | 25 | 8 | 54 |
| 14. კაროლინა | 54 | 19 | 28 | 7 | 45 |
| 15. ტორონტო | 56 | 17 | 28 | 11 | 45 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე* | 55 | 36 | 10 | 9 | 81 |
| 2. ჩიკაგო* | 55 | 37 | 14 | 4 | 78 |
| 3. ვანკუვერი* | 54 | 34 | 18 | 2 | 70 |
| 4. ფინიქსი | 56 | 33 | 18 | 5 | 71 |
| 5. ლოს ანჯელესი | 55 | 33 | 19 | 3 | 69 |
| 6. კოლორადო | 54 | 30 | 18 | 6 | 66 |
| 7. ნეშვილი | 54 | 30 | 21 | 3 | 63 |
| 8. დეტროიტი | 55 | 26 | 19 | 10 | 62 |
| 9. კალგარი | 56 | 27 | 21 | 8 | 62 |
| 10. დალასი | 55 | 24 | 20 | 11 | 59 |
| 11. ანაჰაიმი | 56 | 26 | 23 | 7 | 59 |
| 12. მინესოტა | 55 | 27 | 24 | 4 | 58 |
| 13. სტ. ლუისი | 55 | 24 | 22 | 9 | 57 |
| 14. კოლამბუსი | 57 | 22 | 26 | 9 | 53 |
| 15. ედმონტონი | 53 | 16 | 31 | 6 | 38 |

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 78 (25+53) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 76 (35+41) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 71 (37+34) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 68 (13+55) |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 65 (33+32) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 37 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 37 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 35 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 33 |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 31 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 55 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 53 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 44 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 43 |
| ტომაშ პლეკანეცი (მონ) | 41 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

## ვანკუვერი 2010. დარჩა 9 დღე

# ფიგურული სრიალი

**მონაწილე:** 1384 (656 კაცი, 728 ქალი) 53 ქვეყნიდან
**ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე:** სესილია კოლეჯი (ბრიტანეთი) - 11 წლის, 73 დღის (1932)
**ყველაზე ხანდაზმული მონაწილე:** ჯოზეფ სევიჯი (აშშ) - 52 წლის, 267დღის (1932)
**ყველაზე მეტი მედალი:** ჯილის გრაფსტრიომი (შვედეთი) - 4 მედალი: 3-1-0
**ყველაზე მეტი მედალი (ქვეყანა):** აშშ (45 მედალი)

ფიგურული სრიალი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე უძველეს სახეობად ითვლება. ის ჯერ კიდევ 1908 წელს, ლონდონში ზაფხულის თამაშების პროგრამაში იყო შეტანილი. 1920 წელს იგივე მოხდა ანტვერპენში - ასევე ზაფხულის ოლიმპიადაზე. 1924 წლიდან მოყოლებული, ინდივიდუალური და სპორტული წყვილების დისციპლინები საბოლოოდ შეიტანეს ოლიმპიურ პროგრამაში.

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველი ჩემპიონია ნიკოლაი **პანინ-კოლომენკინი**. მან 1908 წელს ოქროს მედალი მოიგო დისციპლინაში, რომელსაც "სპეციალური ფიგურები" ერქვა.

1976 წელს ოლიმპიურ პროგრამაში შეიტანეს ყინულზე სპორტული ცეკვები, რომელიც მანამდე სადემონსტრაციო სახეობად ითვლებოდა.

ოლიმპიურ პროგრამაში ფიგურული სრიალი მოიცავს ინდივიდუალურ შეჯიბრებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, სპორტულ წყვილებსა და ყინულზე სპორტულ ცეკვებს. სულ თამაშდება მედლების ოთხი კომპლექტი.

ინდივიდუალური დისციპლინა შედგება მოკლე პროგრამისგან, რომელიც აუცილებელ ელემენტებს შეიცავს. ამას მოჰყვება მეორე დღეს თავისუფალი პროგრამა, რის შემდეგაც ვლინდება კიდეც გამარჯვებული.

სპორტული წყვილებიც თავიდან მოკლე პროგრამას ასრულებენ. მისი შედეგების შემდეგ ირჩევა 12 საუკეთესო წყვილი, რომლებიც მეორე დღეს თავისუფალ პროგრამას ასრულებენ.

ყინულზე სპორტული ცეკვები - პროგრამის ერთადერთი დისციპლინა, სადაც ნებადართულია ვოკალიანი მუსიკის გამოყენება. აქ ტურნირი სამ ეტაპად მიმდინარეობს. პირველია - აუცილებელი ცეკვა, რომელიც ითვალისწინებს ნაბიჯების ზუსტად დაცული თანმიმდევრობის გავლას.

ორიგინალური ცეკვისთვის მუსიკალურ თანხლებას ასევე საერთაშორისო ფედერაცია არჩევს და ის ერთია ყველა მონაწილისთვის. გამოსვლების დროს სპორტსმენები სავალდებულო ილეთებს ასრულებენ.

თავისუფალი ცეკვისთვის თემასა და მუსიკას სპორტსმენები საკუთარი გემოვნებით არჩევენ, ცეკვების კომპოზიციაში კი შეტანილია რამდენიმე სავალდებულო ელემენტი.

**მედლების ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 13 | 15 | 16 | 44 |
| 2. რუსეთი | 12 | 7 | 1 | 20 |
| 3. სსრკ | 10 | 9 | 5 | 24 |
| 4. ავსტრია | 7 | 9 | 4 | 20 |
| 5. ბრიტანეთი | 5 | 3 | 7 | 15 |
| 6. შვედეთი | 5 | 3 | 2 | 10 |
| 7. გერმანია | 4 | 4 | 1 | 9 |
| 8. კანადა | 3 | 7 | 10 | 20 |
| 9. გდრ | 3 | 3 | 4 | 10 |
| 10. საფრანგეთი | 3 | 2 | 7 | 12 |
| 11. ნორვეგია | 3 | 2 | 1 | 6 |
| 12. დსთ | 3 | 1 | 1 | 5 |
| 13. ჰოლანდია | 1 | 2 | 0 | 3 |
| 14. ჩეხოსლოვაკია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 15. ფინეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 15. იაპონია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 17. ბელგია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 17. უკრაინა | 1 | 0 | 1 | 2 |
| 19. უნგრეთი | 0 | 2 | 4 | 6 |
| 20. შვეიცარია. | 0 | 2 | 1 | 3 |
| 21. ჩინეთი | 0 | 1 | 4 | 5 |
| 22. გფრ | 0 | 0 | 2 | 2 |
| 23. იტალია | 0 | 0 | 1 | 1 |

# კალენდარი

| | |
|---|---|
| **14 თებერვალი** | |
| 04:30 | სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა |
| **15 თებერვალი** | |
| 05:00 | სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა |
| **16 თებერვალი** | |
| 04:15 | კაცები. მოკლე პროგრამა |
| **18 თებერვალი** | |
| 05:00 | კაცები. თავისუფალი პროგრამა |
| **19 თებერვალი** | |
| 04:45 | ცეკვა. აუცილებელი ცეკვა |
| **21 თებერვალი** | |
| 04:15 | ცეკვა. ორიგინალური ცეკვა |
| **22 თებერვალი** | |
| 04:45 | ცეკვა. თავისუფალი ცეკვა |
| **23 თებერვალი** | |
| 04:30 | ქალები. მოკლე პროგრამა |
| **25 თებერვალი** | |
| 05:00 | ქალები. თავისუფალი პროგრამა |
| **27 თებერვალი** | |
| 04:30 | საჩვენებელი გამოსვლები |

*შენიშვნა: დრო თბილისისაა*

**ლიდერები**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ჯილის გრაფსტრიომი (შვედ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 2. სონია ჰენი (ნორ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 2. ირინა როდნინა (სსრკ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 4. არტურ დმიტრიევი (რუს) | 2 | 1 | 0 | 3 |
| 5. ანდრე ბრუნე-ჟოლი (საფ) | 2 | 0 | 1 | 3 |
| 5. პიერ ბრუნე (საფ) | 2 | 0 | 1 | 3 |
| 7. დიკ ბატონი (აშშ) | 2 | 0 | 0 | 2 |
| 7. კატია გორდეევა (სსრკ) | 2 | 0 | 0 | 2 |
| 7. ალექსანდრ ზაიცევი (სსრკ) | 2 | 0 | 0 | 2 |
| 7. სერგეი გრინკოვი (სსრკ) | 2 | 0 | 0 | 2 |
| 7. ოლეგ პროტოპოპოვი (სსრკ) | 2 | 0 | 0 | 2 |
| 7. პაშა გრიშჩუკი (რუს) | 2 | 0 | 0 | 2 |
| 7. კატარინა ვიტი (გდრ) | 2 | 0 | 0 | 2 |
| 7. კარლ შეფერი (ავსტრია) | 2 | 0 | 0 | 2 |
| 7. ლუდმილა ბელოუსოვა (სსრკ) | 2 | 0 | 0 | 2 |
| 7. ევგენი პლატოვი (რუს) | 2 | 0 | 0 | 2 |



გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| იაპონია-ვენესუელა | 0:0 |
| **ინგლისი** | |
| ჰალი-ჩელსი | 1:1 |
| **ჩემპიონატი** | |
| პრესტონი-ბარნსლი | 1:4 |
| უოტფორდი-შეფილდი | 3:0 |
| **I ლიგა** | |
| კოლჩესტერი-კარლაილი | 2:1 |
| ლეიტონი-როვერსი | 5:0 |
| უოლსოლი-ჩარლტონი | 1:1 |
| სტოკპორტი-ოლდჰემი | გადაიდო |
| **II ლიგა** | |
| ქრიუ-ტორკი | 1:1 |
| ჰერეფორდი-ლინკოლნი | 2:0 |
| როტერჰემი-ბორნმუთი | 1:3 |
| **კონფერენსი** | |
| ჰისტონი-იორკი | 1:1 |
| რექსჰემი-მენსფილდი | 2:1 |
| **ინგლისის თასი** | |
| უიგანი-ნოტსი | 0:2 |
| კრ. პალასი-ვულვზი | 3:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ბორდო-სედანი | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| ბრედა-ალკმაარი | 1:1 |
| ვენლო-ჰერენვეენი | 3:1 |
| ნიიმეგენი-ვილემი | გადაიდო |
| **ბელგია** | |
| მეხელენი-ბეერსხოტი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრიუსელი-ტუბეკე | 2:1 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| პორტუ-სპორტინგი | 5:2 |
| **შოტლანდია** | |
| კილმარნოკი-სელტიკი | 1:0 |
| აბერდინი-ფალკირკი | 0:1 |
| **I დივიზიონი** | |
| დანფერმლაინი-ქუინი | გადაიდო |
| **III დივიზიონი** | |
| ლივინგსტონი-ქუინზ პარკი | 2:0 |
| **შოტლანდია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ჰართსი-სტ. მირენი | 0:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| იანინა-პაოკ | 4:0 |
| **არგენტინა** | |
| როსარიო-ტიგრე | 0:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროთასი** | |
| უნიქსი-ვალენსია | 68:72 |
| ტურკ ტელეკომი-ნიმბურკი | 92:97 (ო) |
| ცრვენა ზვეზდა-გრან კანარია | 97:67 |
| ჰაპოელი (ი)-გალათასარაი | 100:87 |
| ალბა-ხუვენტუდი | 72:68 |
| არისი-ლე მანი | 71:72 |
| ბამბერგი-ბენეტონი | 73:63 |
| ბილბაო-პანელინიოსი | 81:61 |
| **ევროჩელენჯი** | |
| კრ. კრილია-გეტინგენი | 82:74 (ო) |
| აელ-ეიფელ ტაუერსი | 87:85 (ო) |
| ზაგრები-ჟელეზნიკი | 78:83 |
| ერტლანდი-ლიეჟი | 86:78 |
| ანტვერპენი-ენისეი | 81:72 |
| როანი-ბანვითი | 76:53 |
| სკავოლინი-ბუდუჩნოსტი | 90:77 |
| შალონი-აპოელ | 78:84 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| დინამო (მ)-ცსკა | 3:2 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-აკრონი | 4:3 |
| გრაცი-ვილახი | 5:2 |
| ზალცბურგი-ვენა | 1:1 დ.დ. 0:1 |
| კლაგენფიურტი-ზაგრები | 3:1 |
| ოლიმპია-ლინცი | 1:2 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-აუგსბურგი | 6:3 |
| ჰამბურგი-ინგოლშტადტი | 4:2 |
| კიოლნი-ნიურნბერგი | 6:1 |
| კრეფელდი-აისბარენი | 4:4 პენ. 1:0 |
| ფრანქფურტი-დიუსელდორფი | 4:2 |
| შტრაუბინგი-იზერლონი | 1:1 დ.დ. 1:0 |
| **დანია** | |
| ჰერნინგი-ოლბორგი | 2:3 |
| სონდერიისკი-ოდენსე | 3:3 დ.დ. 1:0 |
| ფრედრიკშავნი-ესბერგი | 4:2 |
| ჰვიდოვრე-რუნგსტედი | 4:1 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-ლორენსკოგი | 1:0 |
| სტორჰამარი-ფრისკ ასკერი | 8:3 |
| სტიორნენი-მანგლერუდი | 5:3 |
| ვოლერენგა-სპარტა | 5:2 |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-ჰპკ | 2:4 |
| ტაპარა-კიეკო | 2:2 პენ. 0:1 |
| ტპს-სეიპა | 5:2 |
| ჰიფკ-კალპა | 2:5 |
| ესეტი-კერპეტი | 2:0 |
| იუვიასკიულა-პელიკანსი | 2:5 |
| **ჩეხეთი** | |
| ულინი-პლზენი | 4:1 |
| ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 2:0 |
| ბოლესლავი-ლიტვინოვი | 3:3 პენ. 1:0 |
| კარლოვი ვარი-სპარტა | 2:5 |
| პარდუბიცე-კლადნო | 6:2 |
| ლიბერეცი-ტრშინეცი | 2:3 |
| სლავია-ბრნო | 1:1 დ.დ. 1:0 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ლანგნაუ | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| სიოდერტალე-ლინჩოპინგი | 1:3 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. იოჰანესბურგი** | |
| გუეზი-კლაასენი | 4:6, 3:6 |
| ჩიუდინელი-ბრაუნი | 4:6, 6:3, 4:6 |
| ოუანა-ლევი | 7:6, 6:2 |
| ფ. ლოპესი-ბალერეტი | 6:1, 6:7, 6:3 |
| ფაუ-ვოლმარანსი | 6:4, 7:5 |
| ოკუნი-ვან დერ მერვე | 6:7, 6:7 |
| მალისე-დევ ვარმანი | 4:6, 2:6 |
| მონფილსი-ჰრბატი | 6:2, 6:1 |
| დოლგოპოლოვი-ალვეში | 7:5, 2:6, 3:6 |
| ფერერი-ბეკი | 6:1, 7:5 |
| **ATP. ზაგრები** | |
| ბეკერი-ვინსიგერა | 1:6, 6:1, 7:6 |
| ლაკო-ისტომინი | 6:2, 6:2 |
| პეტშნერი-კ. როხუსი | 6:7, 6:3, 6:1 |
| გოლუბევი-კოლერერი | 3:6, 6:3, 3:6 |
| ბოზოლიაკი-ელენიჩი | 6:7, 5:7 |
| სიდორენკო-ბემელმანსი | 7:6, 3:6, 6:3 |
| ტიპსარევიჩი-ბერერი | 6:7, 3:6 |
| **ATP. სანტიაგო** | |
| ბელუჩი-ლაპენტი | 3:6, 6:1, 6:1 |
| სებალიოსი-კუბოტი | 6:3, 5:7, 3:6 |
| მარერო-არანგურენი | 7:6, 2:6, 7:6 |
| რიბა მადრიდი-ვენტურა | 6:3, 7:5 |
| აკასუსო-პოდლიპნიკი | 6:1, 6:1 |
| გრეული-სოუზა | 6:3, 4:6, 6:7 |
| კრივოი-რამირეს იდალგო | 4:6, 2:6 |
| შვანკი-ლორენსი | გვიან დასრულდა |

## TV პროგრამა

**3 თებერვალი. ოთხშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-პორტსმუთი.
11:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ბაფალო.
13:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-დორტმუნდი.
15:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ჩელსი.
16:55 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. ავსტრია.
18:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-ვანკუვერი.
21:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:55 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
22:20 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
22:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ტური. ოლიმპიაკოსი-ხიმკი (LIVE).
00:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
00:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
01:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბოლტონი.
03:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰოფენჰაიმი.
06:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ბაფალო.
10:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-პორტსმუთი.
14:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ჯენოა.
15:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტური. მონტეპასკი-მაკაბი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვოლფსბურგი.
19:10 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
21:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ჩელსი.
23:00 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
23:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
01:10 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ტური. ოლიმპიაკოსი-ხიმკი.
02:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-ვანკუვერი.
04:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:30 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
07:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ჯენოა.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
11:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კვალიფიკაცია. კლიგენტალი. გერმანია.
12:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). K95. გუნდური. ჰინტერცარტენი. გერმანია (LIVE).
13:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). 4x5 კმ ესტაფეტა. ჰინტერცარტენი. გერმანია (LIVE).
14:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. კარლსრუე. გერმანია.
15:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კვალიფიკაცია. კლიგენტალი. გერმანია.
16:30 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი.
18:00 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. V დღე. ლანელი. ბრიტანეთი (LIVE).
20:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კლიგენტალი. გერმანია (LIVE).
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
00:00 მულტისპორტი.
00:10 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ციურიხი. შვეიცარია.
01:10 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
01:15 გოლფი. PGA-ის ტური.
02:15 გოლფი. ევროტური.
02:45 გოლფ-კლუბი.
02:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:55 მულტისპორტი.
03:00 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
03:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კლიგენტალი. გერმანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# როჯერი კონორსს დაეწია

ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული **როჯერ ფედერერი** ლეგენდარულ ამერიკელ **ჯიმი კონორსს** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგის სათავეში გატარებული კვირების რაოდენობით გაუთანაბრდა. ორივე ჩოგბურთელის ლიდერობამ 268 კვირას გასტანა, თუმცა დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ 28 წლის შვეიცარიელი მომდევნო კვირას გააუმჯობესებს თავის მიღწევას და აუცილებლად მიიტანს იერიშს **პიტ სამპრასის** რეკორდზე.



სამპრასის გარდა, „დიდი სლემის“ ტურნირების 16-გზის გამარჯვებულს კიდევ ერთი ლეგენდა - **ივან ლენდლი** უსწრებს. ყოფილმა ჩეხოსლოვაკიელმა 270 კვირა იბატონა ATP-ის რეიტინგში, რაც შეეხება სამპრასის რეკორდს, ის 286 კვირას უტოლდება. ასი პროცენტით შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ სამი კვირის შემდეგ ფედერერი ლენდლის შედეგსაც გააუმჯობესებს.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელი ჩოგბურთელი რეკორდსმენია კლასიფიკაციის სათავეში ზედიზედ გატარებული კვირების რაოდენობით. 2008 წლის 18 აგვისტოს მისი სერია 237 (!) კვირაზე შეწყდა.

ATP-ის რეიტინგის ყველაზე ხანგრძლივი ლიდერების სია ასე გამოიყურება:

**1. პიტ სამპრასი (აშშ) - 286 კვირა**
**2. ივან ლენდლი (აშშ) - 270**
**3-4. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) - 268**
**3-4. ჯიმი კონორსი (აშშ) - 268**
**5. ჯონ მაკინროი (აშშ) - 170**
**6. ბიორნ ბორგი (შვედეთი) - 109**
**7. ანდრე აგასი (აშშ) - 101**
**8. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) - 80**
**9. სტეფან ედბერგი (შვედეთი) - 72**
**10. ჯიმ კურიე (აშშ) - 58**
**11. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) - 46**




ფორმულა 1



# ფერარიმ ყველას გაასწრო

პირველ თებერვალს ვალენსიის რიკარდო ტორმოს ავტოდრომზე წინასასეზონო ოფიციალური ტესტები დაიწყო - გუნდები სხვადასხვა რაოდენობის საწვავთან მუშაობენ, პილოტები კი კომენტარს არ აკეთებენ მანქანების წონაზე. ბრიტანელი ექსპერტი და ანალიტიკოსი **ჯეიმს ალენი** ზამთრის ტესტების პირველ დღეს აფასებს:

„დღეს დაიწყო 2010 წლის სეზონი. შვიდმა გუნდმა გამოცადა ახალი ბოლიდი, სამმა საჯინიბომ - „ტორო როსომ“, „უილიამსმა“ და „მერსედესმა“ პირველად გვანახეს თავიანთი სიახლეები, **მიხაელ შუმახერი** 2006 წლის შემდეგ დაუბრუნდა ფორმულა 1-ის მანქანის საჭეს, ვალენსიაში არ ჩამოვიდნენ „რედ ბული“, „ფორს ინდია“ და სამი დებიუტანტი გუნდი.

განსაკუთრებული ყურადღება შუმახერისკენ იყო მიპყრობილი. მან ესტაფეტა **ნიკო როსბერგისგან** მიიღო, როცა შუადღეზე მიუჯდა „მერსედესის“ მანქანის საჭეს და 18 წრე გაიარა. შუმიმ შეძლო როსბერგის დროის გაუმჯობესება. ნიკომ დაიჩივლა, რომ კოკპიტიდან ტრასა ცუდად ჩანდა. წრეების გრძელი სერიისას როსბერგის დრო 1:13.8 - 1:14.2 რაიონში მერყეობდა, მიხაელმა თავიდანვე აკრიფა ასეთი ტემპი და ფინალურ სერიაში 1:13.2 - 1:12.8 აჩვენა. დღეს მიხაელი ნიკოზე სწრაფი იყო, მაგრამ პირველი დასკვნის გაკეთება ორი დღის შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა ორივე მრბოლელი მეტ დროს გაატარებს ახალ მანქანასთან.

ახალი წესების თანახმად, მანქანებმა სტარტი 160 ლიტრი საწვავით უნდა აიღონ, ამიტომაც ტესტების შედეგების ინტერპრეტირება გართულდა - გაიზარდა საწვავის წონის შესაძლო დიაპაზონი. რამდენადაც ვხვდები, ძლიერი გუნდები სანახევროდ გავსებული ავზებით იმუშავებენ. ის გუნდები, რომლებსაც შთაბეჭდილების მოხდენა სურთ ან სპონსორებს ეძებენ, 40 კილოგრამს ჩაასხამენ და წრეზე ამის გამო დაახლოებით 1.5 წამი ექნებათ უპირატესობა.

საინტერესო იყო კიდევ ერთი „დაბრუნებული“ პილოტის - **ფელიპე მასას** შედეგები. ახალი „ფერარის“ - F10-ის საჭესთან მან დღის აბსოლუტურად საუკეთესო დრო აჩვენა - 1:12.574, სულ კი ბრაზილიელმა 102 წრე გაიარა. გრძელი სერიისას ის საკმაოდ სწრაფი იყო. თავიდან ფელიპე წრეებს 1:13.5-ში გადიოდა, შემდეგ ათი წრე 1:13.0-ის ფარგლებში გაიარა.

„ფერარისთვის“ დღემ საკმაოდ პოზიტიურად ჩაიარა. დადიოდა ჭორები იმის შესახებ, რომ F10-ს არც ისე ეფექტური აეროდინამიკა აქვს, მაგრამ ჩემი წყარო მატყობინებს, რომ ეს ასე არ არის - დეკემბერში იტალიურმა გუნდმა თავისთან მიიწვია „ტოიოტას“ აეროდინამიკის განყოფილების შეფი და მან მოიგონა დიფუზორის ახალი სქემა - მას ჭრილი აქვს, რომელიც A3 ფორმატის ქაღალდის სისქეა! ამ მიგნებამ მოჭიდების ძალის სერიოზული გაზრდა გამოიწვია და ახლა „ფერარის“ შეუძლია მანქანის ოპტიმიზაცია და პირველივე რბოლაში პროგრესის მიღწევა.

„მაკლარენის“ საჭესთან **გერი პაფეტი** იჯდა, ხვალ მას **ლუის ჰემილტონი** შეცვლის, ოთხშაბათს - **ჯენსონ ბატონი.** პაფეტმა 86 წრე გაიარა და საუკეთესო წრეზე 1:13.8 აჩვენა. როგორც ჩანს, ბრიტანელებმა ბევრი საწვავი ჩაასხეს - შუადღისთვის პაფეტმა საკმაოდ გრძელი სერია გაიარა, რომელშიც დრო 1:13-დან 1:14-მდე მერყეობდა.

**პედრო დე ლა როსამ** 74 წრე გაიარა „ზაუბერით“ და ყველა პილოტს შორის მეორე დრო აჩვენა. დღის განმავლობაში ესპანელი სხვადასხვა დროს აფიქსირებდა. საუკეთესო აღმოჩნდა ათწრიანი სერია, რომელშიც მისი დრო მასას შედეგს შეესაბამებოდა, მაგრამ პედროს ისეთი დიდი რაოდენობის საწვავი არ ესხა, როგორიც მის კონკურენტებს.

„რენოში“ წრის გავლის დროს ყურადღებას არ აქცევდნენ და **რობერტ კუბიცამ** ახალი მანქანით ჯამში 69 წრე გაიარა.

სესია მხოლოდ ერთხელ შეწყდა, როცა **რუბენს ბარიკელო** ტრასაზე გაჩერდა. გადაცემათა კოლოფის პრობლემების გამო **სებასტიან ბუემიმ** ახალი „ტორო როსოთი“ მხოლოდ 18 წრე გაიარა. ეს გუნდის პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი იყო და „ტორო როსოს“ ტექნიკური დირექტორი **ჯორჯო ასკანელი** ამბობდა, რომ შეცდომები გარდაუვალია.




კრივი

# ბებრების მატჩრევანში

ცნობილი ამერიკელი მოკრივეები - **როი ჯონსი-უმცროსი** და **ბერნარდ ჰოპკინსი** ბრძოლის ჩატარებაზე შეთანხმდნენ. მათი მეორე დაპირისპირება 2010 წლის 3 აპრილს ლას ვეგასში გაიმართება. პირველად ჯონსი და ჰოპკინსი ერთმანეთს 17 წლის წინ (1993 წლის 22 მაისი) შეხვდნენ და მაშინ მსაჯების გადაწყვეტილებით გამარჯვება ჯონსმა მოიპოვა.

ჰოპკინსმა აღიარა, რომ ყოველთვის უნდოდა როისთან განმეორებითი შეხვედრა და ახლა, როგორც იქნა, ეს ბრძოლა გაიმართება. ბერნარდმა შეგვახსენა, რომ 17 წლის წინანდელი დამარცხების შემდეგ პროფესიულ კრივში ბევრს მიაღწია, ახლა კი გეგმავს ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიოს ურთიერთობა ჯონსთან.




45 წლის ჰოპკინსმა რინგზე 57 ბრძოლა ჩაატარა, 50 მოიგო (32 - ნოკაუტით) და ხუთი მარცხი განიცადა. ერთი ბრძოლა ფრედ დასრულდა, კიდევ ერთი კი გაუქმებულად ჩაითვალა. ჰოპკინსი დიდი ხანი ითვლებოდა მსოფლიოს ჩემპიონად საშუალო წონაში (72.6 კგ). თავის ბოლო ბრძოლაში (2009 წლის 2 დეკემბერი) მან ქულებით დაამარცხა **ენრიკე ორნელასი.**

41 წლის როი ჯონსი ერთხანს მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ (წონის გაუთვალისწინებლად) იყო აღიარებული. მან კარიერაში 60 ბრძოლა გამართა, 54 მოიგო (40 - ნოკაუტით) და ექვსი მარცხი იწვნია. ბოლოს მანაც 2009 წლის 2 დეკემბერს იჩხუბა და ტექნიკური ნოკაუტით წააგო ავსტრალიელ **დენი გრინთან.**

ჯონსი მსოფლიოს ჩემპიონი იყო, 72.6, 76.2, 79.4-კილოგრამამდე წონით კატეგორიებში, აგრეთვე მძიმე წონაში (90.9 კილოგრამზე მეტი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**